სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 11 ნოემბერი 1999 №217 (990) | ფასი 50 თეთრი

ერთხელ ამერიკაში

პირველი იანვრიდან ლოთარ მათეუსი ამერიკული „მეტროსტარზის“ ღირსებას დაიცავს

მუშვიდობით, ნაკრებო

შაბათს საფრანგეთთან ამხანაგურ მატჩში ხორვატთა კაპიტანი ზვონიმირ ბობანი ეროვნულ ნაკრებში ბოლოჯერ ითამაშებს

ფიგურული ინტერნაციონალი

ალექსანდრ ჩისნიხი და ევგენია ფილონენკო საქართველოს სახელით

რეფერენდუმი საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

წარმოგიდგენთ ლაურეატებს

ალისა ასიტაშვილი

იტალიამ შუმახერს უკბინა

ვისი რა საქმეა, ვისთან რას დალევს შუმი?

კალაძეს რიგი დაუდგა: მილანი, ბარსელონა, მანჩესტერ იუნაიტედი, არსენალი, რომა

ნუგზარ კალაძე. ფოტო

მსოფლიოს ფეხბურთის გრანდებს — იტალიურ „მილანს“ და „რომას“, ესპანურ „ბარსელონას“, ინგლისურ „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „არსენალს“ საქართველოს ნაკრების წევრის, კახა კალაძის შეძენა სურთ. ეს ცნობა ერთ-ერთმა უცხოურმა საინფორმაციო სააგენტომ გუშინ გაავრცელა.

ყველაზე რეალური „მილანის“ ვარიანტია. მილანელები აღარც მალავენ, რომ კიევის „დინამოდან“ ქართველი ფეხბურთელის გადაბირებით სერიოზულად არიან დაინტერესებულნი. კახას მსურველთა შორის ამ კლუბს ბოლო დროს სულ უფრო ხშირად მოიხსენიებენ. თუმცა, თუ ყველაფერი კარგად დასრულდა, კალაძე იტალიურ სუპერკლუბში მომავალი წლის ზაფხულში გადავა.

სპეციალისტთა ვარაუდით, მიუხედავად იმისა, რომ 21 წლის ფეხბურთელით სხვა ძლიერი ევროპული კლუბებიც არიან დაინტერესებული, კალაძის შეძენის ყველაზე მეტი შანსი მაინც „მილანს“ აქვს, რადგან გასულ სეზონში ანდრეი შევჩენკოს კიევის „დინამოდან“ „მილანში“ გადასვლისას ამ ორ კლუბს შორის კარგი, საქმიანი ურთიერთობა ჩამოყალიბდა.

როგორც ვარაუდობენ, იტალიელებს კალაძის ტრანსფერი საკმაოდ ძვირი (ქართველი ფეხბურთელისთვის ჯერაც არ-ნახული თანხა) — 20 მილიონ დოლარამდე დაუჯდებათ.

შეგახსენებთ, ანდრეი შევჩენკოს სანაცვლოდ „მილანმა“ 25 მილიონი დოლარი გაიღო. აღსანიშნავია, რომ იტალიური კლუბის ხელმძღვანელობამ შევჩენკოს ყიდვის თაობაზე მოლაპარაკება გასული წლის მინურულს წამოიწყო და მალევე წარმატებით დაასრულა, თუმცა კონტრაქტის თანახმად უკრაინელი ვარსკვლავი „მილანს“ ამ ზაფხულსღა შეუერთდა. არ არის გამორიცხული, ახლაც ასე მოხდეს.

რამდენად სერიოზულია „რომას“, „ბარსელონას“, „არსენალისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ დაინტერესება კალაძით, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა ამ კლუბების წარმომადგენელთა თქმით, ისინი გულდასმით აკვირდებიან ჩემპიონთა ლიგის მატჩებში ქართველი ფეხბურთელის თა-მაშს. მიუხედავად ამისა, როგორც აღვნიშნეთ, უფრო დიდი შანსია, ჩვენებური „მილანში“ აღმოჩნდეს.

თუ ეს ტრანსფერი განხორციელდა, კახა კალაძე გახდება ყველაზე ძვირადღირებული ქართველი ფეხბურთელი და ამასთანავე პირველი ჩვენებური, ვინც იტალიის სერია A-ში და თანაც ისეთ სახელოვან კლუბში ითამაშებს, როგორიც „მილანია“.

თუმცა თავად კახა „მილანში“ ან სხვა, ზემოთ ნახსენებ რომელიმე კლუბში შესაძლო გადასვლაზე საკმაოდ თავდაჭერილად საუბრობს.

ნუხელ, ჩვენებურ მცველს კიევში რომ შევეხმიანეთ, ეს გვითხრა:

— ჯერჯერობით ჩემთვის კონკრეტულად არავის არაფერი უთქვამს. მეც, თქვენი არ იყოს, უცხოური გაზეთებიდან შევიტყვე „მილანსა“ და სხვა კლუბებს რომ გასჩენიათ ჩემი მიწვევის სურვილი. აქაურ გაზეთებშიც ბევრი დაიწერა ამის თაობაზე.

— ეს ხმები გაზვიადებულია?

— არც კი ვიცი, რა გითხრათ. მე არვაინ დამლაპარაკებია.

— „დინამოს“ ხელმძღვანელობასაც არაფერი წამოსცდენია?

— აბსოლუტურად არაფერი. მხოლოდ ერთი ვიცი დანამდვილებით, ამ სეზონის ბოლომდე კიევის „დინამოში“ დავრჩები. ძალიანაც რომ მოვინდომო კლუბის დატოვება, მაინც არავინ გამიშვებს.

— სეზონის მერე რა იჭნება?

— კლუბზეა დამოკიდებული. მათი ნებაა, გამყიდიან თუ არა.

ვანო ოკროპირიძე

REUTERS მარსელიდან

მარსელი — ნანტი 1:1 ფაბრიციო რავანელის (მარჯვნივ) ამ დარტყმას გოლი არ მოჰყოლია

ლანჩხუთს პირველი ლიგა შეუერთდა

გასულ სეზონში პირველი ლიგიდან ლანჩხუთის „გურიას“ გავარდნის შემდეგ „ევგრაფი შევარდნაძის“ სტადიონზე ქართული ფეხბურთის ელიტის წარმომადგენლებს აღარ უთამაშიათ. შაბათს, 13 ნოემბერს კი ლანჩხუთი კვლავ უმასპინძლებს პირველი ლიგის მატჩს — „გურიის“ სტადიონზე „ხობი“ — „დილას“ შეხვედრა შედგება.

ალბათ გახსოვთ, მეათე ტურში ხობში მომხდარი ინციდენტი. ხობის „კოლხეთის“ და რუსთავის „გორდას“ შეხვედრაში მსაჯობით უკმაყოფილო რამდენიმე ვაი-გულშემატკივარი მინდორზე შეიჭრა და გვერდით ნუგზარ რუსიშვილს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო ტექნიკურმა კომიტეტმა ხობის სტადიონს ორმატრიანი დისკვალიფიკაცია მისცა. თასის მეოექვსმეტედფინალის ერთი მატჩი ხობელებმა უკვე სხვაგან გამართეს. „დილასთან“ თამაშის შემდეგ კი მეტოქეს კვლავაც საკუთარ მინდორზე უმასპინძლებენ.

ხობის „კოლხეთის“ ხელმძღვანელობა გორელთა მიღებას თავიდან ზუგდიდში ან სენაკში ითხოვდა, მაგრამ ფედერაციამ მათი თხოვნა არ მიიღო. ზუგდიდში სტუმრობით „დილას“ უფრო გაურთულდებოდა მგზავრობა, რაც დებულებით აკრძალულია. ხოლო სენაკის სტადიონზე შესაბამისი პირობების უქონლობის გამო, პირველი ლიგის მატჩების გამართვა აკრძალულია. ხობელებმაც ბოლოს ლანჩხუთი ირჩიეს.

ვანო ოქროპირიძე

საფრანგეთი

XV ტური

ნანსი 1:2 მონაკო

1:0 კორეა (69), 1:1 სიმონე (73), 1:2 დაკოსტა (88)

ლე ავრი 3:0 ბორდო

1:0 დებევე (34), 2:0 დიალო (43), 3:0 პუჟე (88პ)

სენტ ეტიენი 1:1 ლიონი

0:1 სონი ანდერსონი (7), 1:0 პედრონი (9)

ლანსი 3:2 პსჟ

0:1 მადარი (21), 1:1 ჟობი (52), 2:1 ნუმა (59), 3:1 ჟობი (71), 3:2 კრისტიანი (75პ)

ბასტია 0:0 მეცი

მონპელიე 1:2 რენი

0:1 ნონდა (14), 1:1 დელაი (74), 1:2 გრეგუა (76)

მარსელი 1:1 ნანტი

1:0 მორისი (17), 1:1 სიბირსკი (37)

ოსერი 0:1 ტრუა

0:1 ბუტალი (40)



REUTERS სენტ ეტიენიდან

ამ ორიგინალური, საგანგებო მასალისგან დამზადებული ბურთების შექმნაზე, რომლებსაც PT-13 ჰქვია, გერმანიაში წლების მანძილზე მუშაობდნენ. ისინი სინათლეს თავისებურად ირეკლავენ და ამინდისა და მზის შუქის გავლენით შეუძლიათ ფერების ცვლა. პირველად ეს სიახლე საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩში სენტ ეტიენმა და ლიონმა გამოსცადეს

ბელგია

XIII ტური

ბრიუგე 1:2 მუსკრონი

სენტ ტრუიდენი 2:2 შარლერუა

ლოკერენი 5:3 სტანდარდი

გენკი 4:0 ბეერსხოტი

აალსტი 4:2 გენტი

ანდერლეხტი 3:0 ვესტერლო

ჰარელბეკე 5:2 მეხელენი

ლომელი 0:0 ბევერენი

გელი 2:1 ლიერსი

ესპანეთი

თასის II ეტაპი. I წრე

რეალ უნიონი (III) — ვალიადოლიდი 1:1; ალზირა (III) — მალაგა 0:0; ბადახოსი (II) — ლას პალმასი (II) 1:1; ბერმეო (III) — ბეტისი 0:0; ბარაკალდო (III) — პრომია (III) 1:0; კომპოსტელა (II) — ნუმანსია 4:2; კორდობა (II) — ესპანიოლი 1:1; კორია (III) — ლეიდა (II) 2:4; ეიბარი (II) — ტოლედო (II) 1:0; ესტრემადურა (II) — ალავესი 1:1; ხიმნასტიკა სეხოვიანა (III) — სპორტინგი (II) 0:0; ერკულესი (III) — რასინგი 0:0; ლოგრონიესი (II) — სოსიედადი 2:1; ლორკა (III) — ოვიედო 0:1; მელილა (III) — ბილბაო 2:2; ნოველდა (III) — ალმერია (III) 0:1; ოსასუნა (II) — სევილია 1:0; ორენსე (III) — ხეტაფე (II) 1:0; პონფერადინა (III) — ალბასეტე (II) 1:1; უელვა (II) — სარაგოსა 0:0; სალამანკა (II) — რაიო ვალეკანო 2:2; ტალავერა (III) — მერიდა (II) 1:0; ვილიარეალი (II) — ლეგანესი (II) 0:1; ზამორა (III) — ტენერიფე (II) 2:2

ფრჩხილებში მითითებულია დივიზიონები

საპასუხო მატჩები — 1 დეკემბერს

ასტრიტ ჰაფიზი გაანთავისუფლეს

ალბანეთის ფეხბურთის ფედერაციამ იმსჯელა, ქვეყნის ნაკრების მთავარ მწვრთნელ ასტრიტ ჰაფიზის ბოლო სამი წლის მოღვაწეობა არადამაკმაყოფილებლად ჩათვალა და თანამდებობიდან გაათავისუფლა. ეს პოსტი ჯერჯერობით თავისუფალია.

შეგახსენებთ, რომ ალბანეთი უკანასკნელი ევრო 2000-ის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების ჯგუფში ასპარეზობდა, და მიუხედავად იმისა, რომ მათ პრინციპულ შეხვედრაში ქართველები 2:1 დაამარცხეს და უკან მოიტოვეს, თვითონ მაინც ბოლოდან მეორე ადგილზე გავიდნენ. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია ამ შედეგით უკმაყოფილო დარჩა. მათ განაცხადეს, რომ ჯგუფში პროგრამა-მინიმუმად მე-4 ადგილი ჰქონდათ დაგეგმილი.

ფედერაციის განცხადებით, ახლა მათ აქვთ შესაძლებლობა, ახალი მწვრთნელი ქვეყნის საზღვრებს გარეთ ეძებონ. თუ რომელიმე უცხოელი სპეციალისტი 300 ათას დოლარს დასჯერდება, მის წინადადებას აუცილებლად განიხილავენ. ეს ის მაქსიმუმია, რომლის გაღებაც მათ ჯერჯერობით შეუძლიათ.

ბადრი კეთილაძის ფოტო

ასტრიტ ჰაფიზი

ლიდსმა, არაო

პრემიერლიგის ჯერჯერობით მეორე გუნდმა, „ლიდს იუნაიტედმა“, რომელიც უეფას თასის მეთექვსმეტედფინალში მოსკოვის „სპარტაკის“ მეტოქეა, მოსკოველთა მიერ შეთავაზებული პირობა, 25 ნოემბრის მატჩი მოსკოვის ნაცვლად ვლადიკავკაზში ვითამაშოთო, წუხელ უარყო. იორკშირული კლუბის მდივანმა იან სილვესტრომ ამ წინადადებას უპერსპექტივო უწოდა და აი რატომ. „მიმაჩნია, რომ „სპარტაკს“ არავითარი საფუძველი არა აქვს, მატჩი მოსკოვიდან ვლადიკავკაზში გადაიტანოს. უეფა-მ რომც დააკმაყოფილოს მათი თხოვნა, თავად ვიქნებით ამის წინააღმდეგნი, რამეთუ ჩვენს უფლებებს აუცილებლად გამოვიყენებთ. მატჩი აუცილებლად მოსკოვში უნდა ჩატარდეს“ — განმარტა სილვესტრომ, რომელიც ამ დღეებში რუსეთის დედაქალაქს ეწვევა. მას საორგანიზაციო საკითხების მოგვარება აქვს დავალებული.

ხოლო თუ რატომ არ სურს „ლიდს იუნაიტედს“ მატჩის ვლადიკავკაზში გამართვა, ჯმას გუშინდელი „სარბიელიდანაც“ შეიტყობდით. როგორც იცით, ოსეთის დედაქალაქი გროზნოსთან ახლოსაა და ინგლისელებს ზედმეტი გართულებები არ სურთ. „არაა გამორიცხული, ჩეჩენი ბოევიკები ვლადიკავკაზში გამოჩნდნენ მძევლების აყვანის მიზნით, თავს საფრთხეში ხომ არ ჩავიგდებთ“ — დასძინა სილვესტრომ.

სანამ მოსკოვის „სპარტაკი“ უეფადან შეთავაზებული კანდიდატურის პასუხის მოლოდინშია, მანამდე ერთს დავამატებთ.

„სპარტაკის“ მეორე მწვრთნელი ვიაჩესლავ გროზნი აცხადებს, უეფაში ყველა საბუთი გაგზავნილია და მისი ბოსები საქმის კურსშიც არიანო, თავად უეფაში კი აცხადებენ, მოსკოვიდან არავითარი ოფიციალური შეტყობინება არ მიგვიღიაო. მოდი და სიმართლე გაიგე.

გუშინ კი „სპარტაკის“ ვიცე-პრეზიდენტმა გრიგორი იესაულენკომ სააგენტო „როიტერს“ განუცხადა: „გადაწყვეტილია, „ლიდსს“ 25 ნოემბერს მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე ვუმასპინძლებთ, იყო ვარიანტი „ლუჟნიკებზე“ გაგვემართა შეხვედრა, მაგრამ თავადვე უარყავით. იქ მინდვრის საფარი უხარისხოა.“

ინგლისი

ასოციაციის თასი

I ეტაპის საპასუხო მატჩები

ბორნმუთი — ნოტსი 4:2; ბრაიტონი — პიტერბრო 3:0; ბარი — ტამუორთი 2:1 (დ.დ.); კარდიფი — ლეიტონ ორიენტი 3:1; ჩესტერი — უიტელლიფი 3:1; ჯილინგემი — ჩელტენემი 3:2; ჰალი — მაკლსფილდი 4:0; ოქსფორდი — უიკომბი გადაიდო; პლიმუთი — ბრენტფორდი 2:1 (დ.დ.); როჩდეილი — ბარტონ ალბიონი 3:0; სტელბრიჯ სელტიკი — მერთირ ტიდფილი 3:1; კეტერინგი — რექსჰემი 0:2

II ეტაპის კენჭისყრა

შრიუსბერი — ოქსფორდ იუნაიტედი; ჰეისი — ჰალ სიტი; რედინგი — ჰალიფაქსი; სტელბრიჯ სელტიკი — ჩესტერი; პრესტონი — ენფილდი; უიკომბი ან ოქსფორდ სიტი — უიგანი; ფორესტ გრინი — ტორკი; ბარი — კარდიფი; ილკესტონ თაუნი — რაშდენ დაიმონდსი; პლიმუთი — ბრაიტონი; ბლეკპული — ჰენდონი; ბორნმუთი — ბრისტოლ სიტი; ჰერეფორდ იუნაიტედი — ჰარტლპული; ჯილინგემი — დარლინგტონი; რექსჰემი — როჩდეილი; კემბრიჯ იუნაიტედი — ბამბერ ბრიჯი; ბარნლი — როტერჰემი; ექსეტერი — ალდერშოთი; ლუთონი — ლინკოლნ სიტი; ოლდემი — სუონსი

მატჩები გაიმართება 20-21 ნოემბერს



ბადრი კეთილაძის ფოტო

დენიტ დონდტი აღშფოთებას ვერ მალავს

ამბავი დენიტ დონდტისა, რომელსაც ფული უნდა

თბილისის „დინამოს“ აღორძინების იდეამ, ისევე, როგორც აქამდე წამოჭრილმა ნებისმიერმა საფეხბურთო იდეამ საქართველოში, სრული კრახი განიცადა. ბოსკამპანიის დაწყებიდან ექვსი თვის თავზე რეალობას აღარ შეესაბამება არათუ „დინამოს“ ჩემპიონთა ლიგაში შესვლა, არამედ მარადი ჩემპიონის მდიდარი პერსპექტივა.

მეტიც, „დინამოში“ სერიოზული კრიზისია. ამას ამტკიცებს საქართველოდან მალე გაქცევის მოსურნე დინამოელთა მთელი ჯგუფი და აშკარად სხვა გუნდების დონემდე დასული სათამაშო მომზადება.

ადრე ასე არ იყო. „სუპერგუნდის“ ინსტიტუტმა არათუ ქართულ ფეხბურთს, არამედ თავად „დინამოს“ გაუწია ცუდი სამსახური.

და აი, ახალი ჭირი, რომელიც აღმართში ქცსავით წამოეწია მარად ჩემპიონს — დინამოელთა „ექვსთვიანი მეკარე“ დენიტ დონდტი და ბოლო ხანებამდე აგრერიგად პოპულარული და ექსტრავაგანტური მწვრთნელი იოჰან ბოსკამპი სასამართლოში უჩივიან „დინამოს“. უჩივიან და საფუძველში მართალიც არიან — კაცს როდესაც სამუშაოს აძლევ და მასთან ხელშეკრულებას დებ, გინდა, თუ არ გინდა, გამოგადგა, თუ არა ის, კუთვნილი უნდა გადაუხადო.

ამ დასკვნის მერე წინა პლანზე ახალი ჭირი (ათასმეერთე) გამოდის — ძალუძს კი „დინამოს“ ევროპელი ფეხბურთელის მადის დაკმაყოფილება? ევრომდასა და ქართულ მოთხოვნილებას შორის ხომ გვარიანი განსხვავებაა.

კიდევ კარგი, თავისივე უილაჯობის გამო დროზე აიცმევინეს აქედან ბრაზილიელ დე სოუზას, თორემ ვალს ვალი დაემატებოდა, საჩივარს საჩივარი და „დინამოსთვის“ ცუდი პერიოდი უარესად გამწვავდებოდა.

მაგრამ არც ეს არის მთავარი. ფული მხოლოდ ამშვენებს და აიოლებს ცხოვრებას (თუნდაც საფეხბურთო გუნდისას) და ფულში არ არის ცხოვრების აზრი. ადრე თუ გვიან, „დინამო“ გადაუხდის დონდტს კუთვნილ თანხას (უეფა ემუქრება — გადაგახდევინებო), მაგრამ ფულში არ არის პრობლემის არსი. მთავარი ისაა, რომ თბილისის „დინამოს“ საევროპო გაჭირვებას ვერც ერთი, ვერც ათი მეკარე უშველიდა, პრობლემა მთლიანად გუნდის კომპლექტაციაში იყო და „ზიმბრუსთან“ ორმა მატჩმაც თვალნათლივ დაგვანახვა — არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინ იდგებოდა „დინამოს“ კარში — დონდტი თუ, ვთქვათ, გიორგი ლომაია.

სიტყვამ გიორგი ლომაია მოიტანა და, ბელგიელი მეკარის თბილისში ჩამოყვანის მარტო ფინანსური მხარე კი არ იყო წამგებიანი, წამგებიანი იყო დონდტის „დინამოში“ მოყვანის სტრატეგიული მხარეც — მისი „დინამოს“ ძირითადში გამწესებით საქმეს ჩამოშორდნენ საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მეკარეები — დავით გვარამაძე და გიორგი ლომაია.

მართალია, „კოშკამ“ სამარის „კრილია სოვეტოვში“ გადასვლით დროზე უშველა თავს და სათამაშო პრაქტიკას, მაგრამ გიორგი ლომაია დღემდე „დინამოს“ სათადარიგოთა სკამს ხეხავს და თამაში რაა, ისიც არ მიუციათ მწვრთნელებს ხეირიანად.

კონკურენცია ჯანსაღი რამეა, ჯანსაღი კონკურენცია — ორჯერ ჯანსაღია, მაგრამ გულზე ხელი დავიდოთ და ალალად ვთქვათ, რა სჯობს ქართული ფეხბურთის მომავლისთვის — სათამაშო პრაქტიკით დახუნძლული დონდტი და სკამზე მჯდომი გვარამაძე ან ლომაია, თუ პირიქით.

ბელგიელი მეკარის კლასისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, „დინამოსთვის“ მაინც შედარებით ახალგაზრდა და გამოუცდელი გიორგი ლომაიას მეკარეობა სჯობდა. ოცდათხუთმეტზე მეტი წლის ბელგიელი ადრე თუ გვიან უნდა წასულიყო „დინამოდან“ და „მერანისთვის“ დაკლებული ლომაია ჩემპიონის სკამზე ჯდომით რას ისწავლიდა, გაუგებარია.

ახლა კი მთავარზეც — მავანთა უპასუხისმგებლობის გამო, იმის გამო, რომ ორიოდ კაცმა არასწორად გათვალა გარიგების როგორც ფინანსური, ასევე სტრატეგიული მხარე, ზარალდება თბილისის „დინამო“ — გუნდი, რომელიც ქართული ფეხბურთის ისტორიის ნახევარზე მეტს მოიცავს.

არ ვიცი, რამდენად დაკმაყოფილებს უეფას ჩინონსებს „დინამოს“ მესვეურთა ჯხსნა — დონდტს ნაწილ-ნაწილ ვამლევდით ჯიბის ფულსო. ადვილი შესაძლებელია, ევროპელებს სასაცილოდაც არ ეყოთ მსგავსი „ძმაკაცობანა“, ევროპას ხომ ლამის ნახევარი საუკუნეა, დაავიწყდა ასეთი რაღაცეები.

მოკლედ, ჩახლართული საქმეა, თანაც არაპროფესიონალიზმის სუნი სდის. არაპროფესიონალებს კი თანამდეროვე ფეხბურთში ადგილი არა აქვთ. „დონდტის ტრანზიტით“ დიდი უბედურება არ სწვევია ქართულ ფეხბურთს, ვალიც დაიფარება და „დინამოსაც“ ალბათ ეშველება, მაგრამ გახდება კი ეს მაგალითი ჭკუის სასწავლებელი?

ძნელი სათქმელია, მითუმეტეს, ფაქტობრივად ვერ მოიძიებ პიროვნებას, რომელსაც კონკრეტულად მოსთხოვ პასუხს კაცი, ან რომელიც კომპეტენტურად დაგაკვალიანებს ამ ჩახლართულ საქმეში.

დაბოლოს, დადგება კი დრო, როცა ქართულ ფეხბურთში ერთი, ორი ან ექვსი თვით კი არ გათვლიან საკეთებელს, არამედ წესიერ, დროზე და სწორ სტრატეგიაზე გათვლილ პროექტს წარმოადგენს ვინმე!

კონსტანტინე გოგიშვილი

კაპიტანი ფოფხაძე არჩევანის წინაშე

რუსეთის უმაღლეს დივიზიონში მოთამაშე ქართველმა ფეხბურთელებმა მორიგი სეზონი დაამთავრეს. რამდენიმე კვირაში კლუბები მომავალი ჩემპიონატისთვის სამზადისს შეუდგებიან და სატრანსფერო პოლიტიკაც გახურდება. რა გზას დაადგებიან ჩვენებურები — დარჩებიან თავიანთ გუნდებში, თუ სხვაგან მოძებნიან თავშესაფარს?

სწორედ ამ კითხვით მივმართეთ გუშინ სამარის „კრილიას“ კაპიტანს ზურაბ ფოფხაძეს, რომელმაც ეს გვითხრა:

— სეზონის დამთავრების შემდეგ სამდღიანი დასვენების უფლება მოგვცეს. მერე კვლავ შევიკრიბებით, 18 ნოემბერს კი ცოტა ხნით დაგვითხოვენ. მანამდე კრებაც ჩატარდება და სამომავლო გეგმებსაც გაგვანდობენ. თითოეულს ცალ-ცალკე დაგველაპარაკებიან და პირობებზე მსჯელობა და შეთანხმებაც მოხდება.

— რაიმე პერსპექტივა თუ არის სამარულ კლუბში?

— მომავალ სეზონისთვის გაძლიერებას აპირებენ. „კრილიას“ უეფას საგზურის დაუფლებას უგეგმავენ.

— სხვა კლუბებიდან ხომ არ დაგიკავშირდნენ?

— ცსკა-ს და „ალანიას“ ხელმძღვანელობიდან შემეხმიანენ. მოსკოველებმაც და ვლადიკავკაზელებმაც დიდი სურვილი გამოთქვეს, მათთან გადავიდე.

— მერე რას აპირებთ?

— არ ვიცი, ჯერ სერიოზულად არ მიფიქრია ამ თემაზე. უმჯობესია, „კრილიას“ კრებას დაველოდო და შემდეგ ვიმსჯელო, სად უფრო აჯობებს.

— სამარულ კლუბთან კონტრაქტი ხომ არ გაფერხებთ?

— კონტრაქტით კიდევ ერთი წელი დამრჩა „კრილიაში“ სათამაშოდ. თუმცა არსებობს სიტყვიერი შეთანხმებაც: თუ სარფიან წინადადებას მიიღებენ, უპრობლემოდ გამიშვებენ სხვა კლუბში.

— როგორც ვიცით, „ალანიიდან“ გზაევი აპირებს წასვლას.

— არის ასეთი ლაპარაკი. ისე, თავად გაზაევმაც მითხრა, თუ ვლადიკავკაზში დავრჩი, იმ შემთხვევაში წაგიყვანო.

— ცსკა-ს ვარიანტი არ გირჩევნიათ?

— ხომ გითხარით, ჯერ არ ვჩქარობ გადაწყვეტილების მიღებას. „კრილიას“ ხელმძღვანელობის აზრს როცა შევიტყობ, მერე უფრო გამიადვილდება არჩევანის გაკეთება.

— დავით გვარამაძეს „სკონტოდან“ „კრილიაში“ განათხოვრების ვადა ამოეწურა. მისი საქმე როგორ იქნება?

— დათოს რა კონკრეტული წინადადებები აქვს, არ ვიცი. ისე, სამარელებს ძალიან უნდათ მისი გუნდში დატოვება და აპირებენ, „სკონტოს“ გვარამაძის გამოსყიდვის თაობაზე დაელაპარაკონ.

ხვიჩა სანიკიძე



ბადრი კეთილაძის ფოტო

ზურაბ ფოფხაძე ჯერ დაისვენებს და ახალი სეზონისთვის ისე მოემზადება

საუკუნის ბოლო სუპერთასი ეროვნული სტადიონი დროს დაასწრებს

ფრიად საკამათო საკითხია. როდის მთავრდება მეორე ათასწლეული? თუ ქრისტეშობიდან ავთვლით, მაშინ 1999 წლის 25 დეკემბერს. ასტრონომების დიდი ნაწილი ამტკიცებს, რომ ახალი, მესამე ათასწლეული 2001 წლის 1 იანვარს დადგება, ისტორიკოსთა უფრო საყოველთაო ვერსიით კი XXI საუკუნე 2000 წლის 1 იანვარს დაიწყება. სფფ-ის გადაწყვეტილებით კი საქართველოს სიამაყე — თბილისის ეროვნული სტადიონი 2 დეკემბერს გამოეთხოვება XX საუკუნეს.

მაშ ასე, 2 დეკემბერი, დღის 2 საათი, ეროვნული სტადიონი. „ტორპედო“ — „დინამო“ საქართველოს სუპერთასის მატჩი.

— დიდი სურვილი გვქონდა, რომ ეს შეხვედრა ეროვნულ სტადიონზე ჩატარებულიყო, რადგან XX საუკუნის ბოლო მატჩი იქნება და ვფიქრობთ, ჩვენს ეროვნულ სიამაყეს — ეროვნულ სტადიონს დაამშვენებს — გვითხრეს ფეხბურთის ფედერაციაში. სუპერთასის მატჩის თბილისში (და არა ნეიტრალურ მოედანზე) ჩატარების მთავარი მიზეზიც ეს არის.

რკინისებური ლოგიკაა და ქუთაისის „ტორპედოს“ იმასთან შეგუება მოუწევს, რომ ჩემპიონ მეტოქეს მისსავე მოედანზე გაეჯიბრება. ისე, თავისთავად არც არის ცუდი იდეა ფედერაციის მხრიდან — თუ ჩვენს რომელიმე მოედანზე საფეხბურთო საუკუნე უნდა დასრულდეს, ამ შემთხვევაში უპირველესი კანდიდატი, რა თქმა უნდა, ეროვნული სტადიონია.

ასე რომ, 2 დეკემბერი „ტორპედო“ — „დინამო“. სფფ საამმატჩოდ გვარიან საამზადისშია, როგორც ცნობილია 29 ნოემბერს თბილისში უეფას პროგრეს-კურსების ხელმძღვანელები ჩამოდიან და ისინი, ბუნებრივია, საუკუნის ბოლო მატჩსაც დაესწრებიან. სტუმრებს რომ თვალსაჩინო ბევრი ჰქონდეთ, ფედერაცია ისევ მოუწოდებს სუპერმატჩის შესაძლო სპონსორ-დამფინანსებლებს თანამშრომლობისთვის. ასეთ შემთხვევაში სტადიონზე განთავსდება შესაბამისი სარეკლამო ფირნიშები და ზამთრის სუსხში ჩაბურული „ეროვნულიც“ უფრო გამოცოცხლდება.

რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ მეცენატებმა არ გადმოხედეს წყალობის თვალით დეკემბრულ სუპერდაპირისპირებას? არაფერი, XX საუკუნის ბოლო მატჩი მაინც ჩატარდება ეროვნულ სარბიელზე და მისი ორგანიზაციისთვის მთლიანად საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია იზრუნებს.

ბადრი კეთილაძის ფოტო

საქართველოს სუპერთასს ბოლოს „ბათუმი“ დაეპატრონა

პაატა კვანტალიანი

გივი ნოდია სოკოლში, რევაზ ძოძუაშვილი ალანიაში?

ორმა ემიგრანტმა ქართველმა მწვრთნელმა შეიძლება კლუბი გამოიცვალოს

ბადრი ჯეთილაძის ფოტო

რევაზ ძოძუაშვილი და გივი ნოდია

გივი ნოდია და რევაზ ძოძუაშვილი შეიძლება ახალ სეზონში ახალ კლუბებში ვიხილოთ. პეტერბურგიდან მოსული ინფორმაციის თანახმად, ნოდია, რომელმაც სიტყვა შეასრულა და პეტერბურგის „ლოკომოტივი" რუსეთის პირველ დივიზიონში დატოვა, ალბათ, ამ გუნდთან კონტრაქტს აღარ გაგრძელებს. ეს მომავალ კვირაში, ნოდიასა და პეტერბურგის „ოქტომბრის რკინიგზის" ხელმძღვანელის — ალექსანდრე კუზნეცოვის შეხვედრისას გადაწყდა.

თუმცა სანდო წყაროს ცნობით, ნოდიამ უკვე გადაწყვიტა, დატოვოს დიდი რევოლუციის ქალაქი და სარატოვს მიაშუროს. შეგახსენებთ, რომ იქაური „სოკოლი" წლეულს უმაღლესი დივიზიონის მიღმა დარჩა (მესამე ადგილზე გავიდა), თან კლუბში სამი ქართველი — მიხეილ ჯიშკარიანი და ძმები ზვიად და გიზო ჯელაძეები თამაშობენ. ბოლო ინფორმაციით, „სოკოლის" ქართველმა პრეზიდენტმა რომან ფიფიამ უკვე შესთავაზა ნოდიას უკრაინელი მწვრთნელის, ლეონიდ ტკაჩენკოს ადგილი. არ არის გამორიცხული, ნოდიას პეტერბურგიდან მამუკა ხუნდაძეც გაჰყვეს.

ასეთივე სიტუაციაშია რევაზ ძოძუაშვილიც, რომელსაც საუდის არაბეთის „ალ იტაჰიდის" მეპატრონეებმა კონტრაქტის უმეტესი პირობები არ შეუსრულეს, მიუხედავად იმისა, რომ გუნდი საუდის არაბეთს ჩემპიონატის ლიდერია და წარმატებითაც გამოდის აზიის საერთაშორისო ტურნირებში. კლუბისა და ძოძუაშვილის ურთიერთობის მოგვარებას გასულ კვირას უშედეგოდ ცდილობდა საფეხბურთო აგენტი შანდორ ვარგა, რომლის წყალობითაც აღმოჩნდა ქართველი სუსხიანი ლატვიიდან ცხელ არაბეთში.

გუშინდელი ინფორმაციით, რევაზ ძოძუაშვილს მიმართ ძალიან დიდ ინტერესს იჩენს ვლადიკავკაზის „ალანია", რომელიც ჯერჯერობით ვალერი გაზაევს კონტრაქტის გაგრძელებაზე ვერ უთანხმდება. წინასწარ მოლაპარაკებებში აქტიურადაა ჩართული ძოძუაშვილის ახლო ნათესავი, საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი ვოვა გუცაევი, რომელიც ადრე უკვე მუშაობდა „ალანიაში". თუ კონტრაქტი შედგა, სავსებით შესაძლებელია, გუცაევმა „ალანიაში" მეორე მწვრთნელად იმუშაოს.

ძოძუაშვილს კიდევ ორი ქვეყნიდან ეპატიჟებიან — თურქეთიდან, და გერმანიის მეორე ბუნდესლიგიდან, რეგიონალლიგიდან. საქართველოში მის ჩამოყვანას კი აქტიურად ცდილობს საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის შეფი აკაკი ჩხაიძე, რომელიც ბოლო ცნობებით, თუმე კვლავ ძალიან დიდ თანხებს აბანდებს თბილისის „ლოკომოტივში".

სიმონ მენაგდე

ბადრი ჯეთილაძის ფოტო

ეროვნულ სტადიონს მხოლოდ მორწყვა ვერ უშველის

ეროვნულ სტადიონს ბალახი უჭირს

ცვრიანი ბალახიო — გალაკტიონმა ბრძანა. მართალია, ამ მუცელმერთობის საუკუნეში ხალხს ცვრიანი მწვადი ურჩევნია ცვრიან ბალახს, მაგრამ ბალახის გარეშეც რომ შეუძლებელია?! აბა, სცადეთ და ითამაშეთ ფეხბურთი ბალახის გარეშე. როგორ გგონიათ, შეძლებთ? თუ ჰო, საჯაროდ განაცხადეთ და ნობელის პრემიაც ზედა გაქვთ (გამომგონებლობის დარგში).

ყოველივე ეს ხუმრობით და,. თუ ამ ბოლოხანს ვინმეს ვეფხის ტყავივით აჭრელებული ეროვნული სტადიონის მინდვრისთვის მიუქცევია ყურადღება, უეჭველია, მის ცუდ ბოლოზეც დაფიქრდებოდა — ყოველ ტურში ორ-სამჯერ ზემოთ-ქვემოთ სირბილმა და ტკეპნამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ „ბორის პაიჭაძეს" მალე ბალახიანი მინდვრის მაგიერ, დაახლოებით კოპაკაბანას პლაჟების მსგავსი იერი მიეცემა.

ვაკეში „მიხეილ მესხის" რეკონსტრუქციის გამო „ლოკომოტივი" ეროვნულზე გადმოსახლდა, „დინამო" ძველთაგან „ეროვნული" იყო, ახლა „თბილისიც" და გინახავთ ქვეყანა, სადაც ერთი სტადიონი ერთბაშად სამ გუნდს ემსახურებოდეს? ყველაფერს წელიწადში ათჯერ (დაახლოებით) ეროვნული ნაკრების თამაშ-ვარჯიშებიც მიუმატეთ და ნათელი გახდება, რა დღეშია და რას უძლებს ეროვნული სტადიონი.

აკი დაეტყო. აკი ფაქტობრივად ბალახიც აღარ არსებობს, ფეხბურთელებიდან ვიცი, უკვე ეგრეთ წოდებული „უგორებიც" გაჩნდა მინდორზე და სანამ ქართული ფეხბურთის მემატიანე „ტანცპლოშჩადკად" არ ჩამოყალიბებულა, ეგებ მიექცეს ყურადღება მის ამგვარ ექსპლუატაციას.

ლუკა თალაკვაძე

ვიტალი-უმცროსი ვარჯიშს შეუდგა

კიევის ცსკა-ს ქართველმა ლეგიონერმა ვიტალი დარასელიამ სამ თვეზე მეტი ხანია საზარდულის ოპერაცია გაიკეთა და ამის გამო იყო, ხანგრძლივი ვადით რომ ჩამოშორდა ფეხბურთს. აქამდე ფეხბურთელისა ბევრიც არაფერი ისმოდა და ეს გასაგებიცაა — დარასელია-უმცროსი ექიმებთან გადიოდა სარეაბილიტაციო კურსებს, მაგრამ ღვთის წყალობით ოპერაციის შემდგომმა პერიოდმა საუკეთესოდ ჩაიარა, ფეხბურთელი თავს მშვენივრად გრძნობს და ერთი კვირაც არაა, რაც ვარჯიშს შეუდგა.

რამდენი ხანი დასჭირდება ცსკა-ს ქართველ ნახევარმცველს ფორმის აღსადგენად, ანაც ზუსტად როდის შეძლებს გუნდის ძირითადში ჩვეული ადგილის დაბრუნებას დარასელია, დანამდვილებით ვერაფერს გეტყვით — ახლა ყველაფერი მოსამზადებელი ციკლის ეფექტურობაზეა დამოკიდებული.

ფაქტი ერთია — ვიტალი დარასელია მალე დაუბრუნდება თავის გუნდს და მწვანე მინდორს.

ლუკა თაგალკვაძე

შევარდენმა რაზდანს გადაუფრინა

რამდენჯერ თქმულა და დაწერილა, ჩვენში ბავშვთა ფეხბურთს თუ არ მიეხედა, დაუძლურებულ ქართულ ფეხბურთს არაფერი ეშველება. რამდენი საფეხბურთო ბავშვთა სკოლაა დღეს ჩვენში — ძალიან ბევრი, მათგან ცნობილი კი თითზე ჩამოსათვლელი თუა. „ნორჩი დინამელი", „ავაზა", ოლიმპიკი", „შევარდენი"...

ამჯერად ნავთლუღში მდებარე „შევარდენის" ბავშვთა სკოლაზე მინდა მოგახსენოთ. დღეს რომ ეს საფეხბურთო სკოლა თითით საჩვენებელია, დირექტორის, ბატონ ბადრი მანწკავასა და მისი თანამზრახველების დამსახურებაა. „შევარდენის" საფეხბურთო სკოლაში ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ათასობით ბავშვი ეუფლება საფეხბურთო ანბანს. ის კი არა, მთავარ მწვრთნელად ცნობილი სპეციალისტი, ახლო წარსულში თბილისის „დინამოსა" და თბილისის „ლოკომოტივის" მეორე მწვრთნელი ნოდარ აკობია მიიწვიეს. აქვეა სოსო ჭედიაც, რომელიც თავის გამოცდილებას უზიარებს პატარებს.

დაუფასდათ შრომა შევარდნებს, ხოლო თუ რატომ, ახლავე მოგახსენებთ. ამას წინათ, 9-დან 15 ოქტომბრის ჩათვლით, ერევანში, ცნობილ „რაზდანის" სტადიონზე ერევნის „არარატის" ყოფილი ფეხბურთელის, ჰამლეტ მხითარიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი რიგით მესამე საერთაშორისო ტურნირი გაიმართა 1988 წელს დაბადებულ ბავშვთა შორის.

ტურნირში მთლიანად 8 გუნდი მონაწილეობდა. მისმა ორგანიზატორებმა, რომლებმაც ჩინებულად უმასპინძლეს სტუმრებს, ფრანგები, რუსები, უკრაინელები და რაღა თქმა უნდა, ქართველები მიიწვიეს. მოხდა ისე, რომ უცხოური კლუბი მხოლოდ თბილისის „შევარდენი" იყო, დანარჩენი შვიდი კი ადგილობრივი, ძლიერი სომხური გუნდები.

საამაყო კი „შევარდენს" ის აქვს, რომ სწორედ იქ იპირველა, ჰამლეტ მხითარიანის სახელობის თასი მასპინძლებს არ დაანება და თბილისში ჩამოიტანა.

ფინალში „შევარდენმა" პენალტების სერიაში სძლია ამ ქვეყნის ყველაზე ძლიერ, ერევნის საფეხბურთო სკოლის გუნდს, რომლის დირექტორიც თვით „არარატის" გამოჩენილი ფეხბურთელი ხორენ ოგანესიანი გახლავთ.

ჩვენებურებმა ჩემპიონის თასი არ იკმარეს და პრიზებით დახუნძლულები მობრუნდნენ. ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი ქართველი ბესიკ ჩიმაკაძე გახდა. მან 8 ბურთი გაიტანა და ბომბარდირობა თვით ჰამლეტ მხითარიანის შვილს წაართვა. საუკეთესო მოთამაშედ ანზორ სუკიაზოვი აღიარეს, ხოლო მაყურებელთა სიმპათიის პრიზი კახა ჟურულიშვილმა მოიპოვა.

აფერუმ, გუნდის მწვრთნელ გიორგი იაშვილსა და სკოლის დირექტორ ბადრი მანწკავას — თქვენ წარმოიდგინეთ, 7 სომხური გუნდი მონაწილეობდა და სხვას, ისიც ქართველებს რამეს ისე გამოგვატანდნენო?

გამოატანეს და თანაც როგორ, როდესაც თავს ზევით ძალა არაა...

გიორგი ვაშაკიძე

ჰამლეტ მხითარიანის სახელობის თასის მფლობელი თბილისის „შევარდენი"

კვიპროსშიც და საფრანგეთშიც

საქართველოს ახალგაზდული ნაკრები მომავალი წლის გაზაფხულზე საფრანგეთში დაგეგმილ საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებს.

ორი დღის წინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში შეჯიბრის ორგანიზატორებმა ფაქსი გამოაგზავნეს. 6-9 აპრილს ქალაქ სენტ ჯინ დე ლუსში ტურნირს ვაწყობთ და დიდი სურვილი გვაქვს, მასში თქვენი ახალგაზრდული გუნდიც ვიხილოთო, მოუწერიათ ფრანგებს.

სენტ ჯინ დე ლუსში, რომელიც ბორდოდან 200 კილომეტრითაა დაშორებული, რვა გუნდი მოიყრის თავს. მათგან ერთ-ერთი ამ ქალაქის საფეხბურთო კლუბი „არინ ლუზიენი" იქნება, დანარჩენ მონაწილეთა ვინაობა ფრანგებს არ შეუტყობინებიათ. რვა გუნდი ორ ქვეჯგუფად დაიყოფა. ჯგუფური მატჩები 6, 7 და 8 აპრილს გაიმართება, 8-ში საღამოსვე შედგება ნახევარფინალები. კვირას, 9 აპრილს კი ტურნირის გამარჯვებულიც გამოვლინდება. მატჩები ორი 30-წუთიანი ტაიმისგან შედგება.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები საფრანგეთში 5 აპრილს გაემგზავრება, თბილისში კი 10-ში დაბრუნდება. ფრანგებმა, ეტყობა, ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის ყადაღადადებული ანგარიშიც გაითვალისწინეს და შემოთვალეს, თქვენ მხოლოდ მგზავრობის ხარჯები გაიღეთ, დანარჩენი ჩვენზე იყოს, პასუხს 30 ნოემბრამდე ველითო. თუმცა ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელებმა ფრანგებს დიდხანს არ ალოდინეს, ტურნირში მონაწილეობაზე გუშინწინვე თანხმობა განაცხადეს და ამის შესახებ ორგანიზატორებს ფაქსითაც აუწყეს.

შეგახსენებთ, თითქმის ანალოგიური შინაარსის ფაქსი ცოტა ხნის წინ კვიპროსიდანაც მოვიდა. ოღონდ იქაურმა ფეხბურთის ფედერაციამ თებერვლის დასაწყისში გასამართ ტურნირზე ჩვენი ეროვნული ნაკრები მიიწვია. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ კვიპროსელებსაც თანხმობა განუცხადა.

ვანო ოძროგირიძე

მსაჯობაშია ფერები მუქი

დასასრულს უახლოვდება ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე. მდგომარეობა დღითი დღე იძაბება. რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, ისეთ დაჩაჩანაკებულ ჩემპიონატსაც, როგორიც ეროვნული პირველობა გახლავთ, თავისებური ინტრიგა აქვს.

რა ვუყოთ მერე, თუ დაძაბულობა ხშირად ყურით მოთრეულს უფრო წააგავს, ვიდრე რეალურს. მთავარია, შინაურ ფეხბურთში ქომაგის ინტერესმა იძალა. ნაკვერჩხალი რომ არ განელდეს, ამისთვის ფეხბურთის ფედერაციამ უნდა იყოჩაღოს, კლუბებმა უნდა ივარგონ, ფეხბურთელებმა უფრო მოინდომონ, არბიტრებმა კი ობიექტურად განსაჯონ.

ფეხბურთის ფედერაცია შეიძლება კიდეც ყოჩაღობს, მაგრამ განსაკუთრებით ამ ბოლო დროს მომჩივანი მომრავლებია. კლუბები და ფეხბურთელები კი მართლაც ვარგობენ. ზოგი წელებზე ფეხს იდგამს და მეტად გაჭირვებულ ყოფაში მაინც ეფეხბურთება, ზოგმაც სიურპრიზები შემოგვთავაზა. რაც შეეხებათ მსაჯებს, ისინი ზოგჯერ მეტად გვაოცებენ — ერთობ რთულ სათამაშო ვითარებაში ობიექტურად განსჯიან, ზოგჯერ კი ისეთ შეცდომას დაუშვებენ, ნახევარ საფეხბურთო საქართველოს პირი ღია დარჩება. მეორე ნახევარი კი, რა თქმა უნდა, ჩუმადაა. მათ, ალბათ, იციან, სად რა და როდის უნდა მოხდეს.

არსებული დაძაბულობა არაფერია იმასთან შედარებით, რაც მოსალოდნელია და ერთ დღეს არც გაგვიკვირდება, თუ ფედერაციის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტს „მეხი" დაეცემა.

მსაჯობა, სწორედ ეს იყო და არის ძველი თუ ახალი ფედერაციის აქილევსის ქუსლი. ადრეც და ახლაც არბიტრები უხეშად ცდებოდნენ, მაშინ და დღესაც აგინებენ, ემუქრებიან და არცთუ ხშირად, მაგრამ ფიზიკურ შეურაცხყოფასაც აყენებენ.

დღეს ვერსად მოისმენთ მსაჯთა საქებარ სიტყვებს, ყველგან იმას არჩევენ, სად, როგორი და რამდენი უხეში შეცდომა დაუშვა არბიტრმა. „ცუდი კასტა" — მეტად არასასიამოვნო სახელი კია, მაგრამ სწორედ ასე მოიხსენიებენ გულშემატკივრებში არბიტრებს.

მსაჯი დაუცველია, ხშირად ისიც გულგაწვრილებით ელოდება კუთვნილ ხელფასს, მასაც გააჩნია ოჯახი და სახლიდან გამოსულმა არ იცის, როდის და როგორ მიბრუნდება უკან. ეს ასე იყო ძველი ფედერაციის დროს, ასეა ახლაც და საქმეს ისეთი პირი უჩანს, ასე იქნება კიდევ რამდენიმე წელიწადს. ბუნებრივია, ყოველივე დიდ ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენს შავოსნებზე, მაგრამ მათაც ხომ ხშირად ულიარებიათ, რომ არაფერია, შეჩვეული ჭირიაო.

ესე იგი, მსაჯებმა იციან, რა ელით და რას აკეთებენ, მაგრამ დაწყებულ საქმეს აგრძელებენ. შეგნებულად მიდიან რისკზე, თავისებურად ჭრიან და კერავენ. ამ გზით სიარულმა თითქმის კულმინაციას მიაღწია, შეცდომების, გაფუჭებული თუ ჩაგდებული მატჩების რიცხვიც კატასტროფულად მატულობს. გულშემატკივრები, კლუბის თავკაცები და ფეხბურთელები ძალიან ხშირად საუბრობენ დადგმულ სპექტაკლებზე. მწვრთნელმა, რომელიც თავისი მატჩის არბიტრის ვინაობას შეიტყობს, წინასწარ იცის, რა ელის მის გუნდს.

ბადრი ძეძილაძის ფოტო

წლევანდელი „დინამო" — „თბილისი" 3:2. არეულობა ბოლო წუთზე წესის დარღვევით გატანილ პენალტს მოჰყვა

უმრავლესობას ამდენი შეცდომა ხელოვნურად დაშვებული ჰგონია. ამის უკან რაღაც იმალებაო, ხშირად გაიგონებთ. ჯერ არავის უთქვამს რა, მაგრამ შიშზე, ვალსა და კორუფციაზე შეთხზულ ათასგვარ ვერსიებს ატრიალებენ.

ქართული ფეხბურთის პრობლემა არაობიექტური და ტენდენციური მსაჯობა როდია, ეს არ არის გადაუჭრელი პრობლემები. უბრალოდ, ვიღაცამ უნდა მოინდომოს და ყველაფერი მოგვარდება. ის ვიღაცა კი ფეხბურთის ფედერაციაა. მსაჯთა „სიავით" დაზარალებული კლუბები სხვასაც ვერავის მოსთხოვენ პასუხს, რადგანაც მსაჯთა კომიტეტი ჯერაც ფედერაციას ექვემდებარება.

„მე არაფერს ვითხოვ თქვენგან, არ გაგვწიროთ და ობიექტურად იმსაჯეთ, არადა, სულ წავალ ფეხბურთიდან. არ მიღირს ამდენი ხარჯი და ნერვების წყვეტა იმად, ვიღაცამ ულმერთოდ გამწიროს" — ეს სიტყვები ქუთაისის „ტორპედოს" პრეზიდენტ მიხეილ ქორქიას ეკუთვნის.

ქართული სპორტული სამყაროს თვალსაჩინო პიროვნებას რატომ უხდება ხვეწნა იმაზე, რაც თავისთავად უნდა ხდებოდეს?! ან ბატონი მიხეილი მართლა რომ წავიდეს ფეხბურთიდან, მერე პასუხი ვინ აგოს, არა მარტო ქუთაისური, არამედ მთლიანად ქართული ფეხბურთის წინაშე"?! „ტორპედოს", მიხეილ ქორქიას, დავით ყიფიანს რომ რაღაც უკადრისს შეჰბედავენ, მაშინ სხვები, გაცილებით სუსტები და უქონელნი რაღას უნდა მოელოდნენ მსაჯებისგან?!

„განსაკუთრებულსა და უშველებელს რას ვითხოვთ ფეხბურთის ფედერაციისგან. მათი თანადგომა და დახმარება ის იქნება, ბატონებო, ისეთი მსაჯები დაგვინიშნონ, ობიექტურნი ეჭებიანი" — ეს ბატონი კი ... ფედერაციის პრეზიდენტს, გურამ რუხაძეს ათქმევინა მსაჯთა მორიგმა არაობიექტურობამ.

გურამ რუხაძეს არც ჩემპიონატის მიმართ ბოიკოტის გამოცხადება გაუფიქრია და გაბუტვასაც სულ არ აპირებს, უბრალოდ, ის ბრძოლას უცხადებს არაობიექტურობას და ტენდენციურობას. ამ ბრძოლაში კი ძალიან ბევრი ძლიერი და სერიოზული მხარდამჭერი ეყოლება. ამაში დარწმუნებულები ბრძანდებოდნენ არბიტრები.

არც „არსენალის" თავკაცის, მამუკა გეგეჭკორის აღშფოთება და გულისტკივილი დარჩება ხმად მღაღადებლისად და საერთოდ, სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს.

ადრე თსუ და ოთარ გაბელია წუხდნენ ცუდ მსაჯობაზე, ბოლნისელთა გამოთქმულ უკმაყოფილებებს ზღვა ვერ დაიტევდა. „ღარწყალი" ხომ ცალკე საუბრისა და განსჯის საკითხია. კიდევ არაერთი უსიამოვნების გახსენება შეიძლებოდა, მაგრამ ესეც საკმაოზე გაცილებით მეტია.

ბევრს უკვე რეალობად ეჩვენება საფეხბურთო საქართველოში რამდენიმე თვის წინ დარხეული ხმა, თითქოს ეროვნული ჩემპიონატი ვიღაცის თუ ვიღაცეების უხილავი ხელით იმართებაო. ზოგი უკვე კონკრეტულ გვარებს ასახელებს და... ხომ გაგიგონიათ, ისეთ ტყუილს რა ვუთხარით, შიგ ნახევარი სიმართლე თუ არ ურევიაო.

დააშავა ოთარ გუნთაძემ და დასაჯეს, ჩაიჭრა თამაზ ლაცაბიძე და მასაც გამოუწერეს სასჯელი, ახლა მერაბ მალაღურაძემ შესცოდა...

ვერავინ იტყვის, სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტი დრეკვევებზე თვალს ხუჭავსო, მაგრამ შეცდომებს მაინც ვერაფერი მოუხერხეს. ისე, მათიც გამკვირვებია, თუ ატყობდნენ, მერაბ მალაღურაძე „დინამო" — „ვიტ ჯორჯიას" განსასჯელად მთლად მზად ვერ იყო, მაშინ პრინციპული მატჩის მსაჯობა რაღას ანდეს. გაუთვალისწინებელი და მიფუჩეჩებული ამბები გროვდება და საკვალაო შედეგიც სახეზეა.

ამას წინათ, „სარბიელთან" საუბრისას, ანატოლი მილჩენკომ დარწმუნებულმა განაცხადა, ცნება „ვიღაცის მსაჯი" ქართული ფეხბურთიდან გაქრაო. არ მგონია, მთლად მასე იყოს, რადგანაც ეროვნულ ჩემპიონატში თითქმის აღარავის გაახსენდება ისეთი სადაო მომენტი, სადაც მსაჯი „დინამოს" საწინააღმდეგოდ შემცდარიყოს. ეს ფაქტია და ვერსად გავექცევით.

ახალგაზრდა, დამწყები არბიტრი რომ ცდებოდეს, ამას არაერთ გამართლებას მოუძებნიდა კაცი, მაგრამ შეცდომას შეცდომაზე გამოცდილი და მრავალჭირგამოვლილი მსაჯები უშვებდნენ და სწორედ ესაა საგანგაშო.

თუ აღნიშნულ პრობლემას დროულად არ მოევლო, თუ სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტმა გამოსავალს არ მიაგნო, მაშინ კოკა ერთხელაც წყაროზე გატყდება და...

მსაჯთა შეცდომებზე, არაობიექტურ თუ ტენდენციურ გადახრებზე კი ალავერდი ფედერაციასთან. პასუხი ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელებსაც მოეთხოვებათ, რამეთუ ჯერჯერობით ფედერაცია და მსაჯთა კორპუსი განუყოფელნი არიან.

გურამ დოლიძეს ფოტო

წლევანდელი „მერანი" — „იბერია" 0:0. მერანელები არბიტრს ედავებიან, ფეხბურთელი უსაფუძვლოდ რად გაგვიძევეო

მამუკა კვანტალიანი

ინგლისელთა დიდი იმედი

ინგლისის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ პლეი ოფში შოტლანდიელთა წინააღმდეგ სათამაშოდ ემზადება. მთავარმა მწვრთნელმა კევინ კიგანმა განაცხადა, რომ ინგლისელთა ამომავალი ვარსკვლავი მაიკლ ოუენი მატჩისთვის მზადაა და გამოცდილ ალან შირერს, ალბათ, შეტევაში თავიდანვე აუბამს მხარს.

აღსანიშნავია, რომ ამ ორ ფორვარდს ერთმანეთის მხარდამხარ შვიდი სანაკრებო მატჩი აქვთ სასტარტოში დაწყებული, თუმცა კიგანის მწვრთნელობის პერიოდში ეს პირველად მოხდება.

თავად ოუენი ერთობ გაახარა მთავარი მწვრთნელის ამგვარმა ნდობამ და განაცხადა: „ვიმედოვნებ, რომ შირერისთვის საუკეთესო პარტნიორი ვიქნები. უკანასკნელ მსოფლიოს ჩემპიონატზე მშვენივრად გამოგვდიოდა ყველაფერი და ახლაც ყოველმხრივ შეკეკდებით გულშემატკივარი არ გავუბრალოთ“.

კევინ კიგანმა შეაქო ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელი და თქვა: „ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მაიკლი გამოჯანმრთელდა. ნაკრებს იგი სჭირდება. თუ იმას მკითხავთ, ითამაშებს თუ არა ოუენი შაბათის მატჩში, გიპასუხებთ, რომ ითამაშებს, რადგან იგი ახლა ჯანზეა. თუმც, არ დაგიმალავთ, მაფიქრებს ის, რომ ხანგრძლივი თამაშის პრაქტიკა არა აქვს. მოკლედ, ყველაფერს თავად ვხილავთ“.

ოუენის უშუალო კონკურენტი ნაკრების შეტევის ხაზზე მანჩესტერელი ენდი კოლია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მან ამ კვირას პირველი სანაკრებო ვარჯიში მცირე ტრავმის გამო გამოტოვა.

წინასამატჩო განწყობა ოუენის მშვენიერი ჰქონდა. მან თავს ნება მისცა, და თითქოს მუქარით განაცხადა: „ბრიტანული ომი“ მართლაც რომ მშვენიერი სანახავი იქნება. ვიმედოვნებ, გულშემატკივარი ნამდვილი საფეხბურთო სანახაობით დატკბება, მაგრამ საბოლოოდ ჩვენ შევძლებთ, დავამტკიცოთ, რომ შოტლანდიელებს ვჯობივართ. მერწმუნეთ, ამისთვის არაფერს დავზოგავთ.

REUTERS ნიუ იორკიდან

ტაბ რამოსმა (მარცხნივ) თავის ახალ თანაგუნდელს ლოთარ მათეუსს საკუთარი მაისურა დაუთმო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთის რუკასთან

ხორვატიული „კროაციას“ ოფიციალური განცხადებით, ესპანური „რეალ სოსიედადიდან“ კლუბს ყველა დროს საუკეთესო ბომბარდირი იგორ ცვიტანოვიჩი დაუბრუნდება. „კროაცია“ იმედოვნებს, რომ თუ ესპანეთიდან ყველა საბუთი დროზე ჩამოვა, ფეხბურთელი გუნდს მომდევნო მატჩში, 20 ნოემბერს დაეხმარება. ცვიტანოვიჩი ესპანეთში ორი წლის წინ გადავიდა, თუმცა გუნდს აშკარად ვერ შეეწყო და ძირითადში ველარ ხვდებოდა. საერთოდ კი მას „კროაციას“ რიგებში 104 გოლი აქვს გატანილი და ამ კლუბის ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირია.

იუგოსლავიელი ნახევარმცველი სლავიშა იოკანოვიჩი მინიმუმ ერთი თვე ვეღარ ითამაშებს. მას ტრავმა აქვს. იგი ესპანურ „დეპორტივოში“ ასპარეზობს და „ოვიედოს“ წინააღმდეგ გასული ტურის მატჩში დაშავდა. „დეპორტივოს“ კიდევ ერთი დანაკლისი ექნება — ტრავმის გამო დაახლოებით ორი კვირით გუნდს ჰოლანდიელი ფორვარდი როი მაკაიც გამოაკლდება.

ჰოლანდიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ფრანკ რაიკარდმა გუნდში „ატლეტიკო მადრიდის“ თავდამსხმელი ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი გამოიძახა. ჰოლანდიელები შაბათს ეინდჰოვენში ჩეხეთის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩს გამართავენ. გუნდს ვერ დაეხმარება პიერ ვან ჰოიდონკი, რომელსაც ტრავმა აქვს. ჰასელბაინკმა უკანასკნელი მატჩი ნაკრებში მიმდინარე წლის 18 აგვისტოს ჩაატარა. საერთოდ კი ექვსჯერ მოურგია ქვეყნის პირველი გუნდის მაისურა და გატანილი გოლით ორჯერ გამოუწენია თავი.

ჩეხეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელ იოზეფ ჰოვანეცს ჰოლანდიელების წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში გაუთვალისწინებელი ცვლილებების გაკეთება მოუხდა. ინგლისის „ლივერპულის“ ნახევარმცველები — პატრიკ ბერგერი გრიპის გამო, ხოლო ვლადიმირ შმიცერი კუნთის ტრავმის გამო მატჩს გამოტოვებენ. მათ მაგივრად ნაკრებს პრაღის სლავიელი ივო ულიჩი და „მიუნხენ 1860“-ის მოთამაშე მარტინ ჩიჟეკი დაეხმარებიან. მთავარ მწვრთნელს ჯერჯერობით არ გადაუწყვეტია, ვინ შეცვლის „ტეპლიცეში“ მოთამაშე პაველ ვერბირს, რომელსაც აგრეთვე ტრავმა აქვს.

ირლანდიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ მიკ მაკარტის ევრო 2000-ის პლეი ოფში თურქთა წინააღმდეგ მატჩში რამდენიმე ფეხბურთელის პრობლემა აქვს. ნახევარმცველ გარი კელის კუნთი დაეჭიმა, დაშავდნენ აგრეთვე მცველები — კენი კანინგემი და სტივ სტონტონი. ინგლისური „სანდერლენდის“ მცველ პოლ ბატლერის თამაშიც საეჭვოა, თუმც საბოლოო შემადგენლობა უახლოეს დღეებში დადგინდება. ტრავმა მოიშუშა „მანჩესტერ იუნაიტედში“ მოასპარეზე დენის ირვინმა და ალბათ დაეხმარება საკუთარ ნაკრებს.

ფრანგ ქსავიე გრაველენს თავის კლუბ პსჟ-სთან კონტრაქტი დაუმთავრდა და წლის ბოლომდე ინგლისურ „უოტფორდს“ შეუერთდა. 33 წლის ნახევარმცველს, რომელიც პსჟ-ს რიგებში საფრანგეთის ჩემპიონი გახდა, მანამდე „კაენის“, „სტრასბურის“, „ოლიმპიკის“ და „მონპელიეს“ რიგებშიც უასპარეზია. „უოტფორდის“ ხელმძღვანელობა ძალიან კმაყოფილია ახალი შენაძენით და მიიჩნევს, რომ გრენველი კლუბს კრიზისის დაძლევაში დაეხმარება.

ესპანური მადრიდის „რეალის“ ყოფილ შეფებს — იგნასიო სილვასა და ხუან პალასიოსს ქვეყნის ქვედა დივიზიონის კლუბ „ლოგრონესის“ შესყიდვა განუზრახავთ. კლუბი ქალაქ ელ მუნდოში მართავს მატჩებს, რომელიც მადრიდიდან ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს. ბიზნესმენები აპირებენ, „ლოგრონესი“ დიდ კლუბად აქციონ. გეგმავენ 60-ათასიანი სტადიონის აშენებას. თავად „ლოგრონესის“ ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ მათ ამის შესახებ პირველად ესმით.

ინგლისის ასოციაციის თასის შეხვედრა „ვაიკომბსა“ და „ოქსფორდ სიტის“ შორის, რომელიც „ვაიკომბის“ სტადიონზე იმართებოდა, ელექტრომალური ვითარების გამო გადაიდო. მიზეზი ის გახლავთ, რომ „ადამს პარკ“ სტადიონს ცეცხლი გაუჩნდა. მატჩი მომავალ კვირას, ხუთშაბათს, „ოქსფორდის“ მოედანზე შედგება. მოვლენები კი მას შემდეგ განვითარდა, რაც დამატებით დროში ანგარიში 1:1 დაფიქსირდა და გუნდები პენალტების დასარტყმელად ემზადებოდნენ. ამ დროს სახანძრო განგაში გაისმა, უსაფრთხოების სამსახურმა მსაჯს მატჩის შეწყვეტა მოსთხოვა. დადგინდა, რომ ხანძარი ელექტრობის მიზეზით იყო გამოწვეული.

ერთხელ, ამერიკაში

გერმანიის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ ვეტერანი ფეხბურთელი ლოთარ მათეუსი წლის ბოლოს თავის მშობლიურ გუნდს დატოვებს და ამერიკას გაემგზავრება, სადაც ქვეყნის უმაღლესი საფეხბურთო ლიგის კლუბის — „ნიუ იორკ მეტროსტარზის“ ღირსებას დაიცავს.

„31 დეკემბერს „ბაიერნს“ გამოვემშვიდობები და 1 იანვრიდან „მეტროსტარზის“ წევრი გავხდები“ — განაცხადა თავად ფეხბურთელმა.

ამის გადაწყვეტა ძალიან გამიჭირდა, თუმც „ბაიერნიდან“ წასვლაზე უკვე კარგა ხანია, ვფიქრობ. ვიცოდი კიდეც, რომ ასე უნდა მოვქცეულიყავი. მაინც ძნელი იყო ყოველივეს მიტოვება“ — გამოუტყდა იგი ჟურნალისტებს საგანგებო პრესკონფერენციაზე.

„ბაიერნის“ რამდენიმე ოფიციალური წარმომადგენელი, მათ შორის წარსულში ცნობილი გერმანელი თავდამსხმელი კარლ-ჰაინც რუმენიგე ეცადა, როგორმე დაერწმუნებინა მათეუსი, სეზონის ბოლომდე მაინც დარჩენილიყო გერმანიაში, მით უმეტეს, რომ „ბაიერნმა“ ჩემპიონთა ლიგის გათამაშების მომდევნო ეტაპის საგზური მოიპოვა. ეს თავად კლუბის პრეზიდენტ ფრანც ბეკენბაუერსაც სურდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

მათეუსი, რომელსაც ხუთ მსოფლიოს ჩემპიონატზე უასპარეზია, ბუნდესლიგაში ბოლო მატჩს 13 დეკემბერს ბრემენის „ვერდერის“ წინააღმდეგ გამართავს. მერე კი ოკეანის გადმა გაემგზავრება, ცოტა ხანს დაისვენებს, ხოლო თებერვლიდან უკვე ვარჯიშს შეუდგება.

ორიოდ სიტყვა მათეუსის სანაკრებო თამაშზეც. გერმანელს მხოლოდ ერთი შეხვედრა აკლია, რათა შვიდი მეკარის, ტომას რაველის 143-მატჩიანი რეკორდი გაიმეოროს. მას სავსებით ხელეწიფება ეს, რადგან, მისივე განცხადებით, თუ გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ერიხ რიბეკი გუნდში მიიწვევს, სიამოვნებით დაეთანხმება. ბუნდესნაკრების თავკაცს სავაისო ევრო 2000-ზე მათეუსის გამოცდილება უდავოდ უნდა გამოადგეს. ვნახოთ...

39 წლის მათეუსის „მეტროსტარზში“ მისვლამ მისი ახალი თანაგუნდელები ერთობ აღაფრთოვანა. კაპიტანმა ტაბ რამოსმა სიამოვნებით დაუთმო გერმანელს 10-ნომრიანი მაისურა და განაცხადა: „საფეხბურთო ლიგა კიდევ იარსებებს, მაგრამ წლები გაივლის, სანამ მათეუსის დარი ფეხბურთელი გამოჩნდება“.

სტოიჩკოვის ფიქრები, სულ მალე მწვრთნელი ვიქნები...

1994 წლის ევროპის საუკეთესო მოთამაშემ დიდ ფეხბურთს თავი წლეულს ივნისში დაანება. მან თავისი უკანასკნელი, 83-ე სანაკრებო მატჩი ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში ითამაშა. სტოიჩკოვმა ქვეყნის პირველ გუნდში ასპარეზობისას ჯამში 37 გოლის გატანა მოახერხა. ახლა კი გულახდილად საუბრობს საკუთარ გეგმებზე.

ხრისტო სტოიჩკოვი და იოჰან კრუიფი

ბულგარული ფეხბურთის ვარსკვლავი, 33 წლის ხრისტო სტოიჩკოვი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯის გადადგმას აპირებს — ნაკრების მწვრთნელის ასისტენტობა განუზრახავს. თანაც მიაჩნია, რომ დღესდღეობით მას დამხმარე მწვრთნელობა უფრო მიესადაგება. ხოლო სამომავლოდ უკვე გუნდის თავკაცობაზეც შეეძლება ფიქრი.

ბევრს მიაჩნია, რომ ხრისტოს განზრახვა ჯერჯერობით ნაადრევია, მით უმეტეს, რომ ბულგარეთის ნაკრებმა ევრო 2000-ზე მონაწილეობის უფლება ვერ მოიპოვა და ქვეყნის საფეხბურთო კრიზისზეც კია საუბარი. თუმცა თავად სტოიჩკოვი, რომელიც ჟურნალისტებთან ურთიერთობისას ჩვეული უემურობით აღარ გამოირჩევა, აცხადებს, რომ ასეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადასადგმელად ახლა სწორედ შესაფერისი დროა.

ბულგარეთის ნაკრების ექსკაპიტანი ამბობს, რომ მრავალწლიანი კარიერის მანძილზე დიდი საფეხბურთო გამოცდილება და ცოდნა შეიძინა, ახლა კი სურს, ეს ყველაფერი ახალგაზრდა თაობას გაუზიაროს. მისივე განცხადებით, იგი ერთობ სერიოზულად მოეკიდა სამწვრთნელო საქმეს და დღითიდღე ხვეწს და აუმჯობესებს პრაქტიკას. როგორც ამხელს, ყოველ კვირას ხვდება ჰოლანდიური და მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდას, თავის ყოფილ დამრიგებელს ესპანური „ბარსელონას“ შემადგენლობაში — იოჰან კრუიფს და ისინი ერთად არჩევენ სხვადასხვა მატჩს.

„ჩვენ ხშირად ვხვდებით ერთმანეთს, ვსაუბრობთ, ვმსჯელობთ თანამედროვე ფეხბურთის პრობლემებზე, ვუყურებთ შეხვედრებს და შემდეგ გულდასმით ვიხილავთ მათ. ვფიქრობ, ამ საქმეში კრუიფი მართლაც რომ გენიოსია და ამქვეყნად ბადალი არ ჰყავს. მასზე უკეთეს მასწავლებელს ვერც კი ვინატრებდი. უახლოეს მომავალში რომელიმე სამწვრთნელო სკოლაში ჩავაბარებ. საამისოდ გერმანიას ან იტალიას მივაშურებ“.

სტოიჩკოვი, რომელმაც ახალ თანამდებობაზე ყოველგვარ ანაზღაურებაზე უარი განაცხადა, თვლის, რომ ბულგარული ფეხბურთის მდგომარეობა დღითიდღე უარესდება და აუცილებლად უნდა გატარდეს რადიკალური ზომები.

თქვენ წარმოიდგინეთ, ამ მცირე ხნის განმავლობაში მან საკუთარი ქვეყნის ფეხბურთის განვითარების გეგმის შედგენაც კი მოასწრო.

„ფეხბურთელთა სათამაშო კლასის ამაღლებას, უპირველეს ყოვლისა, მათი პროფესიონალიზმის, დისციპლინისა და ხასიათის დახვეწა განაპირობებს. დღეს ფეხბურთელთა მიზანი მაღალი ანაზღაურების მიღება გახდა, ხოლო უმთავრესმა — ფეხბურთის თამაშმა მეორე პლანზე გადაიწია. სანამ ეს ასეა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქმე წინ არ წავა. ეს უპირველესად ბულგარულ ფეხბურთს ეხება“ — აცხადებს ფეხბურთელი, რომელიც 1990 წელს თავისი ქვეყნის ისტორიაში იმ დროისათვის სარეკორდო თანხის საფასურად — 4 მილიონ დოლარად სოფიის ცსკა-დან ესპანურ გრანდ „ბარსელონას“ შეუერთდა.

„მთავარი ბავშვთა ფეხბურთის განვითარებაა, რადგან დიდი ფეხბურთელები აკვნიდან არ მოდიან. ისინი პროფესიონალებად ყალიბდებიან“.

ეს გულწრფელი საუბარი სტოიჩკოვმა ბრძნული ფრაზით დაასრულა: „ფეხბურთი მარტივი თამაშია, ოღონდ გონიერ ადამიანთათვის“.

ლილიანა სემერჯიევა
როიტერი

უეფამ ტოტენჰემის პროტესტი უარყო, რა იქნება შემდეგ...

პროტესტი, რომელიც უეფას სადისციპლინო კომისიაში ინგლისურმა „ტოტენჰემ ჰოთსპურმა" შეიტანა, გუშინ საბოლოოდ უარყვეს. შეგახსენებთ საქმის არსს: ინგლისელებმა გერმანულ „კაიზერსლაუტერნთან" უეფას თასის ოცდამეთორმეტედფინალის საპასუხო მატჩის შედეგის (0:2) გაუქმება მოითხოვეს. საფუძვლად იმას ასახელებდნენ, რომ გერმანელებმა სასტიკად დაარღვიეს ტურნირის რეგლამენტი. მათ შეხვედრის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე შევსებულ მატჩის .ოქმში „კაიზერსლაუტერნის" შემადგენლობა შეცვალეს, რის უფლებაც არ ჰქონდათ.

როგორც იცით, „კაიზერსლაუტერნმა" ის მატჩი 2:0 მოიგო და ორი თამაშის ჯამში უეფას თასის შემდეგ ეტაპზე გავიდა. გუშინდელ „სარბიელში" გაუწყებდით, რომ უეფა შედეგის გაუქმებას არც აპირებდა, დიდი-დიდი, „კაიზერსლაუტერნისთვის" ფულადი ჯარიმის გადახდა დაეკისრებინა. ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია ასეც მოიქცა: მატჩის შედეგი არ შეცვალა და გერმანელები სიმბოლური თანხით, ათასი შვეიცარიული ფრანკით (650 დოლარი) დააჯარიმა.

რა თქმა უნდა, „ტოტენჰემს" უეფას ვერდიქტი ვერ დააკმაყოფილებდა. ჩვენც დაველოდოთ, თუ რას მოიმოქმედებენ ალბიონელები — მათ ხომ გადანყვეტილების გასაჩივრებლად სამი დღე კიდევ აქვთ.

რა ხდება ინტერში?

„ინტერს" რაღაც სჭირს. მოგეხსენებათ იგი ევროპული სარბიელისგან თავისუფალია, რაც იმას ნიშნავს, რომ გადაღლაზე ლაპარაკიც ზედმეტია. არადა სხვა რა უნდა იყოს ბოლო ოთხ შეხვედრაში მხოლოდ ერთი ქულის მოპოვების მიზეზი? ფეხბურთელები შავლურჯებს მრავლად ჰყავთ, თან ერთი მეორეზე უკეთესი, მათ მწვრთნელს კი ბარე ორი გუნდი ინატრებდა.

სერია A-ს ბოლო ტურში მილანელებმა „ბოლონიასთან" 0:3 წააგეს.

„იმ შეხვედრას ტელევიზიით ვუცქირე და ძალიან ცუდ ხასიათზე დამაყენა. ამას არავინ ელოდა. ახლა აუცილებლად უნდა გავარკვიოთ რამ გამოიწვია ასეთი შედეგი. დაუყოვნებლივ სწორი დასკვნის გამოტანა შეუძლებელია. ამიტომ გადავწყვიტეთ კიდევ ორი კვირა დავიცადოთ და ვნახოთ რა მოხდება" — ასე უპასუხა ჟურნალისტებს კლუბის მეპატრონემ და პრეზიდენტმა, მილიონერმა მასიმო მორატიმ.

„ბოლონიასთან" მატჩის დამთავრებისთანავე მორატიმ გამოაქვეყნა განცხადება, სადაც აღნიშნა:

„ვესაუბრე ლელე ორეალის (გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელთაგანია). მისი საუბარი იყო ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო კიდეც. ორეალი ხომ ის კაცი გახლავთ, წლობით რომ ეცვა შავ-ლურჯი მაისურა. „ინტერი" ყოველთვის უტეხი სულით გამოირჩეოდა. მოგეხსენებათ კლასი მაყურებელს ყოველთვის ხიბლავს, მაგრამ ქულების მოსაპოვებლად დიდი გარჯაც გვჭირდება. მომეცა მარჩელო ლიპისთან საუბრის შესაძლებლობაც. მან მე და გულშემატკივარს მოგვიბოდიშა. ბუნებრივია ლიპის უდიდეს კვალიფიკაციაში ეჭვი არავის ეპარება. ამწუთას არც ახალი მოთამაშეების შეძენაზე ლაპარაკს აქვს აზრი. დღეს „ინტერის" თითოეულმა ფეხბურთელმა კარგად იცის რა პასუხისმგებლობაც აწევს. თავის გამართლება არაფრით შეიძლება. საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა გვყავს და დაუშვებელია იგი უბრძოლველად მარცხდებოდეს. მინდა აღვნიშნო, რომ ისეთი კატასტროფა, როგორიც „ბოლონიასთან" შეხვედრაში შეგვემთხვა, ჭკუის სასწავლებელი უნდა გახდეს".

მარჩელო ლიპიმ „ბოლონიასთან" მარცხს ასეთი ანალიზი გაუკეთა: „განაწყენებული ვარ და ჯერ სრულყოფილად შეიძლება ვერც განვიხილო მომხდარი. ჩვენს ხელთ ყოველგვარი უპირატესობაა: დიდი კლუბი, კარგი ფეხბურთელები, უამრავი გულშემატკივარი, რომელიც ბოლოდროინდელი წაბორძიკების მიუხედავად მხარს გვიჭერს და გვამხნევებს. მინდა მოგახსენოთ, რომ მძიმე ხასიათის ადამიანი გახლავართ დასახული გეგმის რაღაცის გამო ხელის ერთი დაკვრით შეცვლა არ მჩვევია. ცხრილში ჩვენი დღევანდელი პოზიცია სულაც არ მადარდებს, წინ კიდევ უამრავი მატჩია. უბრალოდ, ახლა, ზედიზედ რამდენიმე გამარჯვება გვჭირდება".

მარჩელო ლიპი საგონებელშია



მარიო ბასლერი

ბრწყინვალე ფეხბურთელიაო — ამბობენ ერთნი, თვალით არ დაგვანახოთო — ბრაზობენ მეორენი, ძალიან ბევრს ითხოვსო — ასკვნიან მესამენი... რა თქმა უნდა, ლაბარაკია — მარიო ბასლერზე, დღევანდელი გერმანული ფეხბურთის ყველაზე ნიჭიერ მოთამაშეზე, რომელმაც აუტანელი ხასიათისა და ალკოჰოლის სიყვარულის გამო ლამის ნახევარი გერმანია მოიმდურა. აი, ცოტა ხნის წინათაც სუპერმარიო ერთ-ერთ ღამის ბარში გადათვრა და ჩხუბი ატეხა. შედეგად, მიუნხენის „ბაიერნის" შემადგენლობაში ვეღარ ხვდება და ჯერჯერობით უსაქმოდაა. კლუბს, ალბათ, მისი გაგდება ძალიანაც უნდა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, „ბოსმანის წესის" თანახმად, ის თავისუფალი აგენტი გახდება და სადაც უნდა, იქ წავა, თანაც მუქთად. ამიტომ, „ბაიერნის" ხელმძღვანელობა საგონებელშია და ცდილობს, რაც შეიძლება სარფიანად გაყიდოს ყოფილი ვარსკვლავი. როგორც ამბობენ, ყველაზე რეალური მისი მადრიდის „ატლეტიკოში" გადასვლაა, თუმცა, კონკრეტულად ჯერ არავინ არაფერი იცის. ჩვენ კი გთავაზობთ ბასლერის სკანდალისადმი მიძღვნილ წერილს, რომელიც გერმანულმა „კიკერმა" გამოაქვეყნა.

აუტანელი გენიოსი

ექიმია თუ დეტექტივი?

ინტერვიუ დოქტორ ედერთან, რეგენსბურგის სარეაბილიტაციო ცენტრის მთავარ ექიმთან. სწორედ აქ იმყოფებოდნენ მარიო ბასლერი და სვენ შოიერი, როცა ღამის ბარში წასვლა მოუნდათ და მერე იქ ცემა-ტყეპა ატეხეს.

— ჰერ ედერ, „ბაიერნის" ხელმძღვანელობა ბასლერისა და შოიერის შემთხვევას თქვენც გაბრალებთ...

— საინტერესოა, რაში მადანაშაულებენ? როგორ ფიქრობთ, მთელი ღამეები რეგენსბურგის ლუდხანებთან უნდა ვიყურყუტო და ვაკონტროლო, რომელიმე ფეხბურთელი ხომ არ ჩარჩა იქ? მე სხვა რამეზე მწყდება გული, დოქტორმა მიულერ-ვოლფარტმა („ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების ექიმია) განაცხადა, რომ ჩვენი ცენტრი თავის უშუალო ფუნქციას ვერ ასრულებს. არადა, საუკეთესო სპეციალისტები მყავს. მათ ჩინებულად იციან საკუთარი მოვალეობები.

— და მაინც. ალბათ, უნდა შეეგუოთ, რომ „ბაიერნი" ფეხბურთელებს თქვენთან აღარ გამოაგზავნის. გახტეევების გაცად ხომ არ გრძნობთ თავს?

— დღეს რატომღაც ყველას დააავიწყდა, რომ ეს მოთამაშეები გუნდებშიც თვითნებურად იქცეოდნენ. „ბავარიამ" ბასლერი სამ წელიწადში ვერ გამოასწორა და მე ამას ერთ კვირაში შევძლებდი?

— შესაძლებელია თქვენსა და კლუბს შორის კომპრომისი?

— „ბაიერნის" ხელმძღვანელობისა კარგად მესმის. ისინი ფიქრობდნენ, რომ მოთამაშეები საიმედო ხელში მოხვდნენ, ამ დროს კი სკანდალური ისტორია მოხდა. ცხადია, ნაწყენები არიან, მაგრამ ვიმედოვნებ, ემოციები მალე ჩაცხრება და ჩვენს მომავალ ურთიერთობაზეც მერე ვილაპარაკებთ.

— „ბაიერნმა" ფეხბურთელების სათვალთვალოდ კერძო დეტექტივებიც დაიქირავა...

— მართალია, მაგრამ რეგენსბურგში ისინი არ მინახავს. დეტექტივის ფუნქციასაც ხომ არ შევითავსებდი? ჩვენთან კარგა ხანს მეპმეტ შოლი ცხოვრობდა და არანაირი ინციდენტი არ მომხდარა. მარიოც არაერთხელ ყოფილა აქ. ყოველთვის ვეუბნებოდი, ჭკვიანურად მოქცეულიყო, რადგან ცნობილი ადამიანია და ყველა თვალს ადევნებს. ინციდენტის მეორე დღეს სვენ შოიერი თავად წავიყვანე ამბულატორიაში. რაღაცით მოწამლულიყო. სიტყვაც არ უთქვამს მომხდარის შესახებ. ყველაფერი გვიან გავიგე. ბასლერს ცენტრიდან გაწერის აღნიშვნა გადაუწყვეტია და ბარში ნაშუაღამევს წასულა. ამ დროს არც ერთი თანამშრომელი სამსახურში აღარ იყო. თორმეტი საათის შემდეგ მათ პაციენტებთან ერთად გართობა და ბარ-რესტორნებში სიარული ეკრძალებათ. უკვე 12 წელიწადია, ცენტრი არსებობს და ყველა თანამშრომელი პატიოსნად იცავს ამ წესს.

რეკლამების გმირი

„ვალენსიასთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩზე ჩასული „ბაიერნი" სასტუმრო „მონტე პიკაიოში" მოეწყო, რომელიც ქალაქიდან ათიოდე კილომეტრითაა დაშორებული. თანმხლები გერმანელი ჟურნალისტები ხუმრობდნენ, ცუდია, რომ ბასლერი გუნდთან ერთად არ არისო. არა იმიტომ, რომ უბასლეროდ „ბაიერნი" სუსტად გამოიყურებოდა, ირონიის საგანი სხვა რამ გახლდათ — სასტუმროს გარშემო უამრავი კაზინო, ბარი და დისკოთეკა იყო, ბასლერისთვის კი ეს საყვარელი ადგილებია.

ვალენსიის ნაცვლად ბასლერი მშობლიურ ჰფალცში გაემგზავრა მოსასვენებლად. არ გამოჩენილა „კაიზერსლაუტერნთან" კალენდარული მატჩისასაც. არადა, მისი მშობლიური ადგილები სულ ახლოსაა ლაუტერნთან. „ბაიერნის" ხელმძღვანელობამაც განაცხადა, ფეხბურთელთან ოცდაათამდე კითხვა გვაქვს, ბასლერმა თავის გასამართლებელი არგუმენტები უნდა წარმოადგინოსო. ერთი სიტყვით, „ზებენერ-შტრასეს შოუ" („ბაიერნის" შტაბბინის მისამართია) გადაიდო.

თავად ბასლერს მიუნხენიდან წასვლა ამოუჭრია გულში და ახალი კლუბის გამოძებნას ეშურება. 30 წლის ნახევარმცველით მადრიდის „ატლეტიკოა" დაინტერესებული. თუმცა მოლაპარაკებები ჯერჯერობით ფერხდება. საქმე [illegible] რომ გაურკვეველია, დარჩება თუ არა თანამდებობაზე მადრიდელთა იტალიელი მწვრთნელი კლაუდიო რანიერი. სხვათა შორის, რანიერი ბასლერის წინააღმდეგია. მისი თქმით, მძიმე ხასიათისა და უდისციპლინო ფეხბურთელთან მუშაობა არავის გაუხარდება. თუმცა, შექმნილ სიტუაციაში რანიერის აზრი, ალბათ, გადამწყვეტი არ იქნება, „ატლეტიკოს" პრეზიდენტ ხესუს ხილს სუპერმარიოს გადაბირება მტკიცედ გადაუწყვეტია.

ასეა თუ ისე, მადრიდელები მას 15 დეკემბრამდე განაცხადში ვერ შეიყვანენ. სწორედ ამ დღეს გაიხსნება ესპანეთში სატრანსფერო ბაზარი. „უახლოეს ხანში რაიმე მნიშვნელოვანი, ალბათ, არ მოხდება" — ამბობს ბასლერის აგენტი როგერ ვიტმანი. „მადლობლები დავრჩებით, თუკი ბასლერი კლუბს უსკანდალოდ დატოვებს" — ეს „ბაიერნის" მენეჯერის, ული ჰაინესის სიტყვებია. გუნდის მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი ცდილობს, „ბასლერის საქმეში" სხვა ფეხბურთელებიც არ ჩაერთონ. საქვეყნოდ კი, მათ შორის ესპანელ ჟურნალისტებთანაც, ჰიცფელდი მარიოს მხარესაა: „ის ძალიან კარგი ფეხბურთელი და ადამიანია" — ამბობს ბავარიელთა დამრიგებელი.

ამ საქმეში კიდევ ერთი დაინტერესებული მხარე არსებობს — სპონსორები, რომელთაც „ბაიერნთან" და ბასლერთან მრავალმილიონიანი კონტრაქტები აკავშირებთ. მაგალითისთვის, კომპანია „პრემიერ უორლდი" თავისი პროდუქციის რეკლამისთვის ბაიერნისფორმიანი ბასლერის გამოსახულებას იყენებს. მისი პრეზიდენტის, კარსტენ შმიდტის განცხადებით, „პერმიერ უორლდი" სულაც არ აპირებს ფეხბურთელთან ურთიერთობის გაწყვეტას: „კონტრაქტის გაუქმება არც გვიფიქრია. ახლა პრობლემა მხოლოდ ისაა, მალე გაირკვეს, სად ითამაშებს ბასლერი. თუ სხვა კლუბში გადავა, ახალ სურათს გადავუღებთ და საქმიანობას გავაგრძელებთ. ეს არის და ეს" — ამბობს შმიდტი. ასევე ფიქრობს ლუდის კონცერნ „ერდინგერ ვაისბირის" დირექტორი იოზეფ ვესტერმაიერი. „ბასლერს ჩვენთან ხანგრძლივი კონტრაქტი არ აკავშირებს. ჩვენს ურთიერთობას უფრო მეგობრული შეიძლება დავარქვათ. ამიტომ, თანამშრომლობა ნებისმიერ შემთხვევაში გაგრძელდება" — აცხადებს ვესტერმაიერი. მისი აზრით, ფეხბურთელის ესპანეთში გადასვლა უკეთესიცაა. კომპანიას საშუალება მიეცემა, თავის ლუდს ევროპის სამხრეთშიც უფრო ფართოდ გაუწიოს რეკლამა.

ბასლერი „ბაიერნიდან" მიდის, მაგრამ დიდ საფეხბურთო ფიგურად რჩება. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობენ ფულის გადამხდელები. ისინი კი დღეს მთავარნი არიან.

ჯარლ-ჰაინც ვილდი,
„კიკერი"

ესპერანსი თუ რაჯა

ახლახან მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის წილისყრა გაიმართა. გეხსომებათ, აფრიკის წარმომადგენლის ადგილი ვაკანტური იყო. მას აფრიკის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული დაიკავებს. ამ ტიტულის მოსაპოვებლად ტუნისის „ესპერანსი“ მაროკოს „რაჯა კასაბლანკას“ შეებრძოლება. ფინალში გუნდები ორჯერ შეხვდებიან ერთმანეთს — შინ და სტუმრად. მატჩები დეკემბერში გაიმართება.

ფინალში ეს „კლუბები თავიანთ ჯგუფებში პირველი ადგილების დაკავების შედეგად გავიდნენ. „რაჯა“, აფრიკის 1997 წლის ჩემპიონი, ბოლო ტურში ეგვიპტურ „ალ აჰლის“ ხვდებოდა. მისმა მაროკოელმა ბომბარდირმა ერიაჰმ თავისი გუნდი მე-40 წუთზე დააწინაურა. სამი წუთის შემდეგ ეგვიპტელმა მუჰამედ ფარუკმა გაათანაბრა. მატჩი 1:1 დასრულდა. ფინალში გასასვლელად ეს ანგარიში „რაჯასთვის“ საკმარისი იყო.

მეორე ჯგუფში „ესპერანსს“ პირველობისთვის ფრეც ყოფნიდა. ტუნისელები ზიმბაბვეს „დინამოს“ ხვდებოდნენ. 42-ე წუთზე ტუნისელმა ვალიდ აზიზმა პენალტი გამოიყენა, 1:0 და ფინალში „ესპერანსი“ გავიდა.

„რაჯასაც“ და „ესპერანსსაც“ ფინალამდე იოლად მიღწევას უწინასწარმეტყველებდნენ, თუმცა საამისოდ ორივე გუნდს საკმაო ოფლის ღვრა დასჭირდა.

ზვონიმირ ბობანი (მარჯვნივ)

შმაიხელი მზადაა

ითამაშებს თუ არა შმაიხელი? აი, კითხვა, რომელიც დანიელ გულშემატკივრებს აინტერესებდათ. შაბათს დანიის ნაკრები ისრაელს ესტუმრება და ამ ქვეყნის გუნდს ევრო 2000-ის საგზურს შეეცილება. საპასუხო მატჩი ოთხი დღის შემდეგ, 17 ნოემბერს ჩატარდება. და აი, დანიელებმა შვებით ამოისუნთქეს. შაბათის შეხვედრაში შმაიხელი ასმეჩვიდმეტედ მოირგებს ეროვნული გუნდის მაისურას. შეშფოთება კი მისი ტრავმით იყო გამოწვეული. დანიელმა მეკარემ 29 ოქტომბერს ვარჯიშის დროს მყესი დაიზიანა. ნაკრების მწვრთნელს მის შემცვლელად „სანდერლენდის“ გოლკიპერი ტომას სორენსენი ეგულებოდა. გუშინ კი ლისაბონიდან, სადაც შმაიხელი თამაშობს, მეკარეს შეუთვლია: „თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. ისეთ ფორმაში ვარ, თითქოს არც დავშავებულვარ. მზად ვარ, ვითამაშო“. შაბათს დანიელთა რიგებში სავარაუდოდ დუისბურგელი სტიგ ტოფტინგიც ითამაშებს. შმაიხელის მსგავსად ამ ფეხბურთელსაც ფეხის ტრავმა ჰქონდა. მისი განცხადებით, ბოლომდე გამოჯანმრთელებული არაა, მაგრამ თამაშისთვის მზადაა.

დანიის ნაკრებს ერთადერთი დანაკლისი ექნება — დაშავებულია „ტოტენჰემის“ ნახევარმცველი ალან ნილსენი.

იორდანესკუ რუმინეთში ბრუნდება

ახლახან გაუწყებდით, რომ რუმინეთის ნაკრების ფეხბურთელებსა და მწვრთნელ პიცურკას შორის კონფლიქტი მოხდა. ფედერაციის რეაქციამაც არ დააყოვნა — პიცურკა გაათავისუფლეს.

მოგეხსენებათ, რუმინეთის ნაკრები გაისად ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშებს. გუნდი უმწვრთნელოდ რომ არ უნდა დატოვო, მით უმეტეს უმნიშვნელოვანესი ტურნირის წინ, რუმინეთის ფეხბურთის მამებმაც იციან. ამიტომაც ჯერ გათავისუფლების შესახებ ბრძანებას მელანი არ შეშრობია და პიცურკას შემცვლელის ძებნა უკვე დაიწყო. კანდიდატები მრავლად არიან: მირჩა ლუჩესკუ ბუქარესტის „რაპიდიდან“, ემერიხ ენეი „სტიაუადან“, ლადისლაუ ბოლონი ფრანგული „ნანსიდან“, დიმიტრუ დიმიტრიუ „ოცელულიდან“. ფავორიტი კი ანგელ იორდანესკუა.

რუმინული ფეხბურთის ბოლო წლების წარმატებანი სწორედ გენერალ იორდანესკუს სახელს უკავშირდება. 1994 წლიდან მოყოლებული, რუმინელები ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ. ამერიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე მათ მეოთხედფინალში გააღწიეს. მონაწილეობდნენ 1996 წლის ევროპის და უკანასკნელ მსოფლიოს ჩემპიონატებზე.

იორდანესკუ ბოლოს საბერძნეთის ნაკრებში მუშაობდა. ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევ ჯგუფში ბერძნები და ქართველები ერთად მოხვდნენ. ბერძნებმა ჩვენზე ბევრად უკეთ ითამაშეს, მაგრამ საბერძნეთის მიერ ქართველთა ძლევა დამაკმაყოფილებელ შედეგად არ ჩაითვალა და იგიც, შინ აღრევე გააბრუნეს. რუმინეთის არმიის გენერალს ხასიათი ისევ თავისიანებმა გამოუკეთეს. ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად, ალბათ, სწორედ მას დანიშნავენ. იორდანესკუს კმაყოფილება არც დაუმალავს. „დიდი სურვილი მაქვს, კვლავ დავუბრუნდე რუმინეთის ნაკრებს“ — თქვა მან.

ფან კლუბი ეშმაკთათვის

ამ უქმეებზე ევროპაში რამდენიმე ამხანაგური მატჩი გაიმართება. პატარა იტალიურ ქალაქ ლეჩეში ამ ქვეყნის ნაკრები ბელგიელებს მასპინძლობს. ბელგიელთა მწვრთნელმა რობერტ ვასეიგემ სათამაშოდ 20 ფეხბურთელი გამოიძახა. ეროვნული გუნდის ღირსებას პირველად დაიცავს იოს ვალგაერენი. ნაკრებში მიწვეულია იტალიური „უდინეზეს“ მოთამაშე, რეჟი ჟენო. მატჩში იგი თავის თანაგუნდელს თომას ლოკატელის დაუპირისპირდება. ეს უკანასკნელი იტალიის ნაკრების ახალწვეულია.

ბელგიის ნაკრებმა უკანასკნელი შეხვედრა ერთი თვის წინ გამართა ინგლისის წინააღმდეგ. იმ შემადგენლობიდან მწვრთნელმა ერთბაშად ოთხი ფეხბურთელი ამოაგდო — დევიდ ბროკენი, ბლენ დე ბოეკი, დევიდ ოეენი და შტეფან ტანგე. ამ დღეებში კი ევროპაში კიდევ ერთი ფანკლუბი შეიქმნა. ასე თავად ბელგიის ფეხბურთის მამებმა გადაწყვიტეს. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მიშელ დ'ჰოგმა, გენერალურმა მდივანმა იან პეტერსმა და ბელგიის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რობერტ ვასეიგემ ჩანაფიქრი რეალობად აქციეს და „წითელ ეშმაკუნებს“ (ბელგიელთა მეტსახელია), უკვე ოფიციალურად ჰყავს ფანკლუბი, რომლის პრეზენტაციაც ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში 9 ნოემბერს შედგა.

რობერტ ვასეიგემ, ბელგიელთა მწვრთნელმა, იმედი გამოთქვა, რომ ახალშობილი ფანკლუბი მალე მოიპოვებს სიყვარულს გულშემატკივრებში, რაც ბელგიის ეროვნულ გუნდს დიდად წაადგება.

„წითელი ეშმაკუნების“ ფანკლუბის ნათლობა უახლოეს ხანში, 13 ნოემბერს, იტალიაში შედგება, როდესაც ბელგიელები „სკუადრა აძურას“ ამხანაგურად გაეჯიბრებიან.

ამხანაგური მატჩი 13 ნოემბერი. იტალია — ბელგია

მეკარეები: გერტ დე ვლიგერი (ანდერლეხტი), რონალდ გასპერჩიჩი (ესტრემადურა, ესპანეთი); მცველები: ერიკ დეფლანდრე (ბრიუგე), რეჟი ჟენო (უდინეზე, იტალია), იაკი პეეტერსი (არმინია, გერმანია), ლორენცო სტალენცი (ანდერლეხტი), იოს ვალგაერენი (როდა, ჰოლანდია), ნიკო ვან კერკჰოვენი (შალკე, გერმანია), ერიკ ვან მეირი (ლიერსი); ნახევარმცველები: ფილიპ კლემენტი (ბრიუგე), ბარტ გორი (ანდერლეხტი), მბო მპენზა (სტანდარდი), ივეს ვანდერჰეიგი (მუსკრონი), იოჰან ვალემი (პარმა, იტალია), მარკ ვილმოტსი (შალკე, გერმანია); თავდამსხმელები: ტონი ბრონო (ვესტერლო), ჟილ დე ბილდე (შეფილდ უენსდი, ინგლისი), მარკ ჰენდრიქსი, ბრანკო შტრუპარი (ორივე გენკი), გერტ ვერჰეინი (ბრიუგე)

REUTERS ბრიუსელიდან

ბელგიის ეროვნული გუნდის ფან-კლუბის ფუძემდებლები: ბელგიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მიშელ დ'ჰოგი (მარცხნივ), მწვრთნელი რობერტ ვასეიგე (შუაში) და გენერალური მდივანი იან პეეტერსი ქომაგებთან ერთად

ბობანი: მუვიდობით ნაკრებო

შაბათს, პარიზში, მსოფლიოს ჩემპიონის, საფრანგეთისა და ხორვატიის ეროვნული გუნდების შეხვედრაში სანაკრებო კარიერას დაასრულებს ხორვატთა გუნდის კაპიტანი, ცნობილი ნახევარმცველი ზვონიმირ ბობანი.

ბობანმა საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება ხერხემლის ტკივილმა უკარნახა.

მიუხედავად ამისა, ხორვატი განაგრძობს საკლუბო მოღვაწეობას. მოგეხსენებათ, იგი „მილანის“ წევრია და კონტრაქტით ამ კლუბში 2001 წლამდე უნდა დარჩეს.

ზვონიმირ ბობანი 31 წლისა გახლავთ. ეროვნულ გუნდში ჩატარებულ 50 შეხვედრაში მას 12 გოლი აქვს გატანილი. გასული ხუთი წლის განმავლობაში იგი გახლდათ ხორვატული ფეხბურთის ერთ-ერთი მთავარი მოქმედ პირთაგანი.

ბობანის კაპიტნობის ხანაში ხორვატიის ნაკრებმა მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატზე მესამე ადგილი მოიპოვა. მაშინ, ნახევარფინალში მის გუნდს სწორედ შაბათის მეტოქემ, საფრანგეთმა გადაუკეტა ფინალისკენ მიმავალი გზა. გეხსომებათ, ხორვატები დავორ შუკერის გოლით დაწინაურდნენ, მაგრამ ლილიან ტურამმა ორი საპასუხოს გატანა შეძლო და ხორვატებიც იძულებულნი შეიქნენ მესამე ადგილისთვის ჰოლანდიასთან გაჯიბრებას დასჯერებოდნენ. იმ მატჩში ბობანმა და მისმა თანამემამულეებმა 2:1 გაიმარჯვეს.

ბობანმა კარიერა ზაგრების „დინამოში“ დაიწყო. დღეს ამ გუნდს „კროაცია“ ეწოდება. 1991 წელს იგი იტალიაში გადაბარგდა. გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე ხორვატიამ იუგოსლავიასთან დამოუკიდებლობისთვის ომი გააჩაღა.

თავიდან „მილანმა“ ბობანი ერთი სეზონით „ბარის“ ათხოვა, შემდეგ კი დაიბრუნა და ფაბიო კაპელოს ხელმძღვანელობით 1994 წელს ხორვატმა ევროპის ჩემპიონთა თასიც მოიპოვა.

ბობანი გახლდათ იუგოსლავიის იმ 21 წლამდელთა გუნდის კაპიტანიც, რომელმაც 1987 წელს ჩილეში გამართულ თანატოლთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიმარჯვა. ფინალში, გდრის ნაკრებთან სწორედ მან გაიტანა მეხუთე, გადამწყვეტი პენალტი.

ირონიული ფაქტია, რომ იმ მატჩის მონაწილე ქვეყნებიდან ძველი სახით დღეს ერთიც აღარ არსებობს. ბობანის მაშინდელ თანაგუნდელთაგან ხორვატიის დამოუკიდებელი ნაკრების წევრები მის გარდა გახდნენ რობერტ პროსინეჩკი, დავორ შუკერი და რობერტ იარნი.

ამხანაგური მატჩი 11 ნოემბერი. ბოსნია — გერმანია

ბოსნია — მეკარეები: ადნან გუსო (ერზურუმსფორი, თურქეთი), მირსა დედიჩი (დერზელეზ ზენიკა); მცველები: მირზა ვარესანოვიჩი (ბურსასფორი, თურქეთი), მუჰამედ კონჯიჩი (ქოვენთრი, ინგლისი), ფარუკ ჰუჯოროვიჩი (რიდი, ავსტრია), რამიზ ჰუსიჩი (რუდარი), სამირ დურო (სარაევო); ნახევარმცველები: ჰასან სალიჰამიჯიჩი (ბაიერნი, გერმანია), სერგი ბარბარესი (დორტმუნდი, გერმანია), ნერმან საბიჩი, ედინ მუიჩინი (ორივე კროაცია, ხორვატია), სეად ჰალილოვიჩი (ალთაი, თურქეთი), ფარუკ იჯიარევიჩი, ალმირ მემიჩი (ორივე ჟელეზნიჩარი), მირო კლიაიჩი (ბროტნიო); თავდამსხმელები: ელვირ ბოლიჩი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), მარკო ტოპიჩი (მონცა, იტალია), ენეშ მესანოვიჩი (ერზურუმსფორი, თურქეთი), ფარუკ კაპტარევიჩი (იედინსტვო)

გერმანია — მეკარეები: ჰანს იორგ ბუტი (ჰამბურგი), მათიას შობერი (შალკე); მცველები: ფრანკ ბაუმანი (ვერდერი), ინგო ჰირში (ჰამბურგი), ტორბენ ჰოფმანი (ლევერკუზენი), სილვიო მაისნერი (არმინია), კაი ოსვალდი (ჰანზა), ანდრეას შმიდტი (ჰერტა); ნახევარმცველები: შტეფან ბლანკი, მარკუს კროიცი (ორივე ჰანოვერი), კრისტოფ დაბროვსკი (ვერდერი), ჰაიკო გერბერი (შტუტგარტი), რონალდ მაული (არმინია), დენი შვარცი (უნტერჰახინგი), თომას რიდლი (მიუნხენი); თავდამსხმელები: თომას ბრდარიჩი, თომას რაიხენბერგერი (ორივე ლევერკუზენი), მარკუს შროტი (მიუნხენი)

ამხანაგური მატჩი 17 ნოემბერი. საბერძნეთი — ბულგარეთი

მეკარეები: ზდრავკო ზდრავკოვი (ადანასფორი, თურქეთი), იორდან გოსპოდინოვი (ნეფტოხიმიკი); მცველები: როსენ კირილოვი, ზლატომირ ზაგორჩიჩი (ორივე ადანასფორი, თურქეთი), ივაილო პეტკოვი (ისთანბულსფორი, თურქეთი), გეორგი მარკოვი (ლოკომოტივი, სოფია); ნახევარმცველები: ივაილო იორდანოვი (სპორტინგი, პორტუგალია), სტანიმირ სტოილოვი, ალექსანდრ ალექსანდროვი (ორივე ლევსკი), დიმიტარ ბერბატოვი, რუმენ ხრისტოვი, მილენ პეტკოვი (ყველა ცსკა, სოფია), ილია გრუევი, ტოდორ იანჩევი (ორივე ნეფტოხიმიკი); თავდამსხმელები: სვეტოსლავ ტოდოროვი (ლოვეჩი), სტილიან პეტკოვი (სელტიკი, შოტლანდია), დანიელ ბორიმიროვი (მიუნხენი, გერმანია), მარიან ხრისტოვი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია)

როგორც კი დაურეკავენ, ჩავა, ოღონდ სამუდამოდ — არა

ტაქსის „არტემიო ფრანკის“ სტადიონისკენ მივყავართ. იქ „ფიორენტინა“ ვარჯიშობს. მძღოლისთვის არავის უთქვამს ჩვენი ფლორენციაში ჩასვლის მიზეზი, ამიტომაც გავოცდით, როდესაც მოგვიტრიალდა: „პირველი ბატისტუტაა, შემდეგ — ღმერთი, ბოლოს კი ჩვენ — ფლორენციელები“. წარმოუდგენლად მეჩვენა: კულტურულად ასე მდიდარ ქალაქში მთელი ათი წლის განმავლობაში როგორ ბატონობს ქარიზმა ერთი კერპისა, ბატისტუტა რომ ჰქვია. ისინიც კი, ვისაც თავიდან ზაფრავდა ამ ფეხბურთელის დანტეს, დონატელოს, მაკიაველის, ბოტიჩელისა და ჩელინის გვერდით ღირსეულ მოქალაქედ ხსენება, დღეს ბილეთს ყიდულობს მისი თამაშის სანახავად. მათთვის ბატისტუტა წმინდაა, იმედია, სარკეა, რომელშიც ახალგაზრდობამ უნდა ჩაიხედოს...

გაბრიელ ბატისტუტა

გაბრიელ ბატისტუტასთან (№9) ჰიდილი მეტოქე ფეხბურთელებს ყოველთვის უჭირთ

— ჩემპიონთა ლიგა ის შეჯიბრებაა, რომელშიც ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მას უძლიერესი კლუბებიც ეთიშებიან. რაც შეეხება სერია A-ს, აქ, ბოლომდე ვიბრძოლებთ, რათა სკუდეტო მოვიპოვოთ. „ფიორენტინა“ კარგი გუნდია, უკეთესი, ვიდრე შარშან იყო. ჯერ საუკეთესო ფორმაში არ გახლავართ, მაგრამ უახლოესი მომავლის დიდი იმედი მაქვს — პასუხობს ფლორენციელთა კერპი კლუბის შანსების შესახებ დასმულ კითხვას.

— ტრავმები...

— იცით, მწამს, რომ ისინი შემთხვევითობამ განაპირობა. ხალხი ამბობს, თითქოს ეს ედმუნდოს ხრიკებია, მაგრამ კათოლიკე გახლავართ, უფლისა მწამს და არა ბოროტი თვალის, ვუდუსი და ასეთი რაღაცეების. ცუდი არავისთვის მდომებია და სხვას რად უნდა გაეკეთებინა ჩემთვის?

— ბრაზილიისა და არგენტინის ტრადიციული მატჩების შესახებ რას გვეტყვით?

ვერ ვუცქირე, მხოლოდ გოლები მაქვს ნანახი. ვიცი, რომ არგენტინის ნაკრებმა კარგად ითამაშა, მაგრამ ბრაზილიასავით — ვერა (იცინის). ფეხბურთელების გამოძახებამდე ბიელსა (არგენტინის ნაკრების მწვრთნელი) მელაპარაკა. ვუთხარი, რომ ფიზიკურად საუკეთესო ფორმაში არ ვიყავი და ამიტომაც აღარ მიმიწვია. ისე კი, მინდა ყველამ იცოდეს, ნებისმიერ დროს, მისი დარეკვა და ჩემი ჩამოსვლა ერთი იქნება. რვა წელიწადია, არგენტინის ნაკრებში ვთამაშობ და ერთი მატჩისთვისაც არ ამირიდებია თავი. მეტოქეს მნიშვნელობა არ აქვს. მას, ისევე როგორც შეჯიბრების არჩევას, მე არავინ მეკითხება. ყველა ზარს ვპასუხობ მხოლოდ ასე: დიახ. არგენტინაში ხალხს იმიტომ ვუყვარვარ, რომ თეთრლურჯი მაისურით თამაშის დროს თავს არ ვზოგავ. ჩემთვის ეროვნული გუნდი ყველაფერზე მაღლაა.

— მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატები გავიხსენოთ.

— აშშ-ში, 1994 წელს, ჩვენ ჩემპიონობა შეგვეძლო. ამ აზრს ბევრი იზიარებს. საქმე ისე მიდიოდა, ფინალში უპრობლემოდ უნდა გავსულიყავით. საფრანგეთში კი გაცილებით მეტი ჯაფა გადაგვხდა, რადგან გუნდში მარადონა აღარ გვყავდა.

— დიეგო! მერე?

— დიეგოს მერე არგენტინაში ერთ ფეხბურთელსაც არ აღვუფრთოვანებივარ. მართალია, ძალიან ბევრი კარგი მოთამაშე გვყავს, მაგრამ ზოგი უცხოეთში ველარ ყოჩაღობს, ზოგი კი პირიქით, ნაკრებში დაბრუნებული აღარ ვარგა. ცუდად ნუ გამიგებთ, ძალიან კარგები ნამდვილად არიან, მაგრამ იმის გაკეთება, რასაც მარადონა აკეთებდა, არავის შეუძლია. ძალიან მომწონს ორტეგა. თავიდან, იტალიაში იგი ბევრს არ ეხატებოდა გულზე, ვინაიდან ბურთს დიდხანს იჩერებდა, მაგრამ არიელი შეიცვალა. დღეს ის ბევრს დარბის, გუნდისთვის თამაშობს და კარგ პასებს აწვდის. დიდი ფეხბურთელი გახლავთ რედონდო.

— ზეწოლაზე რაღას იტყვით. ეს ხომ იტალიური სტილია.

— დიახ, იტალიაში ყოველდღე პრესის ქვეშ ხარ. სხვაგან ასე არაა. ესპანეთში კვირას შუადღისას რომ ითამაშებ, საღამოს აღარავის ახსოვს. ინგლისში მატჩი რომ დამთავრდება, მაშინ მთავრდება ყველაფერი. იცით, იტალიაში თამაშს თუ გაუძელი, ყველა ქვეყანას იოლად გაუმკლავდები. ხშირად კითხულობენ, იტალია ფეხბურთის NBA თუ არისო. დიახ, არის, თამაშების ხარისხის, ვარსკვლავების და საერთოდ, ყველაფრის გამო. ერთი ხნის წინ ინგლისში გადასვლაზე უარი ვთქვი იმიტომ, რომ აქაური ფეხბურთი ადამიანისგან გაცილებით მეტს ითხოვს და ყოველივეს თუ მოწყდები, ძალიან დაგაკლდება.

— თანამედროვე მწვრთნელები ლამისაა მეცნიერებად იქცნენ...

— ბევრი მწვრთნელი გამომიცვლია და ვერ გეტყვით, რომელი იყო საუკეთესო. შენი თამაში თანაგუნდელებზეა დამოკიდებული. მალეზანისთან იოლად ვთამაშობდი, ტრაპატონისთანაც ჩინებულად ვგრძნობ თავს. მიყვარს შეტევა და სტილი არავისთან შემიცვლია. კიდევ, გაარნია დანარჩენი ათი კაცი რას აკეთებს. ერთია მარადონას გვერდით ყოფნა, მის გარეშე კი სულ სხვაა.

— პრესის გავლენაზე რას იტყოდით?

— არგენტინაში პრესის ნახევარს მოვწონვართ, ნახევარი კი, [illegible] ნაღმდეგეს [illegible] [illegible] [illegible]

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

„კროკოს“ მთავარი ოფისი ფშრცელაძის ქუჩაზე
(კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში)
11⁰⁰ საათიდან 18⁰⁰ საათამდე მუშაობს

გერმანია. მეორე ბუნდესლიგა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	მ	ფ	წ	ბ	მ	ფ	წ	ბ
კიოლნი	11	7	3	1	23:8	24	5	1	0	18:3	2	2	1	5:5
კოტბუსი	11	8	0	3	24:11	24	5	0	1	13:6	3	0	2	11:5
ბერლინი	11	5	4	2	22:16	19	3	2	1	10:7	2	2	1	12:9
ქემნიცი	11	5	3	3	16:13	18	3	2	0	10:4	2	1	3	6:9
ალემანია	11	5	3	3	21:21	18	3	2	1	13:8	2	1	2	8:13
ჰანოვერი	11	5	2	4	18:14	17	2	2	1	10:7	3	0	3	8:7
ფიურტი	11	4	5	2	9:7	17	2	4	0	3:0	2	1	2	6:7
ნიურნბერგი	11	5	2	4	18:21	17	4	1	0	12:6	1	1	4	6:15
მაინცი	11	3	6	2	13:13	15	2	3	0	7:4	1	3	2	6:9
კიკერსი	11	4	3	4	15:19	15	4	2	0	10:5	0	1	4	5:14
ბოხუმი	11	4	2	5	18:19	14	2	0	4	14:15	2	2	1	4:4
ვალდჰოფი	11	3	3	5	15:19	12	3	1	1	12:7	0	2	4	3:12
ფორტუნა	11	3	3	5	10:15	12	3	1	1	7:4	0	2	4	3:11
გლადბახი	11	3	2	6	14:18	11	2	0	3	8:7	1	2	3	6:11
კარლსრუე	11	2	4	5	19:21	10	1	1	3	7:8	1	3	2	12:13
ობერჰაუზენი	11	2	4	5	10:15	10	2	2	2	8:9	0	2	3	2:6
ზტ. პაული	11	1	6	4	9:14	9	0	5	1	3:5	1	1	3	6:9
ოფენბახი	11	1	3	7	7:17	6	1	0	4	3:8	0	3	3	4:9

ინგლისი. პირველი დივიზიონი

სიტი	17	11	3	3	26:11	36	7	0	1	18:5	4	3	2	8:6
ჩარლტონი	15	10	2	3	27:15	32	7	1	0	16:5	3	1	3	11:10
ჰადერსფილდი	17	9	4	4	33:19	31	7	2	0	27:9	2	2	4	6:10
ფულემი	16	7	7	2	19:11	28	5	2	1	9:3	2	5	1	10:8
ბარნსლი	16	9	1	6	30:25	28	7	0	2	22:8	2	1	4	8:17
იფსვიჩი	16	8	3	5	31:22	27	6	0	2	19:10	2	3	3	12:12
ბირმინგემი	17	7	6	4	27:19	27	5	2	1	17:7	2	4	3	10:12
სტოკპორტი	17	7	6	4	22:23	27	5	4	0	16:10	2	2	4	6:13
ქუინზ პარკი	16	6	7	3	24:18	25	3	5	0	12:8	3	2	3	12:10
ვულვზი	16	6	7	3	18:15	25	3	3	2	10:7	3	4	1	8:8
ბოლტონი	16	6	5	5	24:18	23	5	3	1	17:11	1	2	4	7:7
ნორვიჩი	16	6	5	5	16:15	23	5	0	3	9:7	2	5	3	10:11
პორტსმუთი	17	5	5	7	23:28	20	4	3	2	16:9	1	2	5	7:19
ტრანმერი	17	5	4	8	23:27	19	4	3	2	15:12	1	1	6	8:15
გრიმსბი	16	5	4	7	15:23	19	4	2	1	7:4	1	2	6	8:19
ნოტინგემი	16	4	6	6	20:18	18	3	4	0	13:6	1	2	6	7:12
ვესტ ბრომვიჩი	15	3	9	3	13:14	18	1	6	2	7:8	2	3	1	6:6
შეფილდ იუნ.	16	4	4	8	18:27	16	3	3	2	12:8	1	1	6	6:19
ბლეკბერნი	14	3	6	5	16:17	15	2	3	2	8:7	1	3	3	8:10
პორტვეილი	17	4	3	10	21:27	15	4	0	5	11:11	0	3	5	10:16
უოლსოლი	17	3	5	9	14:28	14	1	3	4	6:11	2	2	5	8:17
კრ. პალასი	15	3	4	8	19:29	13	2	3	2	12:8	1	1	6	7:21
ქრიუ	16	3	4	9	16:29	13	2	2	3	5:8	1	2	6	11:21
სუინდონი	17	3	4	10	12:29	13	2	3	3	9:15	1	1	7	3:14

ინგლისი. მეორე დივიზიონი

ნოტსი	16	10	3	3	24:13	33	4	2	2	9:6	6	1	1	15:7
უიგანი	15	8	7	0	30:13	31	6	1	0	15:3	2	6	0	15:10
პრესტონი	16	8	6	2	24:17	30	5	1	2	11:9	3	5	0	13:8
ბარნლი	16	8	5	3	23:11	29	6	1	1	18:6	2	4	2	5:5
ბრენტფორდი	17	7	8	2	23:14	29	5	3	1	14:6	2	5	1	9:8
როვერსი	16	8	5	3	18:11	29	4	3	1	9:5	4	2	2	9:6
სტოკი	16	8	4	4	23:15	28	4	2	2	11:7	4	2	2	12:8
ლუთონი	16	8	3	5	22:17	27	6	2	0	18:9	2	1	5	4:8
ჯილინგემი	16	7	5	4	27:20	26	5	1	2	16:8	2	4	2	11:12
მილუოლი	15	6	5	4	21:19	23	3	3	1	9:8	3	2	3	12:11
ბერი	15	5	7	3	25:18	22	4	3	1	17:12	1	4	2	8:6
უიკომბი	16	5	7	4	21:20	22	3	3	2	12:10	2	4	2	9:10
ბორნმუთი	15	6	4	5	19:18	22	5	2	1	13:5	1	2	4	6:13
სკანთორპი	16	5	4	7	15:22	19	2	2	4	7:11	3	2	3	8:11
ოლდემი	16	5	3	8	18:21	18	3	1	4	10:10	2	2	4	8:11
რექსჰემი	16	4	4	8	16:30	16	3	2	3	10:10	1	2	5	7:20
ბრისტოლი	15	3	6	6	15:20	15	2	6	0	11:6	1	0	6	4:14
ოქსფორდი	16	4	3	9	16:22	15	2	2	4	9:10	2	1	5	7:12
კარდიფი	16	2	7	7	16:23	13	1	6	1	8:8	1	1	6	8:15
რედინგი	14	3	3	8	19:28	12	2	2	3	8:10	1	1	5	11:18
ბლეკპული	16	2	6	8	17:30	12	1	4	3	8:14	1	2	5	9:16
კემბრიჯი	16	2	5	9	23:30	11	2	3	3	15:15	0	2	6	8:15
ჩესტერფილდი	15	2	5	8	10:17	11	1	2	4	5:8	1	3	4	5:9
კოლჩესტერი	15	2	5	8	17:34	11	2	3	2	10:14	1	2	5	7:20

რუსეთი. საბოლოო ცხრილი

სპარტაკი	30	22	6	2	75:24	72	12	2	1	39:9	10	4	1	36:15
ლოკომოტივი	30	20	5	5	62:30	65	11	2	2	33:13	9	3	3	29:17
ცსკა	30	15	10	5	56:29	55	11	3	1	38:13	4	7	4	18:16
ტორპედო	30	13	11	6	38:33	50	7	4	4	22:18	6	7	2	16:15
დინამო	30	12	8	10	44:41	44	7	5	3	23:14	5	3	7	21:27
ალანია	30	12	7	11	54:45	43	9	3	3	39:18	3	4	8	15:27
როსტსელმაში	30	11	8	11	32:38	41	8	4	3	22:17	3	4	89	10:21
ზენიტი	30	9	12	9	36:34	39	7	6	2	21:13	2	6	7	15:21
ურალანი	30	10	6	14	27:34	36	8	4	3	20:9	2	2	11	7:25
სატურნი	30	8	10	12	30:38	34	6	6	3	22:15	2	4	9	8:23
ნ. ნოვგოროდი	30	9	6	15	33:48	33	5	4	6	17:19	3	3	9	16:30
კრილია	30	8	7	15	29:49	31	6	3	6	24:20	2	4	9	15:29
როტორი	30	7	10	13	36:51	31	5	5	5	23:21	2	5	8	13:30
ჩერნომორეცი	30	7	8	15	31:49	29	6	6	3	18:14	1	2	12	13:35
ქემჩუჟინა	30	5	11	14	29:55	26	5	6	4	20:23	0	5	10	9:32
შინიკი	30	5	9	16	21:45	24	5	5	5	13:14	0	6	11	8:31

ინგლისი. მესამე დივიზიონი

ბარნეტი	17	10	4	3	23:16	34	5	2	1	15:9	5	2	2	8:7
პიტერბრო	16	10	2	4	24:16	32	7	1	0	16:6	3	1	4	8:10
როტერჰემი	16	9	3	4	26:10	30	7	0	1	18:1	2	3	3	8:9
ტორკი	16	9	2	5	20:16	29	4	2	2	11:7	5	0	3	9:9
დარლინგტონი	16	8	4	4	18:11	28	6	2	0	14:3	2	2	4	4:8
საუთენდი	16	8	3	5	23:20	27	5	2	1	15:9	3	1	4	8:11
მაკლსფილდი	16	8	2	6	24:20	26	3	1	4	11:11	5	1	2	13:9
ბრაიტონი	16	7	4	5	23:14	25	5	0	3	14:5	2	4	2	9:9
ჰალიფაქსი	16	7	3	6	20:18	24	4	1	3	12:9	3	2	3	8:9
ნორთჰემპტონი	16	7	3	6	13:11	24	4	1	3	8:5	3	2	3	5:6
სუონსი	15	7	2	6	16:13	23	5	0	2	11:5	2	2	4	5:8
პლიმუთი	15	6	5	4	19:17	23	4	4	0	14:6	2	1	4	5:11
ჰარტლპული	16	7	1	8	21:17	22	5	0	3	12:5	2	1	5	9:12
ექსეტერი	16	6	4	6	18:17	22	4	2	2	9:9	2	2	4	9:8
ლინკოლნი	16	6	4	6	23:24	22	4	2	2	10:6	2	2	4	13:18
როჩდეილი	16	6	3	7	11:9	21	1	3	4	2:6	5	0	3	9:3
იორკი	16	5	5	6	15:20	20	2	3	3	6:10	3	2	3	9:10
მენსფილდი	16	5	4	7	22:25	19	3	3	2	16:9	2	1	5	6:16
ჰალი	16	4	5	7	12:16	17	2	3	3	8:8	2	2	4	4:8
ჩელტენემი	15	5	2	8	11:15	17	3	1	4	7:9	2	1	4	4:6
კარლაისლი	16	3	5	8	16:28	14	3	2	3	9:10	0	3	5	7:18
შრიუსბერი	16	3	3	10	13:28	12	1	2	5	7:11	2	1	5	6:17
ჩესტერი	16	3	3	10	16:32	12	1	1	6	5:14	2	2	4	11:18
ლეიტონი	16	2	4	10	13:27	10	2	2	4	7:10	0	2	6	6:17

იტალია. სერია B

ბრეშა	10	6	4	0	15:4	22	3	2	0	10:2	3	2	0	5:2
ატალანტა	10	6	2	2	15:8	20	4	0	0	10:4	2	2	2	5:4
ვიჩენცა	10	6	1	3	19:9	19	4	1	0	14:3	2	0	3	5:6
სამპდორია	10	4	5	1	10:7	17	2	3	0	5:3	2	2	1	5:4
ტრევიზო	10	4	3	3	18:12	15	4	0	1	13:5	0	3	2	5:7
ალძანო	10	4	3	3	13:12	15	4	1	1	10:6	0	2	2	3:6
ჩეზენა	10	3	5	2	10:8	14	2	3	0	3:1	1	2	2	7:7
პესკარა	10	3	5	2	15:14	14	2	2	1	10:8	1	3	1	5:6
ნაპოლი	10	3	5	2	15:14	14	3	2	0	11:5	0	3	2	4:9
ტერნანა	10	3	4	3	11:15	13	2	3	0	7:5	1	1	3	4:10
რავენა	10	2	6	2	11:9	12	2	2	1	7:4	0	4	1	4:5
ემპოლი	10	3	3	4	6:13	12	3	2	0	6:3	0	1	4	0:10
კიევო	10	3	2	5	12:13	11	3	1	1	7:4	0	1	4	5:9
მონცა	10	2	5	3	9:11	11	2	3	0	4:2	0	2	3	5:9
კოზენცა	10	2	5	3	7:9	11	2	1	2	4:4	0	4	1	3:5
სავოია	10	2	5	3	10:14	11	2	3	0	5:3	0	2	3	5:11
ჯენოა	10	2	3	5	10:11	9	2	2	1	8:4	0	1	4	2:7
სალერნიტანა	10	1	5	4	10:17	8	1	4	0	6:4	0	1	4	4:13
პისტოიეზე	10	3	1	6	8:14	6	3	0	2	6:5	0	1	4	2:9
ფერმანა	10	1	2	7	8:18	5	1	2	2	5:6	0	0	5	3:12

იტალია. სერია C1/a

სპალ	9	5	3	1	11:5	18	2	2	0	4:1	3	1	1	7:4
ჩიტადელა	9	4	5	0	12:7	17	2	3	0	8:5	2	2	0	4:2
სიენა	9	5	2	2	11:6	17	2	0	2	3:3	3	2	0	8:3
პიზა	9	4	3	2	8:5	15	2	1	1	5:4	2	2	1	3:1
ბრეშელო	9	3	3	3	11:10	12	1	2	1	5:5	2	1	2	6:5
ლეკო	9	2	6	1	8:7	12	1	2	1	3:3	1	4	0	5:4
კარარეზე	9	3	3	3	9:10	12	1	3	1	5:6	2	0	2	4:4
რეჯანა	9	3	2	4	8:7	11	2	0	3	4:5	1	2	1	4:2
კრემონეზე	9	2	5	2	8:8	11	1	2	1	4:4	1	3	1	4:4
ალბინოლეფე	9	2	5	2	9:10	11	1	3	1	5:5	1	2	1	4:5
ვარეზე	9	1	7	1	8:8	10	0	3	1	3:4	1	4	0	5:4
ლუმეცანე	9	2	4	3	7:7	10	1	2	2	3:3	1	2	1	4:4
ლივორნო	9	2	4	3	9:11	10	1	2	2	5:6	1	2	1	4:5
ლუკეზე	9	2	4	3	10:14	10	2	1	1	5:5	0	3	2	5:9
მოდენა	9	2	3	4	8:9	9	0	3	2	2:4	2	0	2	6:5
კომო	9	1	5	3	6:10	8	0	4	2	2:7	1	3	1	4:3
მონტევარკი	9	0	6	3	7:10	6	0	4	1	5:6	0	2	2	2:4
სანდონა	9	0	6	3	3:9	6	0	2	2	1:5	0	4	1	2:4

იტალია. სერია C1/b

ანკონა	9	6	1	2	14:6	19	4	1	0	11:4	2	0	2	3:2
კროტონე	9	4	5	0	18:9	17	3	1	0	11:3	2	3	0	7:5
კატანია	9	4	4	1	11:5	16	2	3	0	5:1	2	0	2	5:4
პალერმო	9	4	4	1	8:3	16	2	3	0	6:2	2	1	1	2:1
ასკოლი	9	4	3	2	19:7	15	3	1	1	13:2	1	2	1	6:5
ბენევენტო	9	4	2	3	7:10	14	4	0	1	6:2	0	2	2	1:8
სტაბია	9	2	6	1	12:8	12	1	2	1	7:4	1	4	0	5:4
არეცო	9	2	5	2	11:9	11	2	2	0	6:3	1	2	2	5:5
ნოჩერინა	9	2	5	2	8:9	11	2	2	0	4:2	0	3	2	4:7
ვიტერბეზე	9	3	2	4	13:15	11	2	2	1	8:6	1	0	3	5:9
დი სანგრო	9	2	5	2	8:11	11	1	2	1	4:5	1	3	1	4:6
გუალდო	9	2	4	3	9:12	10	2	2	0	6:4	0	2	3	3:8
ლოდიჯანი	9	2	4	3	9:13	10	2	1	1	4:4	0	3	2	5:9
ჯულიანოვა	9	2	3	4	5:9	9	2	1	2	4:5	0	2	2	1:4
ფ. ანდრია	9	1	5	3	5:8	8	1	4	0	3:2	0	1	3	2:6
აველინო	9	2	2	5	7:13	8	2	1	2	6:5	0	0	4	0:8
ატლეტიკო	9	1	4	4	5:7	7	1	1	2	3:3	0	3	2	2:4
მარსალა	9	1	2	6	4:19	5	1	2	1	3:4	0	0	5	1:15

ესპანეთი. მეორე დივიზიონი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	მ	ფ	წ	ბ	მ	ფ	წ	ბ
სალამანკა	13	8	4	1	22:11	28	5	1	1	14:6	3	3	0	8:5
ესტრემადურა	13	8	3	2	17:12	27	6	1	0	12:3	2	2	2	5:9
ლას პალმასი	13	8	1	4	24:14	25	5	0	1	15:4	3	3	3	9:10
ლევანტე	13	6	4	3	21:19	22	6	1	0	14:3	0	3	3	7:16
ალბასეტე	13	6	4	3	14:12	22	2	3	2	7:8	4	1	1	7:4
ტენერიფე	13	6	3	4	20:15	21	4	2	1	12:6	2	1	3	8:9
ლეიდა	13	6	2	5	23:17	20	3	2	2	12:7	3	0	3	11:10
ეიბარი	13	5	5	3	20:15	20	3	3	1	10:6	2	2	2	10:9
ვილიარეალი	13	5	4	4	21:15	19	2	3	2	10:9	3	1	2	11:6
სპორტინგი	13	6	1	6	20:18	19	3	0	3	9:7	3	1	3	11:11
ოსასუნა	13	6	1	6	14:13	19	4	1	1	10:4	2	0	5	4:9
მერიდა	13	4	5	4	14:12	17	2	3	1	8:5	2	2	3	6:7
ბადახოსი	13	3	8	2	11:10	17	2	4	1	8:7	1	4	1	3:3
ელჩე	13	4	5	4	16:16	17	3	3	1	10:8	1	2	3	6:8
კომპოსტელა	13	4	4	5	18:19	16	2	2	2	7:6	2	2	3	11:13
კორდობა	13	3	4	6	13:18	13	2	0	4	7:10	1	4	2	6:8
ხეტაფე	13	3	4	6	10:15	13	2	2	3	6:8	1	2	3	4:7
ლოგრონიესი	13	2	6	5	18:21	12	2	3	1	13:11	0	3	4	5:10
უელვა	13	3	3	7	9:20	12	1	2	3	4:9	2	1	4	5:11
ლეგანესი	13	2	5	6	9:20	11	1	3	2	4:5	1	2	4	5:15
ატლეტიკო B	13	2	3	8	11:21	9	1	1	4	7:11	1	2	4	4:10
ტოლედო	13	2	3	8	9:21	9	1	1	4	3:9	1	2	4	6:12

პორტუგალია

ბენფიკა	10	7	2	1	17:6	23	4	1	0	9:2	3	1	1	8:4
მარიტიმუ	10	6	2	2	16:8	20	4	1	0	9:1	2	1	2	7:7
პორტუ	10	5	4	1	17:7	19	4	1	0	13:3	1	3	1	4:4
გიმარაეში	10	5	3	2	18:12	18	4	1	0	10:3	1	2	2	8:9
სპორტინგი	10	5	3	2	15:10	18	4	1	0	8:2	1	2	2	7:8
ბოავიშტა	10	5	3	2	9:7	18	3	1	1	6:4	2	2	1	3:3
ჟილ ვისენტე	10	5	2	3	13:8	17	3	1	1	9:4	2	1	2	4:4
ალვერკა	10	5	2	3	13:12	17	4	1	0	9:4	1	1	3	4:8
ბელენენსეში	10	4	3	3	14:11	15	3	2	0	8:4	1	1	3	6:7
ამადორა	10	2	6	2	11:12	12	2	2	1	7:6	0	4	1	4:6
რიუ ავე	10	2	5	3	11:16	11	1	3	1	7:9	1	2	2	4:7
სანტა კლარა	10	2	4	4	13:15	10	1	2	2	5:8	1	2	2	8:7
სალგეირუში	10	3	1	6	8:13	10	2	1	2	4:4	1	0	4	4:9
კამპომაიორენსე	10	3	1	6	9:16	10	2	1	2	7:8	1	0	4	2:8
ფარენსე	10	1	5	4	7:16	8	1	2	2	5:8	0	3	2	2:8
ლეირია	10	1	4	5	8:12	7	1	3	1	5:3	0	1	4	3:9
სეტუბალი	10	1	3	6	10:18	6	1	2	2	7:7	0	1	4	3:11
ბრაგა	10	1	1	8	10:20	4	0	1	4	3:8	1	0	4	7:12

ჰოლანდია

აიაქსი	12	9	2	1	40:17	29	4	1	1	19:9	5	1	0	21:8
პსვ	11	9	1	1	46:10	28	5	1	0	28:5	4	0	1	18:5
ჰერენვენი	12	8	1	3	22:12	25	3	1	1	8:5	5	0	2	14:7
როდა	12	8	1	3	21:13	25	4	0	3	13:9	4	1	0	8:4
ტილბურგი	11	8	1	2	23:19	25	4	1	1	13:11	4	0	1	10:8
ვიტესი	11	6	3	2	21:15	21	5	0	1	18:11	1	3	1	3:4
ტვენტე	12	5	6	1	20:14	21	2	3	0	12:9	2	4	1	7:5
ვალვიკი	12	6	2	4	21:23	20	3	2	2	13:15	3	0	2	8:8
ფეიენოორდი	11	5

რეფერენდუმი

საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

XX საუკუნის საქართველოს სპორტსმენი

სამი კითხვა ლაურეატს

1. დაგვისახელეთ თქვენი სპორტული კარიერის ყველაზე სასიხარულო და ყველაზე გულდასაწყვეტი ეპიზოდები.

2. ქართული სპორტი კრიზისშია. რაში ხედავთ გამოსავალს?

3. ვინ მიგაჩნიათ საქართველოს XX საუკუნის სამ საუკეთესო სპორტსმენად?

ალისა ასიტაშვილი

კალათბურთი

დაიბადა 1932წლის 14 აპრილს თბილისში. ევროპის ორგზის (1954, 1956) ჩემპიონი, ახალგაზრდობის I და II სპორტული თამაშების გამარჯვებული (1953, 1955), სტუდენტთა XII საერთაშორისო თამაშების (1954) ვერცხლის პრიზიორი

1. 1950 წელს თბილისის ტინო-ს შემადგენლობაში საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ჩემპიონატში ვმონაწილეობდით. ჩვენს ჯგუფში მოსკოველთა გუნდიც გამოდიოდა, რომელსაც ორი ქულით მოვუგეთ. მათ კარგი გუნდი ჰყავდათ. მერე ბევრი მათგანი საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც გამოდიოდა ჩემთან ერთად. მათ შორის იყვნენ შემდეგში ცნობილი სპორტული კომენტატორი ნინა ერიომინა და მისი ტყუპისცალი. მოსკოველებმა ისე განიცადეს წაგება, მთელი გუნდი გულამომჯდარი ტიროდა, თან გვემუქრებოდნენ, ფინალში მოგიგებთო. ფინალში მართლაც შევხვდით ერთმანეთს და ამჯერად 18 ქულით მოვიგეთ... მოსკოველთა ტირილი მაშინ უნდა გენახათ. ყველაზე სასიამოვნოდ ეს ეპიზოდი დამამახსოვრდა. უსიამოვნო ეპიზოდს რაც შეეხება, წელიწადი ზუსტად არ მახსოვს, მგონი, 1959 იყო, საბჭოთა კავშირის ზამთრის ჩემპიონატში რიგელებს ვხვდებოდით. მაშინ მათ ერთი ძალიან კარგი მაღალი მოთამაშე ჰყავდათ — სმილზინია. მატჩი თბილისში გაიმართა და ორი ქულით მოვიგეთ. სამწუხაროდ, გათამაშების მაშინდელი ფორმულა კარგად არ მახსოვს. სამაგიეროდ, მახსოვს, რომ ფინალში, ოდესაში ისევ ჩვენ შევხვდით ერთმანეთს და წავაგეთ.

2. როცა სახელმწიფო ეკონომიკურად მომაგრდება, კრიზისიც მაშინ დაიძლევა. ქართველები ნიჭიერი ხალხი ვართ და სპორტის ინდივიდუალურ სახეობებში თითო-ოროლა კარგი სპორტსმენი (გიორგი კანდელაკი და ნინო სალუქვაძე რომ არიან) მუდამ გვეყოლება, მაგრამ გუნდურ სახეობებში აუცილებელია სწორი სელექცია. რაც მეტი ბავშვი ჩაებმება სპორტულ სექციებში, მით მეტია კარგი სპორტსმენის გამოჩენის ალბათობა. შეიძლება ნონა გაფრინდაშვილისნაირი არ გამოჩნდეს, მაგრამ მაღალი დონისა იყოს. სამწუხაროდ, საშუალო შეძლების ოჯახებს სპორტზე ვერ დაჰყავთ შვილები, რადგან საამისო ფინანსური შესაძლებლობა არა აქვთ. ბავშს ხომ სპორტის გარდა ბევრი სხვაც უნდა. ჩოგბურთზე ბევრი ოჯახი ვერ მიიყვანს შვილს, რადგან ის ძვირი სახეობაა. ამიტომ იკლო სექციებში ბავშვთა რაოდენობამ. აღარც ქუჩებსა და ეზოებში თამაშის საშუალებაა. ბავშვთა სპორტი დღეს ადრინდელივით მასობრივი აღარაა. ჩემს დროს კალათბურთის სექციებში უამრავი ბავშვი დადიოდა. ტარდებოდა რესპუბლიკური თუ საქალაქო ტურნირები. ქართულ კალათბურთს წარმატებებიც შესაბამისი ჰქონდა. დღეს კი გოგონათა ჯგუფები საერთოდ არ არსებობს. საოცრად შემცირდა ვაჟთა ჯგუფების რაოდენობაც. შესაბამისად იკლო წარმატებებმაც. ამიტომ მივიწევ კრიზისის დაძლევის წინაპირობად ქვეყნის ეკონომიკურ მოძლიერებას. მაშინ აღარც ჩვენი სპორტსმენები გაიქცევიან საზღვარგარეთ. მშიერ ბავშვს ვარჯიში როგორ უნდა მოსთხოვო?! იქნებ ჩვენც მშივრები ვვარჯიშობდით, მაგრამ დღეს სხვა დროა.

3. ვიქტორ სანეევი, გივი კარტოზია, ლევან თედიაშვილი
ნონა გაფრინდაშვილი, ნინო სალუქვაძე, ნინო დუმბაძე



ალექსანდრ და ევგენია: ფიგურული ინტერნაციონალი საქართველოსა

ნამდვილ ქართველს კი ჩაიკოვსკაია ავარჯიშებს



ფოტო ალექსანდრ ბორკოვი

ვახტანგ მურვანიძე

არცთუ დიდი ხნის წინ ვწერდით, ფიგურულად მოსრიალე რუსულ წყვილს — ალექსანდრ ჩისნიხსა და ევგენია ფილონენკოს საქართველოს სახელით სრიალი სურთო. ნათქვამს მაშინ ისიც დავამატეთ, საქმე თითქმის გადაწყვეტილია, მაგრამ ირინე სლუცკაიას შარშანდელი მაგალითის გათვალისწინებით (როცა მისი გადმოსვლა ბოლო მომენტში ჩაიშალა) დასკვნებს ჯერ ნუ გავაკეთებთო. ახლა კი დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს საქმე გადაწყდა. როგორც საქართველოს ფიგურული სრიალის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ირაკლი ჯაფარიძემ გვითხრა, ეს დუეტი ამ დღეებში ზაგრებში საქართველოს სახელითაც გამოვიდა. იქ ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი გაიმართა და აწ უკვე ჩვენებურებმა მეოთხე ადგილი დაიკავეს. შეგახსენებთ, რომ ამ ტურნირში შორეულ 1975 წელს ლია გაბელაიას გაუმარჯვია.

ამ წყვილს ყველა რუსულად მოიხსენიებს და ჩვენც ასე ამიტომ ვუწოდეთ, სინამდვილეში კი ინტერნაციონალურია. 19 წლის ევგენია ფილონენკო უკრაინელია, კიევიდან. დღემდე ის მხოლოდ წყვილებში გამოდიოდა და 1996 წელს იუნიორთა მსოფლიოს პირველობაზე ვერცხლის მედალიც მოიპოვა, ოღონდ მაშინ სხვასთან ერთად სრიალებდა. 1997-ში მან ძველ მეწყვილესთან ერთად დიდებშიც, სცადა ძალა ევროპის ჩემპიონატზე და მე-7 ადგილი დაიკავა. ის დუეტი წლევანდელი წლის დასაწყისში დაიშალა. ევგენია კიევიდან მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად და ზაფხულში ალექსანდრ ჩისნიხთან ახალი წყვილი შექმნა. 24 წლის მოსკოველი ჩისნიხის ყველაზე დიდ მიღწევად მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონატზე ერთეულებში დაკავებული 30-ე ადგილი ითვლება (ამავე პირველობაზე ჩვენებური ვახტანგ მურვანიძე მე-17 იყო). ისინი ამჟამადაც მოსკოვში ცხოვრობენ და ვარჯიშობენ ნინა მოზერის მეთაურობით. მომდევნო შეჯიბრი, სადაც ისინი საქართველოს სახელით გამოვლენ, იანვარში იტალიაში გაიმართება. ეს საერთაშორისო ტურნირია, მერე კი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები მოდის. ჯაფარიძის თქმით, უკრაინისა და რუსეთის ფედერაციებმა მათ ნება დართეს, საქართველოს სახელით ისრიალონ და დასტური წერილობითაც აცნობეს ჩვენს ფედერაციას.

ფიგურულ სრიალში ნაკრებთა ცვლის მეთოდი ფრიად გავრცელებულია. თუ სპორტსმენი თავისი ქვეყნის ნაკრებში ვერ ხვდება (თითოეულ სახეობაში გუნდში სამ მონაწილეზე ან წყვილზე მეტის გამოყვანა არ შეიძლება), მაშინ იგი სხვა გუნდში გადადის, რათა დიდ ტურნირებში ასპარეზობა შეძლოს. ჯაფარიძის თქმით, ამჟამად აზერბაიჯანის სახელით მოსრიალე წყვილში არც ერთია აზერბაიჯანელი, ხოლო შარშანდელ მსოფლიოს პირველობაზე რუსმა მარინა ანისინამ საფრანგეთის ღირსება დაიცვა და წყვილების ვერცხლსაც დაეპატრონა. ჩისნიხ-ფილონენკოს წყვილსაც ასე დაემართა — ვერც რუსეთის ნაკრებში დაიმკვიდრეს ადგილი და ვერც უკრაინისაში, მაგრამ რადგან ევროპულ, მსოფლიოსა თუ ოლიმპიურ ყინულზე სრიალი სურთ, ჩვენ მოგვმართეს. საქართველოში ხომ ფიგურისტთა წყვილი არ გვყავს. მართალია, არსებობს თორნიკე ტუკკაძისა და მოსკოველი ტატიანა სევიანერის ახალგაზრდული დუეტი (რომლებიც წელიწადია, მოსკოვში ვარჯიშობენ), მაგრამ ისინი პირველ საბრძოლო ნათლობას წლეულს მიიღებენ.

რაც შეეხება ნამდვილ ქართველ ფიგურისტს — ვახტანგ მურვანიძეს, ის გუშინ გერმანიაში გაემგზავრა. იქ, ქალაქ გელზენკირხენში, დიდი პრიზის გათამაშების პირველი ეტაპია, რომელშიც მურვანიძეც იასპარეზებს.

ფიგურულ სრიალში დიდი პრიზის ექვსი ეტაპი იმართება. მასში მსოფლიოს ჩემპიონატზე მოწინავე თორმეტ ადგილზე გასულები გამოდიან. თითოეული მონაწილე მხოლოდ ორ ტურნირში მოსინჯავს ძალას, მაგრამ მათი გადანაწილება საგანგებო კომისიის მეშვეობით ხდება და არა სპორტსმენთა პირადი სურვილით. ყველა ეტაპის დასრულების მერე ჯამდება შედეგები და საუკეთესო ექვსეული სუპერფინალში გადის.

როგორც გითხარით, მურვანიძემ შარშანდელ მსოფლიოზე მე-17 ადგილი დაიკავა და ამ პრიზის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდა, მაგრამ საერთაშორისო ფედერაციამ ის პერსონალურად მიიწვია. თანაც, კონკურსით და არა უკონკურსოდ. გელზენკირხენის მერე მურვანიძე სანკტ პეტერბურგში გამოვა. ის მაისიდან მოყოლებული მოსკოვში ვარჯიშობს სახელგანქმული ელენა ჩაიკოვსკაიასთან ისეთი ცნობილი სპორტსმენების გვერდით, როგორებიც მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონი მარია ბუტირსკაია და მესამე პრიზიორი იულია სოლდატოვა არიან. ვახტანგმა წლეულს ავსტრიაში კარლ შეფერის მემორიალზე იასპარეზა და მეოთხე ადგილი დაიკავა. რამდენიმე დღის წინის გაცივდა და ვარჯიშები ცოტა შეუფერხდა, თუმცა ბოლო დღეებში სრულფასოვნად ივარჯიშა.

რაც შეეხება თბილისის ფიგურული სრიალის სკოლას, იქ კომპრესორი გაფუჭდა და რადგან ყინულის შენარჩუნება შეუძლებელია, ამჟამად გაჩერებულია. ამით კი არა მარტო იქ მოვარჯიშე 350 ბავშვს ეშლება ხელი, გოგონათა ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატებს — ნათია ბაქრაძესა და ნინო აბაშიძესაც აზარალებს. მათ კი წლეულს თანატოლთა მსოფლიოს პირველობა ელით. ამჟამად მეორე კომპრესორის შეკეთება მიმდინარეობს.

ირაკლი თავაძე

მართვეების გადაფრენა

30-31 **ოქტომბერს** ბრიუგემ ჭაბუკ წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირს — ბელგიის სამეფო თასის გათამაშებას უმასპინძლა, რომელშიც თბილისის „ნეპტუნი-მართვეს" წყალბურთელებმაც იასპარეზეს. შეჯიბრება ორ ასაკობრივ ჯგუფში — 1983-84 და 1985-86 წლებში დაბადებულ მოზარდთა შორის ჩატარდა. ქართველების გარდა ბრიუგეს აუზში მასპინძელი, ჰოლანდიელი და ინგლისელი ყმწვილები ასპარეზობდნენ. თითოეულ ჯგუფში შვიდი გუნდი გამოდიოდა. ჩვენმა მართვეებმა ორივე ასაკში აჯობეს მეტოქეებს და დამსახურებულად, წაუგებლად მოიპოვეს ტურნირის ჩემპიონობა. თან, ორივე ასაკში გამარჯვებისთვის კლუბმა საგანგებო თასიც ირგუნა.

მომავალი არწივები ბრიუგეს ამაღლებული განწყობით ესტუმრნენ. ისინი ბელგიაში ძველი ნაცნობის — ქალაქ ეკლოს გუნდის მიწვევით რამდენიმე დღით ადრე ჩავიდნენ და ოთხი ამხანაგური თამაშიც გამართეს, რომელთაგანაც მხოლოდ ერთი წააგეს და ისიც მასპინძელთა პროფესიულ კლუბთან. მკითხველი იკითხავს, ეკლო რა ამათი ძველი ნაცნობიაო, საქმე ისაა, რომ „ნეპტუნი-მართვეს" მაისის ბოლოს გერმანიაში იასპარეზა იქაურ საერთაშორისო ტურნირში და მესამე ადგილიც დაიკავა (თავის დროზე ამაზეც ვწერდით). ბელგიელებთან ნაცნობობაც და სამომავლო თანამშრომლობაზე შეთანხმებაც მაშინ მოხდა. „ნეპტუნი-მართვეს" სურს, ამ ზაფხულს თავად უმასპინძლოს საერთაშორისო ტურნირს და როგორც უფროსი ასაკის მოთამაშეთა მწვრთნელი კახა კინწურაშვილი ამბობს (უმცროსებს ზურაბ ქოიავა წვრთნის), ბელგიელები უეჭველად გვესტუმრებიან.

ქართველი ბავშვები ბელგიიდან სპორტულ შედეგებით ხომ უზომოდ კმაყოფილები დაბრუნდნენ, მასპინძელთა პატივისცემითაც არანაკლებ ნასიამოვნებნი არიან. ბელგიელებმა ისინი საკუთარ ოჯახებში აცხოვრეს და თავიანთი ქვეყანაც დაათვალიერებინეს.

ირაკლი თავაძე

საგზურები განაწილდა



მარსელო რიოსი მსოფლიოს ჩემპიონატს მიღმა დარჩა

შტუტგარტისა და პარიზის მერსედეს სუპერ 9-ის სერიის ტურნირებმა საბოლოოდ გაარკვია იმ რვა ჩოგბურთელის ვინაობა, რომლებიც ATP ტურის მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზებენ. ანდრე აგასისა და ევგენი კაფელნიკოვს, რომლებმაც გერმანულ ჰანოვერში თამაშის უფლება კარგა ხანია, მოიპოვეს, ორშაბათს კიდევ 6 კოლეგა შეუერთდათ.

1. ანდრე აგასი (აშშ)	4650	ქულა
2. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი)	3127	
3. გუსტავო კუერტენი (ბრაზილია)	2563	
4. პიტ სამპრასი (აშშ)	2384	
5. ნიკოლას კიფერი (გერმანია)	2322	
6. ტოდ მარტინი (აშშ)	2319	
7. ტომას ენკვისტი (შვედეთი)	2310	
8. ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი)	2283	

„ყველაფერი იმის შემდეგ, რაც წლეულს გადამხდა, სასიამოვნოა, რომ მაინც მოვხვდი ჰანოვერში — განაცხადა მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა პიტ სამპრასმა, რომელსაც ზურგის უმძიმესი ტრავმის გამო თითქმის სამი თვე გაუცდა — ამ ათწლეულში თითოეულ ჩემპიონატზე მოხვედრა ისეთი მიღწევაა, რომლითაც ყოველთვის ვიამაყებ. წინა ტურნირებიდან ბევრი რამ მაქვს მოსაგონარი და მსურს, წელიწადი ასეთივე განწყობით დავასრულო. ახლა მთავარია, დროულად გამოვჯანმრთელდე და იქ თამაში მოვახერხო“.

„პისტოლ პიტი“ ამჟამად შინ, ლოს ანჯელესში იმყოფება და პარიზში კიდევ ერთხელ ნატკენ ზურგს იშუშებს, თუმცა არავინ იცის, მორჩება თუ არა მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე.

სამაგიეროდ, შესანიშნავ ხასიათზეა გუსტავო კუერტენი, რომელიც პირველი ჩოგბურთელია ბრაზილიიდან, მსგავსი პატივი რომ დიმსახურა: „მინდა, ჩემს ოჯახთან შამპანური გავხსნა და დავლიო ამის აღსანიშნავად, მარამ ბევრს არ ვიმხიარულებ. უნდა დავისვენო და კარგად ვივარჯიშო, რომ ჩემპიონატს სრულყოფილ ფორმაში შევხვდე“.

სამპრასის გარდა ტრავმა ამჟამად კიდევ ერთ ჩოგბურთელს — ნიკოლას კიფერს აწუხებს. 22 წლის გერმანელმა ორი კვირის წინ კოჭი გადაიბრუნა და სირბილი ახლაც უჭირს. ასე რომ, შესაძლებელია, მშობლიურ ჰალაქში, დიდი სურვილის მიუხედავადაც, ვერ ითამაშოს.

სწორედ ამიტომ, წლეულს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩემპიონატზე სათადარიგო მოთამაშედ შერჩევას. შანსი ამჟამად ოთხ ჩოგბურთელს აქვს.

9. მარსელო რიოსი (ჩილე)	2245
10. რიჩარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია)	2095
11. ტომი ჰაასი (გერმანია)	1921
12. ტიმ ჰენმანი (ინგლისი)	1920

ამათგან მარსელო რიოსი შეიძლება თამამად ჩამოვწეროთ სავარაუდო მონაწილეთა სიიდან. კოკინანმა ჩილელმა საზარდულის ტრავმის გამო სტოკჰოლმის ღია პირველობაზე თამაში იუარა და შეიძლება ოპერაციაც კი დასჭირდეს: „ისე მტკივა, რომ ასე ასპარეზობა შეუძლებელია. იმედია, მომავალი სეზონის დასაწყისში მაინც ვიქნები ჯანზე“.

რიჩარდ კრაიჩეკმა სათადარიგო ადგილისთვის ბრძოლა საერთოდ იუარა, მეზარება და სტიმული არ მაქვსო. ასე რომ, ამ კვირაში 25-29 ნოემბრის ჩემპიონატზე თუნდაც სხვის ხარჯზე მოსახვედრად ორნი — ტომი ჰაასი და ტიმ ჰენმანი იპაექრებენ. გერმანელს ამისთვის სტოკჰოლმის ტურნირზე ფინალში გასვლა სჭირდება, ინგლისელს — სულაც ჩემპიონობა.

ქალები

კაცების მსგავსად, გაირკვა „ჩეიზის“ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურთა მფლობელების ვინაობა მანდილოსანთა შორისაც. მომავალ კვირაში ნიუ იორკის „მედისონ სკვერ გარდენში“ იასპარეზებენ:

1. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია)	5423 ქულა
2. ვინუს უილიამსი (აშშ)	4000
3. ლინდსი დევენპორტი (აშშ)	3825
4. სერენა უილიამსი (აშშ)	3021
5. მარი პირსი (საფრანგეთი)	2528
6. მონიკა სელეში (აშშ)	2310
7. ბარბარა შეტი (ავსტრია)	2101
8. ჟული ალარი (საფრანგეთი)	1877
9. ნატალი ტოზია (საფრანგეთი)	1855
10. ამელი მორესმო (საფრანგეთი)	1852
11. ამანდა კუტცერი (სამ. აფრიკა)	1823
12. ანა კურნიკოვა (რუსეთი)	1587
13. კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი)	1514
14. სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი)	1501
15. დომინიკ ვან რუსტი (ბელგია)	1460
16. ანკე ჰუბერი (გერმანია)	1433

მაკინროი ისევ შფოთავს

ვისაც ეგონა, რომ ჩოგბურთის ნომერი პირველი შარისთავი ჯონ მაკინროი აშშ-ის დევისის თასის გუნდის კაპიტნად არჩევის შემდეგ მაინც დასერიოზულდებოდა, მწარედ შეცდა: ბებერმა მაკმა გასულ კვირაში ერთბაშად ორ ფრონტზე გამოიჩინა თავი ჩვეული ხუშტურებით.

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნის სიტყვიერი შეტევის მსხვერპლი პირველად პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაცია ATP გახდა: „მათი ქცევის წესი გაფიქრებინებს, რომ ის ჩრდილოეთ კორეასთან ერთად მსოფლიოში დღეს შემორჩენილი მეორე კომუნისტური ორგანიზაციაა. 20 წლის მანძილზე ვცდილობდი მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ATP-ს სურს, ჩოგბურთს უსახო და უსახელო სპორტსმენები თამაშობდნენ“.

მაკინროიმ ATP ჩოგბურთისთვის მხოლოდ ზიანის მოტანაშიც დაადანაშაულა: „სიტუაციას იმითაც აუარესებენ, რომ ისეც გადატვირთულ კალენდარს ახალ-ახალ ტურნირებს უმატებენ. არადა, თავად მოთამაშეებისა და გულშემატკივართა ინტერესებში იქნებოდა, პირიქით მომხდარიყო. კაცების ჩოგბურთს ამჟამად ეშხი აკლია, კიდევ კარგი, ქალები მაინც ანაზღაურებენ ამას“.

კიდევ ერთხელ კი მაკინროიმ თავი უკვე კორტზე გამოიჩინა. ინციდენტი ჰონ. კონგში, ვეტერანთა საჩენებელ ტურნირზე ფრანგ ანრი ლეკონტთან შეხვედრისას მოხდა, რომელიც ამერიკელმა 6:4, 7:5 მოიგო.

მეორე სეტში ანგარიში 3:3 იყო, როდესაც ლეკონტის სმეში გვერდითა ხაზს მოხვდა. გვერდითა მსაჯმა ქულა ფრანგს მიაკუთვნა, მაგრამ მაკინროის პროტესტის შემდეგ მთავარმა მსაჯმა ეს გადაწყვეტილება შეცვალა.

გაბრაზებული ლეკონტი ბადეს გადაახტა და მოთამაშეებმა გაოცებული მაყურებლების თვალწინ ლანძღვა-გინების კორიანტელი დააყენეს. გაწითლებული სახეებით ერთმანეთზე ლამის ცხვირით მიბჯენილმა ჩოგბურთელებმა თითქის ხუთი წუთი იკამათეს, მოგვიანებით კი მაკინროიმ განაცხადა, მეამაყება, რომ ყველაფერში და ყოველთვის ბოლომდე ვიბრძვიო.

საბოლოოდ ჯგუფური ტურნირიდან ლეკონტმაც გააღწია და მაკინროიმაც, ისინი ფინალში კიდევ ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს და ფრანგმა შურიც იძია 7:6(7:4), 6:0: „დღეს მე უკეთესად ვითამაშე და ბოლოდროინდელი მოვლენებისგან განსხვავებით, ვარჩიე, ჩოგბურთით მეთქვა სათქმელი. ძალიან, ძალიან გამახარა ამ მოგებამ, მით უმეტეს, რაგბით გამოწვეული იმედგაცრუების შემდეგ“.



ჯონ მაკინროი

ავთანდილ სვანიძე

საუკუნის კაცი

ლეონ შტუკელი

ოლიმპიური ჩემპიონებიც წუთისოფლის შვილები არიან და ისინიც, აღრე თუ გვიან, იმ ქვეყნად მიდიან. ზოგი ოლიმპიური ჩემპიონის გარდაცვალებას მხოლოდ ახლობლები და თავისი ქვეყნის მოქალაქენი გებულობენ, ზოგის სიკვდილის ამბავი კი მთელს დუნიას ელვისუსწრაფესად ედება. სწორედ ასეთი გამორჩეული ოლიმპიური ჩემპიონი იყო სლოვენიელი ლეონ შტუკელი.

— სამწუხაროდ, უნდა გაუწყოთ, რომ ლეონ შტუკელი ორშაბათს დილის სამ საათზე გულის უმარიობის გამო გარდაიცვალა მარიბორის საავადმყოფოში — განაცხადა შტუკელის მეგობარმა და მდივანმა ტომას ზაიცმა და ამ ინფორმაციამ იმ დღესვე თბილისშიც ჩამოაღწია.

მისმა სიკვდილმა დიდი ტკივილი მიაყენა შშობლიურ ერთი ციდა ალპურ ქალაქ ნოვო მესტოს, რომლის მოსახლეობაც ასე ამაყობდა ლეონ შტუკელი.

არა, ლეონ შტუკელი არ ყოფილა პაავო ნურმივით, ლარისა ლატინინასავით ან კარლ ლუისივით ცხრა-ცხრა ოლიმპიური ოქროს მედლებით დახუნძლული სპორტსმენი, იგი „მხოლოდ“ სამჯერ აღზევებულა ამგვარი თამაშების ჩემპიონობამდე. მიუხედავად ამისა, ბოლო წლებში მისი სახელი სულ უფრო პოპულარული ხდებოდა. საქმე ის გახლდათ, რომ ლეონ შტუკელი უხუცეს ოლიმპიურ ჩემპიონთა შორის უხუცესი იყო, რაკიღა ეს კაცი გასულ საუკუნეში დაბადებულა და ხვალ, 12 ნოემბერს, 101 წლისა უნდა მოყრილიყო.

შარშან, საუკუნისა რომ შეიქნა, მისი დაბადების დღის აღნიშვნას თეალმა სპორტულმა საზოგადოებამ და პრესამ მიაპყრო ყურადღება. ეს ბუნებრივიც გახლდათ, რაკიღა საუკუნეს პანტა-პუნტით როდი აღწევენ ადამიანები. სლოვენიელმა ჟურნალისტებმაც დაუფასეს ამაგი თავიანთ თანამემამულეს და იგი 1998 წლის პიროვნებად დაასახელეს. მაშინ, საუკუნოვან იუბილეზე, შტუკელი ათასობით კაცმა დაიფასა, მათ შორის სოკ-ის პრეზიდენტმა მარკიზ ხუან ანტონიო სამარანჩმა.

აღსანიშნავია, რომ შტუკელი ორი წლით ახალგაზრდაა თანამედროვეობის ოლიმპიურ თამაშებზე, სადაც მას ექვსი ოლიმპიური მედალი მოუპოვებია. მისი დებიუტი ოლიმპიურ თამაშებზე 1924 წელს შედგა პარიზში, სადაც მან ორი ოქროს მედალი მოიპოვა ტანვარჯიშში. მომდევნო თამაშებზე 1928 წელს ამსტერდამში მესამედაც ავიდა გამარჯვებულის კვარცხლბეკზე, რასაც ორი ბრინჯაოც დაუმატა, ხოლო 1936 წლის ბერლინის ოლიმპიურ თამაშებზე 37 წლისამ ოლიმპიურ ყულაბას ვერცხლის მედალიც შემატა.

სხვათა შორის, ბერლინის თამაშებზე ამერიკელ ოთხგზის ოლიმპიურ ჩემპიონ ჯეზი ოუენსთან შეხვედრა მისი ერთ-ერთი საუკეთესო მოგონებათაგანი ყოფილა.

რომ არა მაშინდელი იუგოსლავიის ხელმოკლეობა, იგი 1931 წლის ლოს ანჯელესის თამაშებზეც გამოვიდოდა და ვინ იცის, იქნებ იქ მეოთხე „ოქროც“ მოეპოვებინა.

შტუკელი, მრავალი საერთაშორისო შეჯიბრების გამარჯვებულიცაა, იმ შეჯიბრებებისა, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატების ჩანასახს წარმოადგენდნენ. ამიტომ შტუკელს მსოფლიოს ჩემპიონადაც ხშირად მოიხსენიებენ. მან ტანვარჯიშს 38 წლისამ დაანება თავი, უფრო სწორედ აქტიურ სპორტს, რადგან იგი ასი წლისაც მშვენივრად ასრულებდა იგივე ვარჯიშებს რგოლებზე, რომელიც 50 წლის წინათ ჩამოჰკიდა საკუთარ სახლში, მარიბორში.

საინტერესოა, რომ მისი ერთ-ერთი საფირმო მოძრაობა დღესაც ცნობილია, როგორც შტუკელის მანევრი.

ლეონ შტუკელის დამსახურება საშშობლოს წინაშე მართლაც განუზომელია. იგი ხომ სლოვენიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დამაარსებელიცაა. 1991 წელს, როდესაც იუგოსლავია დაიშალა, შტუკელი დამოუკიდებელი სლოვენიის მოქალაქე გახდა. მართალია, მანამდე იგი იუგოსლავიის სახელით ასპარეზობდა, მაგრამ თავისი ქვეყნის დროშის ქვეშ ოლიმპიურ სტადიონზე გამოსვლის ბედნიერებას მაინც ელირსა 1992 წელს ბარსელონაში, როდესაც ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალზე სლოვენიის გუნდს მიუყვებოდა.

კაცი ლეგენდა ასწლიანი ოლიმპიური თამაშების საპატიო სტუმარიც გახლდათ 1996 წელს ატლანტაში, სადაც მას მონახულებით პატივი დასდო აშშ-ს პრეზიდენტმა.

ლეონ შტუკელს მხოლოდ ხელის ჩამორთმევითა და სიტყვით როდი აფასებდნენ. მისი პორტრეტი აღუბეჭდავთ სლოვენიის ხურდა ფულზე და სატელეფონო ბარათზე. 1987 წელს იგი დაჯილდოვდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ორდენით.

ასაკის მიუხედავად ეს კაცი ყველას აოცებდა თავისი ჯანმრთელობით და სიკვდილამდე ენერგიით აღსავსე იყო. იგი ძველებურად უსათვალოდ კითხულობდა და მიუხედავად იმისა, რომ 80 წლისა პენსიაზე გავიდა, გარკვეულ დროს ისევ თავის პროფესიას, იურისტობას უთმობდა.

„შტუკელი შაბათ-კვირაობით დაკავებულია მთამსვლელობით. იგი 40 კილოგრამია, მაგრამ მისი სიცოცხლისუნარიანობა, ფიზიკური სიძლიერე და გონებრივი მდგომარეობა მას უზარმაზარ ენერგიას აძლევს“ — ასე წერდნენ ხუთი წლის წინათ „ოლიმპიკ მაგაზინში“ ლეონ შტუკელზე.

„თავის ხანგრძლივ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას შტუკელი იმით ხსნიდა, რომ სისტემატურად ვარჯიშობდა, ზომიერად იკვებებოდა და ყოველდღე, გარდაცვალებამდე თითო ჭიქა წითელ ღვინოს სვამდა — გაიხსენა მისმა მეგობარმა, თავადაც რომის (1964) და მეხიკოს (1968) ოლიმპიურმა ჩემპიონმა, 60 წლის მირო კერარიმ, რომელიც შტუკელს კერპად აღიქვამდა.

ამას წინათ შტუკელს ჰკითხეს, საპატიო სტუმრად სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზეც ხომ არ ჩახვალთო. ჩაფიქრებულა და ხანგრძლივი პაუზის მერე უთქვამს, ჩავალ, თუ კარგად ვიქნებიო.

ეტყობა, გული რაღაცას უგრძნობდა.

გიგა გურასაშვილი

ვაქირავებ ან ვყიდი

გარემონტებულ 1-ოთახიან იზოლირებულ ბინას

ტელეფონით და ბუნებრივი გაზით სარაჯიშვილის მეტროსთან

☎ 60 21 23

ევანდერ ჰოლიფილდი

REUTERS ლას ვეგასიდან

ლენოქს ლუისი

ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ

ᲚᲣᲘᲡ-ᲰᲝᲚᲘᲤᲘᲚᲓᲘᲡ ᲨᲔᲣᲧᲠᲐᲛᲓᲔ ᲝᲠᲘ ᲓᲦᲔ ᲓᲐᲠᲩᲐ

ᲚᲔᲜᲝᲥᲡ ᲚᲣᲘᲡᲛᲐ საჩვენებელი ვარჯიში გამართა ლას ვეგასის „ჰილტონ ჰოტელში". შაბათს იქაურ „ემჯიემში" დიდი ბრძოლა უნდა გაიმართოს მასა და ევანდერ ჰოლიფილდს შორის. ამ ბრძოლამ საუკუნის უდავო ჩემპიონი გამოარკვიოს, რახან ჯილდოდ სამი დიდი ვერსიის ქამარი უნდა დაიდება, ორი ჰოლიფილდის მოპოვებული და ერთიც ლუისისა.

ლუისმა ბარე სამ საათს ალოდინა მედია და გულეშმატკივრები. მისულმა კი რინგი სცენად გამოიყენა და ბრიტანული ზრდილობითა და თავდაჭერილობით გამოთქვა აზრები. თუმცა კი, ერთგვარი ქედმაღლობა მაინც გაეპარა ხმაში, როცა თქვა, აქ მძიმე წონის უდავო მეფესთან სასაუბროდ მოსულხართო.

ლუისს არ დაუმალავს, რომ ამჯერად ტაქტიკას შეცვლის და თუ ჰოლიფილდთან პირველი შეხვედრისას ქულებით მოგებას ეშურებოდა, ახლა ნოკაუტისთვის იბრძოლებს.

საჩვენებელ ვარჯიშზე მყოფმა მისმა მწვრთნელმა ემანუელ სტიაურდმა განაცხადა, რომ იმ ფრედ გამოცხადებული პირველი ბრძოლისას ლუისმა კი აჯობა ჰოლიფილდს, მაგრამ საკუთარ თავთან დამარცხდა. ლუისმა ფსიქოლოგიური წნეხი ვერ დაძლია და ჩვეულად ვერ გაილაღა რინგზე, ახლა კი, ეს პრობლემა მოხსნილია — ლენოქსმა იცის, ვინ არის ჰოლიფილდი. „ლენოქსი ერთგვარად დათრგუნა „მედისონ სკვერ გარდენმა". ვის არ დათრგუნავს?" — თქვა ქართველთა ძველმა ნაცნობმა, ლუისის მენეჯერმა ფრენკ მელოუნმა — „მაგრამ ახლა საშიში არაფერია".

„ჩემთვის არავის უთქვამს, რომ წავაგებ. ყველა მეუბნება, რომ უდავო ჩემპიონი ვარ", — დაურთო ლუისმა — „ტოტალიზატორში 8:5-ზე ვარ ფავორიტი. უკეთესი იქნებოდა, ჰოლიფილდი ყოფილიყო ფავორიტი. უფრო მეტი ბრაზით შევუტევდი. ისე კი, დასამტკიცებელი არაფერი მაქვს. ყველა ხედავს, რაც შემიძლია".

მერე ლენოქსს ჰკითხეს, შენისთანა კაცმა ოლივერ მაკოლთან როგორ წააგე ხუთი წლის წინათო.

„რინგზე ყოველი გასვლა გაკვეთილია" — იყო პასუხი — „ჩვენ ვამბობთ, რომ ნოკაუტისთვის ვიბრძოლებთ. მაგრამ ეს არ იქნება თვითმიზნური ბრძოლა. გამოვა, გამოვა. არ გამოვა და სხვაც ბევრი შეგვიძლია".

ლუისი 34 წლისაა, ჰოლიფილდი — 37-ის, ბრიტს მიაჩნია, რომ ევანდერი საუკეთესო მოკრივეა მსოფლიოში. რა თქმა უნდა, მის შემდეგ. თავად ჰოლიფილდი ალბათ, დღეს გაესაუბრება ჟურნალისტებს და მის აზრებსაც მალე შეეიტყობთ.

ᲐᲚᲑᲔᲠᲢ ᲮᲐᲩᲐᲢᲣᲠᲘᲜᲘᲫᲕᲘᲚᲘ

ᲗᲔᲝᲤᲘᲚᲝ ᲒᲕᲘᲐᲜᲑᲝᲚᲔᲡ

ᲛᲔ ᲛᲝᲕᲙᲚᲐᲕ ᲓᲔᲓᲐᲡ, ᲓᲐᲕᲣᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔ ᲛᲘᲛᲘᲢᲘᲚᲘ ᲗᲣᲙᲘ ᲤᲘᲓᲔᲚᲘ ᲛᲘᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲡ ᲐᲛᲐᲡ!

ᲐᲛᲐᲡᲬᲘᲜᲐᲗ, მაიამის აეროპორტში იქაური თანამშრომლისთვის თავური კბილების ჩამტვრევისთვის დაპატიმრებული კუბური კრივის ლეგენდა თეოფილო სტივენსონი სამშობლოში დაბრუნდა.

სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის ამერიკაში დაკავებას დიდი ხმაური მოჰყვა, მისმა მეგობრებმა 12500 დოლარი შეიტანეს და მოკრივე თავდებით გაათავისუფლეს, კუბის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კი საგანგებო განცხადება გააკეთა.

ერის დასამშვიდებლად სტივენსონმა ინტერვიუ მისცა ყოველკვირეულ „ტრაბახადორესს" და თავისებურად განმარტა მომხდარი:

„23 ოქტომბერს, ნიუ-იორკ-მაიამი-ჰავანას ტრანზიტით ვბრუნდებოდი სამშობლოში. ნიუ იორკში დავესწარი „ბრძოლების ღამე — 99"-ის შოუს, რომელზედაც ჩემმა მეგობარმა მუჰამედ ალიმ მიმიწვია. როცა თვითმფრინავში ჩასაჯდომ გვირაბს მივუახლოვდი, ვიღაც კაცი მომადგა და ბილეთი მთხოვა. მას არ ჰქონდა აეროპორტის მუშაკის არანაირი საბუთი, ამიტომ ბილეთი არ ვაჩვენე. პასუხად მან კუბელი ხალხისა და ფიდელ კასტროს გინება დაიწყო. ვერ მოვითმინე და ვუთხარი: გაჩუმდით, თორემ აქვე მოგკლავთ.

ყოველივე ამას შეესწრო გოგონა, რომელიც ჩასასხდომ ტალონებს გვიმოწმებდა. მეც მივეცი ჩემი ტალონი. უცნობმა კი ყვირილი დაიწყო, ეს თვითმფრინავში არ შეუშვათო. ამასობაში, გოგომ ტალონს კიდე მოახია და მე დამიბრუნა. ტალონი ხელიდან გამივარდა და როცა მის ასაღებად დავიხარე, თავი სახეში მოვარტყი ამ კაცს. მან პოლიციელებს უხმო და ხელბორკილი დამადეს.

ეს პირველი შემთხვევა არ არის. ოთხი წლის წინათ, ჩაკ ნორისმა მიმიპატიჟა და მაშინაც აეროპორტში მომიწყვეს მსგავსი რამ. მე ყველას ვაფრთხილებ — არავის შევარჩენ ჩემი ხალხისა და რევოლუციის გინებას".

აი, ასე. მიდი და უყარე კაკალი

მუჰამედ ალი და თეოფილო სტივენსონი

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲗᲐᲡᲘ

მსოფლიოს თასის რჩეული — ტიმ ჰორანი (ბურთით)

ᲢᲘᲛ ᲰᲝᲠᲐᲜᲘᲡ ᲝᲠᲛᲐᲒᲘ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ თასის გათამაშება შაბათს, 6 ნოემბერს დამთავრდა ავსტრალიელთა გამარჯვებით, რომლებმაც მეორედ მოიპოვეს მსოფლიოში უძლიერესის სახელი. კვირას კი „ვოლაბების" სამმეოთხედელმა ტიმ ჰორანმა კიდევ ერთი სასიხარულო ამბავი შეიტყო. თორმეტკაციანმა ჟიურიმ, რომლის თავმჯდომარეც გარეტ ედუარდსი იყო, იგი ტურნირის საუკეთესო მორაგბედ დასახელა.

„ძალიან მოხარულები ვართ, რომ ეს პრიზი ჰორანს ერგო. ჩემი აზრით, იგი ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მორაგბეა" — თქვა უელსის ნაკრების ყოფილმა მორკინალმა ედუარდსმა.

ტიმ ჰორანმა (1,81 მ, 90 კგ), რომელიც 1991 წელსაც გამხდარა მსოფლიოს ჩემპიონი, საუკეთესო მორაგბის ტახტზე ახალზელანდიელი ჯონა ლომუ შეცვალა. 29 წლის ავსტრალიელმა, რომელსაც უკვე 80 ჯერ მოუხვეჭია, ჟიურისგან ოქროს ტროფეა და 3900 ევროს ჩეკი მიიღო. ეს ფული მან ერთ-ერთი საქველმოქმედო ორგანიზაციის ანგარიშზე გადარიცხა.

გამოკითხვაში ჰორანის მთავარი კონკურენტები ფრანგები — აბდელატიფ ბენაზი და კრისტოფ ლამეზონი და მისივე თანაგუნდელი სტივენ ლარკჰემი იყვნენ.

„ძალიან მიხარია, რომ ეს პრიზი მივიღე. ამაში ჩემს თანაგუნდელებს უდიდესი წვლილი მიუძღვით, რაგბი ხომ გუნდური სპორტია" — განაცხადა მსოფლიოს თასზე ორი ლილოს გამტანმა ჰორანმა მას შემდეგ, რაც ეს ამბავი გაიგო.

ᲯᲝᲜᲐ ᲚᲝᲛᲣ: ᲨᲐᲕᲔᲑᲘ ᲗᲣ ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ?

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲣᲠᲘ გაზეთის „მეილ ონ სანდის" ცნობით, ახალზელანდიელ ჯონა ლომუს ორწლიანი კონტრაქტი უნდა გაეფორმებინა ინგლისურ კლუბ „ბრისტოლთან". გარიგების საფასურად 1,1 მილიონი გირვანქას ასახელებდნენ. „კონტრაქის საბოლოო დეტალები პარასკევს საღამოს უნდა დაზუსტებულიყო". — იუწყებოდა „მეილ ონ სანდი".

თუმცა ახალზელანდიური პრესა ამ ცნობას უარყოფდა და ინგლისელი ჟურნალისტების ვარაუდს, რომ ლომუ უკვე მომავალ კვირაში დაიცავდა ახალი კლუბის ღირსებას „მანჩესტერ სეილის" წინააღმდეგ, მონაჭორს უწოდებდა.

გუშინწინ კი ჯონა ლომუს აგენტმა ფილ კინგსლი-ჯონსმაც უარყო ეს ცნობა. მისი თქმით, მსოფლიოს თასზე ყველაზე მეტი (რვა) ლილოს გამტან მორაგბეს ჯერ არ გადაუწყვეტია, სად გაგრძელებს კარიერას, შესაბამისად, არც „ბრისტოლთან" მოუწერია ხელი კონტრაქტზეო.

„ოლ ბლექსთან" კონტრაქის ვადა კი ლომუს უკვე დაუმთავრდა, მაგრამ თუ კინგსლი-ჯონსს ვენდობით, მისი კლიენტი სულაც არ აპირებს, ახალი ზელანდიის ეროვნულ ნაკრებს ზურგი შეაქციოს და კვლავაც გაგრძელებს თავისი ქვეყნის სახელით თამაშს. არადა, „ბრისტოლში", ანდა რომელიმე სხვა ევროპულ კლუბში გადასვლით ლომუს „შავობის" საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა.

ჯონა ლომუზე (ბურთით) თვალი ბევრს უჭირავს

„ეს არ არის მართალი" — თქვა ფილ კინგსლი-ჯონსმა, როცა ჰკითხეს, მართლა თქვა თუ არა უარი ლომუმ, „ოლ ბლექსთან" კიდევ ოთხწლიან კონტრაქტის გაფორმებაზე, თუმცა 1995 წლის მსოფლიოს თასის საუკეთესო მორაგბეს ჯერჯერობით არც თანხმობა მიუცია ახალზელანდიური რაგბის თავკაცებისთვის.

„რაც შეეხება ლომუს საკლუბო კარიერას, ჯერჯერობით აქაც გაურკვევლობაა. ექვს გუნდს, მათ შორის „ბრისტოლს" და რამდენიმე ძლიერ ფრანგულ კლუბს სურს, ჯონა თავისთან იხილოს, მაგრამ იგი ნაჩქარევ გადაწყვეტილებას არ მიიღებს. საბოლოო პასუხს ლომუ მაშინ მისცემს დაინტერესებულთ, როცა ყველაფერს კარგად აწონ-დაწონის" — განაცხადა მთაკაცის აგენტმა.

ᲖᲐᲘᲝᲯᲐ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

იტალიელებმა შუმის ენა და კბენა შეაჩვიეს

„მაკლარენთან“ ურთიერთობა მიხაელ შუმახერს იტალიელთა რისხვად დაუჯდა

მიხაელ შუმახერს იტალიური პრესა ერთხელაც დაემდურა და ბუტიაობის კამპანიას ტრადიციულად აპენინელთა სპორტული მედიის ფლაგმანი, „გაძეტა დელო სპორტი“ ჩაუდგა სათავეში. საქმე შემდეგში იყო: რომელიღაც მაკვარანცხმა პაპარაციმ შუმახერი „მაკლარენის“ ბანკეტზე საკმაოდ გაბადრული სახით დააფიქსირა. ატყდა ვაი უშველებელი. „გაძეტა დელო სპორტიდან“ თავად უფალმა რედაქტორმა იკისრა გერმანელის გაჯორვა და უნდა ვაღიაროთ, ბევრი მწვავე გამოთქმაც იხმარა. „აქამდე ჩვენ გვეგონა, რომ იგი მარტო რძეს სვამდა“, — ირონიულად შენიშნა რედაქტორმა — „მაგრამ ეს არაა მთავარი. მგრძნობიარე ადამიანი, თავისი გუნდის მოყვარული პილოტი, ჩემპიონი და საერთო საქმისთვის მებრძოლი ისეთ უბრალო ამბავში არ უნდა იჭრებოდეს, როგორიც მეტოქის სუფრაზე ქეიფია“.

შუმახერის დაცვას ჩვენ ვინ გვეკითხება, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ გერმანელი, მისი უმცროსი ძმა რალფი, აგრეთვე „უილიამსის“, „მაკლარენისა“ და „ფერარის“ გუნდების ზოგიერთი წევრი ბანკეტზე მხოლოდ ლუდს სვამდნენ, ხოლო თავად თავყრილობა ტრადიციულია და ყოველი სეზონის ბოლოს იმართება. აღრე არავის ჰქონია ამაზე გართულება, მაგრამ, ეტყობა, იტალიელებს ჩემპიონობის ვერმოპოვება ჯერაც ვერ მოუნელებიათ.

დავით გულუა

ტყის ბიჭი ფორმულა 1-ში

ქვეყნად პარადოქსებს რა დალევს; აქამდე მეგონა, ამაზონის ჯუნგლები მსოფლიოში ყველაზე გაუვალი ადგილია და იქაურნი არათუ ავტომობილთან, ველოსიპედთანაც კი მწყრალად იქნებიან-მეთქი. აბა, კი, ხომ იცით! სწორედ მსოფლიოს ყველაზე წყალუხვი მდინარის სანაპიროთა მკვიდრია 19 წლის ბრაზილიელი ანტონიო პიცონია, ვისაც ორშაბათს ათწლიანი ოცნება აუსრულდა — პირველად მიუჯდა ფორმულა — 1 კლასის ბოლიდის საჭეს. ეს მოხდა სილვერსტოუნში, „უილიამსის“ ბაზაზე. „უილიამსის“ ბოსებს ერთობ აღელვებთ მათი ბოლიდების ბოლოდროინდელი წარუმატებლობანი. ლეგენდარული აირტონ სენას ტრიუმფთა შემდეგ „უილიამსის“ რეგრესი აშკარაა. რალფ შუმახერმა და ალესანდრო ძანარდიმ წლეულს არცთუ ურიგოდ ირბოლეს, მაგრამ ისინი ფავორიტებში არავის მოუხსენიებია და არც რაიმე გასაოგნებელი ჩაუდენიათ.

და აი, მიეცით ნიჭსა გზა ფართო! „უილიამსი“ ახალ სისხლს ეძებს და პიცონია საამისოდ ყველაზე შესაფერის კანდიდატურად მიიჩნევა. „ჯანგლ ბოი“ (როგორც ბრაზილიელს უწოდებენ) ჯერჯერობით ვერ იქროლებს ფორმულა 1-ის ტრასებზე, მას თავიდან ფორმულა-3-ში მოუწევს თავისი ძალის დამტკიცება, მაგრამ, რაც მთავარია, უმაღლესი რანგის ბოლიდი უკვე დააჭაშნიკა და ეს ჩინებული სტიმულია მისთვის. ავტომოყვარულებს ალბათ აქედანვე მართებთ თავიანთ მეხსიერებაში ამ ყმაწვილისთვის მცირე ადგილის გამოყოფა, რადგან მას ყველა დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს.

დავით გულუა

შვილები და გოლები

9 ნოემბერი

სენტ ლუისი — დალასი 2:5

0:2 1:2 1:1

0:1 სიმი 1'37 (1); 0:2 სიდორი 10'29 (2); 0:3 სიმი 21'41 (2); 0:4 მიურეი 27'12 (1); 1:4 ჰეხტი 34'35 (3); 2:4 კინგი 41'47 (1); 2:5 ჰალი 49'46 (7)

დალასის მწვრთნელები სწორად მოიქცნენ, როცა შემადგენლობა გადაახალისეს. სტუმართა მიერ გატანილი 5 გოლიდან 3 ფარმკლუბიდან გამოძახებულმა ჰოკეისტებმა მიითვალეს. ყველაზე უკეთ კი ჯონ სიმი გაისარჯა, რომელმაც მანამდე ლიგაში გატანილ ერთ შაიბას ორიც მიუმატა.

ვაშინგტონი — ტამპა 2:1

1:0 0:1 1:0

1:0 ბონდრა 5'37 (10); 1:1 პეტროვიცკი 23'44 (1); 2:1 ბულისი 47'19 (7)

ვაშინგტონს სატურნირო მდგომარეობის გამოსწორების კარგი შანსი აქვს. დედაქალაქელებს, რომლებიც საკუთარ მოედანზე კარგი თამაშით გამოირჩევიან, 5-მატჩიანი საშინაო სერია ეწყებათ.

ნიუ ჯერსი — ფილადელფია 2:1

1:0 1:1 0:0

1:0 მაკეი 11'04 (4); 1:1 ლეკლერი 26'01 (10); 2:1 არნოტი 35'32 (2)

„ჩემს სტილს არასოდეს ვუღალატებ და თუ უღირსი მეთოდებით შეეცდებიან, მოთმინებიდან გამომიყვანონ, საკადრის პასუხს მიიღებენ“ — ეს სიტყვები მასპინძელთა ფორვარდ რენდი მაკეის ეკუთვნის. 30 ოქტომბერს მან ფილადელფიელ ულფ სამეულსონის წინააღმდეგ უხეში ილეთი გამოიყენა. ამისთვის დაისაჯა კიდეც და სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია სულ ახლახან მოიხადა. „მფრინავებთან“ მატჩში მეტოქემ იგი ძალიან შეავიწროვა, მაგრამ ძალისმიერმა ფორვარდმა ამ ძალადობას ლამაზი გოლით უპასუხა და გუნდის გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა. სტუმრებს კი ჯონ ლეკლერის გოლმაც ვერ უშველა, რომელმაც მესამე შვილის შეძენის მერე 5 მატჩში 6 შაიბა შეაგდო.

ტორონტო — ანაჰაიმი 0:2

0:0 0:1 0:1

0:1 მაკინისი 27'48 (5); 0:2 კარია 59'47 (7)

ტორონტოსთან სტუმრად შათაუტის მიღწევა ურიგო საქმე როდია, თუმც ამჯერად გი ებერს (19 მოგერიება) თვით მასპინძლებმა შეუწყეს ხელი, რომლებიც ერთობ ინერტულნი იყვნენ.

ვანკუვერი — სან ხოსე 4:4

2:0 1:3 1:1 0:0

1:0 იორკი 8'37 (3); 2:0 კესელსი 9'32 (4); 3:0 ნესლუნდი 21'39 (6); 3:1 მარლო 23'37 (6); 3:2 კოროლიუკი 32'43 (5); 3:3 ნოლანი 37'12 (11); 4:3 მაკლეტი 44'55 (3); 4:4 ნოლანი 48'58 (12)

გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში დაეწევაო. მასპინძლებმა მატჩის წინ უსიამოვნო ამბავი გაიგეს. მათ მცველ მატიას ოლუნდს, რომელსაც ერთ-ერთ საგამოფენო მატჩში თვალში შაიბა მოხვდა, რთული ოპერაცია ესაჭიროება. ასე რომ, 21 წლის ნიჭიერმა მცველმა იქნებ კარიერაც კი დაასრულოს. თამაშის პირველივე წუთზე კი მათმა კაპიტანმა მარკ მესიემ მუხლის ტრავმა მიიღო. და რომ არა ოუენ ნოლანი, რომელიც 12 შაიბით სნაიპერთა შორის დაწინაურდა, სან ხოსე ქულასაც ვერ გამოჰკრავდა ხელს.

ლოს ანჯელესი — ედმონტონი 1:1

1:1 0:0 0:0 0:0

0:1 გრინი 12'16 (3); 1:1 სმოლინსკი 12'41 (5)

REUTERS ვაშინგტონიდან

ტამპას მეკარე დენ კლუტიემ ვაშინგტონელი სტივ კონოვალჩუკის (22) შეტევა მოიგერია

სენატმა იაშინი მკაცრად დასაჯა


ალექსეი იაშინი

ოტაველთა მესვეურებმა შეასრულეს, რაც თქვეს. „სენატორებმა“ რუს მეამბოხეს ულტიმატუმი წაუყენეს — თუ ფორვარდი 8 ნოემბრამდე ვონს არ მოეგებოდა და თამაშზე არ დაყაბულდებოდა, მის წინააღმდეგ მკაცრ ზომებს მიიღებდნენ. ვადა ამოიწურა და კლუბმაც გამოუტანა განაჩენი იაშინს.

„ალექსეი სეზონის ბოლომდე, პლეიოფის ჩათვლით, დისკვალიფიცირებულია. ეს დროული გადაწყვეტილებაა, რადგან ამჟამად ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის, სეზონს იაშინთან ერთად გავაგრძელებთ თუ არა. მოთამაშეთა ასოციაციასთან შეთანხმების თანახმად, იაშინი ვალდებულია, მომავალ სეზონში მოიხადოს ვალი ჩვენს წინაშე და ჩემპიონატი სრულად ჩაატაროს, როგორც კონტრაქტითაა გათვალისწინებული“ — ოტავას გენერალურ მენეჯერ მარშალ ჯონსტონის ნათქვამიდან აშკარად ჩანს, იაშინს ყველა გზა მოჭრილი აქვს. მეტიც, ჯონსონის თქმით, სეზონის დასრულებისთანავე ოტავა შეაფასებს იმ ზარალს, რომელსაც გუნდი იაშინის არყოფნით განიცდის და ურჩ ფორვარდს ფინანსურ პრეტენზიებს წაუყენებს. გენერალურმა მენეჯერმა უარყო მისი გაცვლის ან გაყიდვის შესაძლებლობაც (იაშინის ტრეიდის მრავალ ვარიანტზე უამრავი ჭორი დადის). ამრიგად, იაშინი, თუ რაიმე არ შეიცვალა, ამ სეზონს მთლიანად გამოტოვებს, ვინაიდან მას არც ერთ სხვა პირველობასა თუ შეჯიბრებაში გამოსვლის უფლება არა აქვს.

ერთი რამ მაინც გაუგებარია — თუ იაშინი მართლა ისეთი ეგოისტია, რომ მხოლოდ თავის თავზე ფიქრობდა, ნუთუ სხვა გამოსავალი არ გამოიძებნა. იაშინის აგენტიც ხომ სთავაზობდა კლუბს გარკვეულ კომპრომისულ ვარიანტებს. ნჰლ-ის ისტორიაში ეს პირველი შემთხვევა არ არის, რომ მოთამაშე, რომელსაც ერთი სეზონი აქვს სათამაშო, კონტრაქტის განახლებას ითხოვს და ხშირად მას აკმაყოფილებენ (ყველაზე ახალი ფილადელფიელი ჯონ ლეკლერის მაგალითია). ბოლოს გავბედავთ და ვიტყვით, რომ ამით წლეულს იაშინის საქმე მაინც არ დასრულებულა. სანამ ოტავა ჩინებულად ასპარეზობს, ჯონსტონი და კომპანია დიდ გულზე იქნებიან, მაგრამ ვინ იცის, როგორ წაუვათ საქმე „სენატორებს“ შემდგომში. მით უმეტეს, რომ ალექსეის ოტავას რიგებში ასპარეზობაზე არასდროს უთქვამს უარი.

ჯერჯერობით არ არის ცნობილი, რა რეაქცია ჰქონდათ ამ ფაქტზე იაშინსა და მის აგენტს. ბოლო ინფორმაციით, რუსმა ჰოკეისტმა, რომელმაც პარასკევს 26 წლისთავი აღნიშნა ოჯახისა და გელფრენდის გარემოცვაში, ორშაბათს შვეიცარია დატოვა და უცნობი მიმართულებით გაემგზავრა.

სამგელ ღარიბიანი

კვირის მოთამაშე



მარტინ ბირონი (ბუფალო)

ბუფალოს მეკარის ლაურეატობა, ალბათ, აღარავის უკვირს, მაგრამ ის, რომ კვირის რჩეული დომინიკ ჰაშეკი არ არის, უკვე დიდი მოულოდნელობაა. ვინ იცის, რა დღეში იქნებოდნენ ახლა „ხმლები“, არადამაჯერებლად მოთამაშე, ტრავმებით გაწამებული „დომინატორი“ მარტინ ბირონს რომ არ შეეცვალა. მან საოცრად გამოაცოცხლა გუნდი, გასულ კვირაში ზედიზედ სამჯერ მოაგებინა და თასის მფლობელ დალასზეც შური აძიებინა. ამ პრინციპულმა პაექრობამ ბუფალოელები ფსიქოლოგიურად განტვირთა და ძველებურ, აგრესიულ სტილში აათამაშა.

აღსანიშნავია, რომ 22 წლის ბირონი მეორე ახალბედაა პატრიკ ელიაშის შემდეგ (იგი 1997 წელს გამოირჩა), რომელმაც კვირის ლაურეატობა მოიპოვა. მარტინი შარშანაც ძალიან დაეხმარა გუნდს, როცა ჰაშეკი დაშავებული იყო, თუმცა, ნჰლ-ის წესებით, ჩატარებული მატჩების მცირე რაოდენობის გამო წლევანდელ დებიუტანტად ითვლება.

საუკეთესო ექვსეული. 1-7 ნოემბერი

მარტინ ბირონი (ბუფალო, 1); *ოლეგ ტკერდოვსკი* (ანაჰაიმი, 1) — *ერიკ დეჟარდენი* (ფილადელფია, 1); *იარომირ იაგრი* (პიტსბურგი, 1) — *ერიკ ლინდროსი* (ფილადელფია, 1) — *მილან ჰეიდუკი* (კოლორადო, 1)

6 ტური

ევროლიგა

I ჯგუფური ეტაპი.
VII ტური. 10 ნოემბერი

A ჯგუფი

შოლე 48:66 პაოკ

C ჯგუფი

ვილერბანი 61:54 ოლიმპიაკოსი

D ჯგუფი

ეფესი 99:63 ფორტიტუდო

ბუდუჩნოსტი 95:90 ციბონა

საპორტას თასი

ჯგუფური ეტაპი.
VII ტური. 9-10 ნოემბერი

A ჯგუფი

ჰონკა (ფინეთი) — შარლერუა (ბელგია) 83:72, აეკ (საბერძნეთი) — ჩერნო მორე (ბულგარეთი) 103:75, ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი) — ავტოდორი (რუსეთი) 84:79

სატურნირო მდგომარეობა: აეკ 14 ქულა, ჩერნო მორე 11, შარლერუა 11, ჰაპოელი 11, ავტოდორი 8, ჰონკა 8

B ჯგუფი

აქილესი (კვიპროსი) — სავინსკი (სლოვენია) 89:71, პამესა (ესპანეთი) — დელტა (ესტონეთი) 93:72, ზადარი (ხორვატია) — არსენალი (რუსეთი) 113:72

სატურნირო მდგომარეობა: პამესა 14 ქულა, ზადარი 13, არსენალი 10, აქილესი 9, სავინსკი 9, დელტა 8

C ჯგუფი

აპოელი (კვიპროსი) — ალბაკომპი (უნგრეთი) 40:83, შალონ-საონი (საფრანგეთი) — რიკო (ჰოლანდია) 63:60, მაკაბი (რაანანა, ისრაელი) — ლიეტუვოს რიტასი (ლიტვა) 88:78

სატურნირო მდგომარეობა: შალონ-საონი 12 ქულა, ალბაკომპი 12, ლიეტუვოს რიტასი 12, მაკაბი 11, რიკო 9, აპოელი 7

D ჯგუფი

ბოსნა (ბოსნია) — ილიაბუმი (პორტუგალია) 84:71, ტაუ (ესპანეთი) — რაბოტნიჩკი (მაკედონია) 70:49, პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი) — პეკაესი (ბოლონეთი) 68:51

სატურნირო მდგომარეობა: ტაუ 13 ქულა, პსგ 13, პეკაესი 12, ბოსნა 10, ილიაბუმი 8, რაბოტნიჩკი 7

E ჯგუფი

პარტიზანი (იუგოსლავია) — სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი) 89:93, ტელეკომი (გერმანია) — ირაკლისი (საბერძნეთი) 59:64, სენტ პიოლტენი (ავსტრია) — პორტუ (პორტუგალია) 56:68

სატურნირო მდგომარეობა: ირაკლისი 13 ქულა, პარტიზანი 12, სლოვაკოფარმა 11, პორტუ 11, ტელეკომი 9, სენტ პიოლტენი 7

F ჯგუფი

მატავი (უნგრეთი) — ნორჩიოპინგი (შვედეთი) 83:89, კინდერი (იტალია) — ვენტსპილსი (ლატვია) 92:65, ცეპტერი (ბოლონეთი) — ფენერბაჰჩე (თურქეთი) 84:76

სატურნირო მდგომარეობა: კინდერი 14 ქულა, ცეპტერი 13, ნორჩიოპინგი 12, ვენტსპილსი 9, ფენერბაჰჩე 8, მატავი 8

G ჯგუფი

ადეკო (იტალია) — ლონდონ თაუერზი (ინგლისი) 80:82, დარუშაფაკა (თურქეთი) — სპლიტი (ხორვატია) 81:65, პლანია (შვედეთი) — ოკაპი (ბელგია) 67:80

სატურნირო მდგომარეობა: დარუშაფაკა 13 ქულა, სპლიტი 12, ადეკო 10, პლანია 10, ლონდონ თაუერზი 9, ოკაპი 9

H ჯგუფი

ტატამი (გერმანია) — რადნიჩკი (იუგოსლავია) 83:67, ტოპო (ფინეთი) — კრკა (სლოვენია) 66:82, საკალი (ლიტვა) — მლეკარნა (ჩეხეთი) 76:62

სატურნირო მდგომარეობა: საკალი 13 ქულა, რადნიჩკი 11, ტატამი 11, კრკა 11, მლეკარნა 9, ტოპო 8

VIII ტური გაიმართება 16-17 ნოემბერს

საუკეთესო მოთამაშე

მაშუკა აბრამიძე
·ბასკო·

ბურთს ფლობს ბასკოელი ფეხბურთელი

„აზოტი“ — „ბასკოს“ შეხვედრის შემდეგ მე-9 ეროვნულ ჩემპიონატში ორხელისუფლებიანობა დასრულდა. ტურის ცენტრალურმა შეხვედრამ, რომლის ბედი მხოლოდ დამატებითი ტაიმის ჩატარების შემდეგ გაირკვა, გულშემატკივართა იმედები გაამართლა. ურთულესი პრობლემის წინაშე იდგნენ დებიუტანტ „ბასკოს“ კალათბურთელები, რომლებიც ქვეყნის ვიცე-ჩემპიონებთან თამაშობდნენ და თანაც სტუმრად. როგორც ერთი, ისე მეორე გუნდის მხრიდან, განსაკუთრებით ეროვნული ნაკრების კანდიდატები გამოირჩეოდნენ. ტურის საუკეთესო მოთამაშედ კი ბათუმელი მაშუკა აბრამიძე იქნა მიჩნეული, რომელიც ბომბარდირ ვალერი კილაძეს პასებს დროულად აწვდიდა, ხოლო ოვერტაიმის დამთავრებამდე მისმა ზუსტმა სროლამ „ბასკოს“ ზედიზედ მეექვსე გამარჯვება და ერთიროვნული ლიდერობა მოუტანა.

— მაშუკა, თქვენი თამაშით კმაყოფილი დარჩით?

— კონკრეტულად მიჭირს ჩემს თავზე საუბარი, მაგრამ... თუ საზოგადოებრივ აზრსაც გავითვალისწინებ, მგონი, ცუდად არ მითამაშია.

— თქვენი აზრით, მეტის გაკეთება შეგიძლიათ?

— რა თქმა უნდა, შემიძლია.

— თუ მეტის გაკეთება შეგიძლიათ და ვერ აკეთებთ, მაშინ უთუოდ ძიზეზიც გექნებათ.

— ფიზიკური მომზადება. ვერა და ვერ მოვაგვარე ეს პრობლემა, მალე ვიღლები და შეუცვლელად თამაში მიჭირს.

— ეს ახალი არ არის, რა გახდა ასეთი, რითი ვერ მოაგვარეთ ეს პრობლემა?

— რომ გითხრათ, „ბასკოში“ პირობები არ გვაქვს-მეთქი, არ ვიქნები მართალი. ფიზიკურ მომზადებაში თბილისელი სპეციალისტი ლექსო ბურნაძე გვავარჯიშებს და ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა. ბატონი ლექსოს ხელმძღვანელობით ინდივიდუალურადაც ვვარჯიშობ და დღიდი დღე უკეთესობას ვგრძნობ.

— მართალია, „აზოტთან“ შეხვედრაში თქვენ დიდებულად გაართვით თავი გამთამაშებლის ფუნქციებს მაგრამ რუსთაველმა აჩიკო ელენტმა, რომელსაც თქვენ მეურვეობდით, 28 ქულა გაკეთა და ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე...

— ჩემთვის ახლაც გაურკვეველია, ოთხი ჯარიმიდან ორი რატომ დავიმსახურე. აჩიკო ისედაც კარგად თამაშობდა, მაგრამ მსჯელებისათვის მეხუთე ჯარიმის საბაბი რომ არ მიმეცა, ოთხის შემდეგ ელენტს თითქმის აღარ გავკარებივარ.

— რომელ წუთზე დაგისტვინეს მსაჯებმა მეოთხედ?

— მეორე ტაიმის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე.

— როგორც ჩანს, არ უნდა იყოთ მთლად კმაყოფილი მსაჯობით.

— მნიშვნელოვანი შეცდომები არ დაუშვიათ, მაგრამ მასპინძლების მიმართ ცოტა სიმპათიები მაინც იგრძნობოდა.

— ბათუმში თუ აქვთ ხოლმე „ბასკოს“ მიმართ მსაჯებს სიმპათიები?

— ბათუმში გამართულ შეხვედრებში იმდენად დიდი იყო ჩვენი უპირატესობა, რომ ამჯერად მაგ თემაზე საუბარიც კი არ ღირს.

— თქვენთვის გამთამაშებლის პოზიციაზე თამაში უცხო არ არის, მაგრამ ბოლო დროს ძირითადად მსროლელის ფუნქციებს ასრულებდით. ირაკლი მაისურაძის ტრავმის შემდეგ გამთამაშებლის პოზიციაზე დაბრუნება ხომ არ გაგიჭირდათ?

— როგორც მსროლელის, ასევე გამთამაშებლის პოზიციაზე თანაბარი სიძლიერით ვთამაშობ, ამიტომ ამპლუასთან შეგუება არ გამჭირვებია.

— მაისურაძის დაბრუნების შემდეგ კვლავ მსროლელის პოზიციაზე გადაინაცვლებთ?

— როგორც უკვე აღვნიშნე, ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა გამთამაშებელი ვიქნები, თუ მსროლელი. რადგან მაისურაძე ჯერჯერობით ვერ ითამაშებს, პოზიციის შეცვლა არ მომიწევს.

— მაისურაძის სტუს-თან მიღებული ტრავმა ასეთი სერიოზული გამოდგა?

— ორიოდე დღის წინ ექიმებმა დაადგინეს, რომ ოპერაცია აუცილებელია. თუ არ ვცდები, მენისკი აქვს დაზიანებული. იმედია, ყველაფერი კარგად ჩაივლის და მხოლოდ ერთი თვის შემდეგ შეძლებს იგი ვარჯიშების გაგრძელებას.

— „ბასკო“ ისედაც განიცდიდა გამოცდილი კალათბურთელების ნაკლებობას და მაისურაძის ტრავმის შემდეგ ახალი კალათბურთელის აყვანას ხომ არ აპირებთ?

— დიდი დანაკლისია, მაგრამ მისი დახმარების გარეშეც შევძელით ვიცე-ჩემპიონების დამარცხება, გუნდს კარგად მოერგო 19 წლის ლაშა კეშელავა, რომელმაც რუსთავში 15 ქულა გააკეთა. რაც შეეხება ახალი კალათბურთელების დამატებას, ამის შესახებ არაფერი მსმენია და ვერც იმას გეტყვით, თუ რას ფიქრობს გუნდის ხელმძღვანელობა.

— მართალია, დამარცხეთ „აზოტი“, მაგრამ მხოლოდ ოვერტაიმში და ისიც ერთი ქულის სხვაობით. ბოლო წამებზე რუსთაველ გოგობერიშვილს რომ ჩაეგდო, შეიძლება წაგეგოთ კიდეც. აღნიშნულიდან გამომდინარე, მთლად თუ არა, ცოტა იღბალმაც ხომ არ განაპირობა თქვენი წარმატება?

— თუ იღბალზე მიდგება საქმე, ის ამჯერად რუსთაველებს უფრო სწყალობდა. საკუთარ მოედანსა და გულშემატკივრების ფაქტორზე რომ აღარაფერი ვთქვათ, წაუვიდათ სამქულიანი სროლები და ჩვენზე საბით მეტი გამოიყენეს.

— ეროვნული ჩემპიონატის დაწყების წინ „ბასკოს“ ხელმძღვანელობის მიზანი ექვსეულში მოხვედრა იყო. ექვის ტურის შემდეგ ერთიროვნული ლიდერის მოთხოვნილებები ხომ არ გაიზარდა?

— გამორიცხული არ არის, რომ მეორე წრის შემდეგ რომელიმე გუნდი გაძლიერდეს, ფინალში გასვლის შანსი გვაქვს და იქ კი სავარაუდო მეტოქედ რუსთავის „აზოტი“ მიმაჩნია.

— გულშემატკივარი თუ დადის ბათუმში მატჩებზე?

— ყოველთვის ანშლაგია და ტრიბუნები მსურველებს ძლივს იტევს.

— რამდენ გულშემატკივარს იტევს ბათუმის საკალათბურთო დარბაზი?

— დაახლოებით ათასი დასაჯდომი ადგილი იქნება.

— რამდენადაც ვიცით, დარბაზი ახალია და დამპროექტებლები ასე მცირე დასაჯდომი ადგილებით რატომ დაკმაყოფილდნენ?

— არც ბათუმი არის დიდი ქალაქი და, ეტყობა, ვერ გაითვალისწინებს, რომ კალათბურთი აჭარაში ამდენად პოპულარული გახდებოდა.

როლანდ ლაბუჩიძე

რეგულარული ჩემპიონატი

მიზანი და თვითკრიტიკა

9 ნოემბერი

იუტა 92:87 პორტლენდი

იუტა: მელოუნი (24), რასელი (19)
პორტლენდი: სმიტი (26), სტუდემაიერი (19)

გოლდენ სტეიტი 89:118 სან ანტონიო

გოლდენ სტეიტი: ფარმერი (19)
სან ანტონიო: როუზი (21), დანკანი (19 ქულა, 11 მოხსნა)

დალასი 101:123 ლეიკერსი

დალასი: ფინლი (19), სტრიკლენდი (19), სებალოსი (18)
ლეიკერსი: ონილი (27 ქულა, 10 მოხსნა), რაისი (21)

ჩიკაგო 80:103 ფინიქსი

ჩიკაგო: ბრენდი (11)
ფინიქსი: გულიოტა (19 ქულა, 12 მოხსნა), კიდი (19), რობინსონი (19)

მაიამი 113:101 ინდიანა

მაიამი: მურნინგი (33 ქულა, 16 მოხსნა), ჰარდეიე (19 ქულა, 14 პასი)

9 ნოემბრამდე ლიგის 29 გუნდიდან წაუგებელი მხოლოდ „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსიდა“ შემორჩენილიყო. პორტლენდელები საწყისი ოთხი თამაშიდან ოთხი გამარჯვებით იწონებდნენ თავს, 9 ნოემბრის სოლტლეიკურმა სალამომ კი მათთვის არც ისე მშვიდობიანად ჩაიარა. „ბლეიზერსმაც“ სტუმრად „იუტასთან“ პირველი მარცხი იწვნია და ამაში უდიდესი წვლილი კარლ მელოუნს მიუძღვის. „ფოსტალიონს“, ისევე როგორც მთელ „იუტას“, მეტოქის ბოღმა ახრჩობდა, რადგან სწორედ ამ გუნდმა გამოთიშა „ჯაზი“ პლეი ოფის მეორე ეტაპიდან. ასე რომ, მასპინძლები თავიდანვე თავგანწირვით ეკვეთნენ სტუმართა ვარსკვლავთკრებულს. „პორტლენდი“ თითქმის მთელი თამაში მედგრად იდგა, მაგრამ ბოლო მეოთხედში გატყდა და დანებდა მელოუნს და მის ბიჭებს. „ერთადერთი, რაც მინდა, ჩემპიონატის მოგებაა — ამბობდა მელოუნი მატჩის შემდეგ — და მე მთელი გულით ვგრძნობ, რომ ეს შემიძლია. ამბობენ, რომ დავბერდი, მარამ სულ ცოტა, სამ წელიწადს კიდევ ვითამაშებ და ჩემი ერთადერთი მიზანიც ჩემპიონობა იქნება“.

მელოუნისა არ იყოს, არც ძლეული „პორტლენდის“ ახალგამომცხვარი ლიდერი სკოტი პიპენია ურიგო ფორმაში, მაგრამ მან აშკარად ჩაავდო ეს თამაში, სულ 9 ქულა შეაშველა თავისიანებს, თამაშის ბოლოს კი თვითკრიტიკას მიჰყო ხელი, რამდენიმე იოლი ბურთი ავაცილე და საერთოდ საზიღრად ვითამაშეო.

თუ ლიგას დაუმარცხებელი დღესდღეობით აღარავინ შემორჩა, გაუმარჯვებელს მრავალდ შეხვდებით. ერთ-ერთი მათგანი, „გოლდენ სტეიტი“ ჩემპიონ „სან ანტონიოს“ მასპინძლობდა და, ბუნებრივია, მასთან ვერც ვერაფერი გაწყო. „სფურრზმა“ პირველი წუთებიდანვე მძლავრად შეუტია მასპინძლებს და პირველივე მეოთხედში საშინლადაც გაუსწორდა — 34:9 მოუგო. დანკანს, სტუმართა ლიდერს, ამ თორმეტწუთეულში იმდენივე ქულა მოუგროვდა, რამდენიც მთლიანად „გოლდენ სტეიტს“ და მერე თავი დიდად არც გამოუდვია. ჩემპიონს საქმე უკვე მოთავებული ჰქონდა და ძირითადებმაც დაცემული მეტოქის ბოლომდე მისიკვდილება სათადარიგოებს გადაულოცეს, მათაც მშვენივრად გაართვეს საქმეს თავი.

კიდევ ერთი ჯერაც გაუხარელი, მაგრამ ბოლო ათწლეულის ყველაზე სახელოვანი გუნდი — „ჩიკაგო ბულზი“ „ფინიქსს“ სტუმრობდა. ეს გუნდები არცთუ შორეულ 1993-ში ლიგის ფინალში შეიბნენ და მაშინ გამარჯვებული „ბულზი“ გამოვიდა, თუმცა იმ ფინალის მონაწილეთაგან გუნდებს თითო-თითო კალათბურთელი შემორჩათ, მაგრამ ისინი არც მაშინ და არც დღეს ბევრს არაფერს წყვეტდნენ. ერთ დროს უძლეველი „ჩიკაგო“ აგერ ორი წელია, სხვათა საჯიჯგნი გამხდარა ახლაც „ექვსგზის“ ჩემპიონმა ვერაფერი შესთავაზა მასზე ერთი თავით მაღლა მდგომ მეტოქეს. ის კი არა, მასპინძლებმა ისე დააბეზავეს სტუმრები, რომ ათ ქულაზე მეტის ჩაგდება მხოლოდ ახალბედა ელტონ ბრენდმა მოახერხა.

როგორც იქნა გაიბრწყინა „მაიამი ჰითმა“ და მისმა ლიდერებმა ისე ითამაშეს, როგორც ეკადრებათ. განსაკუთრებით გამოირჩა ალონზო მურნინგი, ვინაც წინა სამ თამაშში ბევრი არაფერი გაეკეთებინა და მის ურიცხვ თაყვანისმცემლებს გულში მცირე შიშიც შეეპარათ, ვაითუ „ზო“ (მურნინგის მეტსახელია) ფორმიდან ამოვარდაო. „ინდიანასთან“ მას მსგავსი არაფერი დასტყობია. მურნინგმა მშვენიერად ჩაატარა წინა სეზონი და საუკეთესო მცველადაც აღიარეს. თუმცა დაცვის გარდა შეტევაც რომ კარგად ეხერხება, ეს „ინდიანასთან“ მატჩმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა.

ირაკლი ფირაშვილი



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

იუტა — პორტლენდი. კარლ მელოუნის (ბურთით) შეტევას პორტლენდელმა არვიდას საბონისმა თვალი გააყოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომი ბალახზე



ახლოვდება. ახლოვდება ის, რაც ძველად ხმალ-შუბთა ტრიალით ირკვევოდა, ჩვენს საუკუნეში კი ოდენ ფეხბურთით. მეტი რომ არაფერი შეძლებოდა, ფეხბურთი ომის ბალახზე გადმოტანისთვის მაინც დაიმსახურებდა ხოტბას. შაბათს კი ომია — განახლებულ „ჰემპდენ პარკზე", საშინელი ღრიალის განთქმულ ადგილას სქოთები და ინგლისელები ერთმანეთს შეხვდებიან და ევროპის ჩემპიონატის პლეი ოფის პირველ მატჩს გამართავენ. პლეი ოფიო, ჰმ! განა პლეი ოფი დაიტევს ბრეივჰართობას? განა ბერნსს ტყუილად დაუწერია: „ბრუს და უოლეს, გაგვიძეხით ბრძოლაშიო? ანდა ინგლისელებს ტყუილად უხითხითიათ, მთელი სქოთური ამბავი მოკლე ხელებისა და ღრმა ჯიბეების ამბავიაო? ანუ, ჯიბის ძირზე ჩალაგებულ ფულს სქოთი ვერ ჩასწვდებაო, ანუ ძუნწიაო და ა.შ. და ა.შ. მაგრამ მაინც, ეს ფეხბურთია. ვარჯიშობენ სქოთები, ვარჯიშობენ ანგლები. სქოთური იერის განსახიერებას, კოლინ ჰენდრის ჩირ-ლიდერ გოგოებთან ჩასურათხატების დრო უპოვნია, იქაური ფეხბურთის ასოციაციის მოხელე კი მატჩის ბილეთს გვიჩვენებს. ბილეთებზე ერთი ამბავია: სქოთების პარლამენტმაც კი მოიცალა და გამოაცხადა, მე შევამოწმებ, სად, რა და როგორ გაიყიდაო.

ინგლისელები კი ჯერაც მშობლიურ სავარჯიშო ადგილას, ბიშემ ებიში არიან და, როგორც ჩანს; ერთმანეთს დარევიან. პოლ ინსი... არა, ეს კაცი არასოდეს დაბერდება. მისი შეშლილი დარტყმებიც ხომ ცნობილია. კარისკენ დაუკრავს და ბედი არ გინდა? პირდაპირ მთავარი მწვრთნელისთვის გაურტყამს. ამ ჩია კაცს კიდევ ინსის მოქნეული უნდოდა? პოლი კი ბოდიშობს, მაგრამ სანამ კევინ კიგანი ამოისუნთქებს...

მიასვენებენ

რომიდან ტურინში მიასვენებენ სპორტის დიდ მოღვაწეს, მძლეოსანთა მძლე თავკაცს, დონ პრიმო ნებიოლოს. ჭკვიანმა ბიზნესმენმა მოყვარულ მძლეოსანთა ორგანიზაცია მილიარდერ დაწესებულებად აქცია და ოთხი დღის წინათ გულის შეტევით გარდაიცვალა. ნებიოლოს ნეშტს კი მისი მადლიერი ვარსკვლავი მძლეოსნები მიასვენებენ — იტალიელი ფრანჩესკო მორი (მარჯვნივ) და უკრაინელი სერგეი ბუბკა (შუაში). მეგობარს უკანასკნელ გზაზე მიაცილებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი (მარჯვენა ფოტოზე)

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაძეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დეკაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli